3. „ჟამი შეიწირვის, ლოცვაი ... აღესრულების“ – „სარწმუნოება“ – რწმენა.

შემთხვევით როდია გატანილი სახელმწიფოებრიობის უპირველეს ჰიპოსტასად სწორედ „ფრიადი ქვეყანაი“ (მერჩულე), „მამული“ (ილია) – სახელმწიფო ტერიტორიაა, უპირველესად, სადაც ერი/ეთნოსი მკვიდრობს, იღვწის, ქმნის, იბრძვის. უტერიტორიო(დ) ერი ისეთივე ბეჩავია, როგორც – უსახლკარო(დ) კაცი. „სახლ-კარის დაქცევა სიმბოლურად ყოფიერების საფუძვლის მოშლას ნიშნავს. სახლ-კარი სამყაროა, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი. თუ ადამიანს იგი არ გააჩნია, ქონებრივად ბოგანო ხდება და სულიერად – ბეჩავი“ [5, 8].

ტერიტორიის კონცეპტი იოვანე საბანიძესთანაც პირდაპირ კავშირშია სარწმუნოებრივთან – არაა შემთხვევითი, სკრუპულოზურად, პედანტური ჩაკირკიტებით რომ მოხაზავს აფხაზეთის საზღვრებს მერჩულის დიდი წინამორბედი, ეროვნული ცნობიერების მესაძირკვლეთაგანი: „საზღვარ მათდა არს ზღვაი იგი პონტოსაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთაი, მისაზღვრადმდე ქალდიასა, ტრაპეზუნტიაი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეასაი და ნაფსაის ნავსადგური და არს ქალაქები და ადგილები საბრძანებელად ქრისტესმსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“ [6, 454].

საბანიძის ტექსტის მიხედვითაც, აფხაზეთი „საბრძანებლად იონთა მეფის“, ანუ ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშაა; მროველის ტექსტის მსგავსად, „ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა“, ერთმორწმუნე დამპყრობლის კეთილად

მოხსენიება კი მხოლოდ ავტორის (საბანისძის) ანტიარაბული კონცეფციითა და პათოსით აიხსნება.

უმნიშვნელოვანესი, საგულისხმოა საბანისძის კონცეპტი - დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზღვრების მოხაზვისას სწორედ სარწმუნოებრივი ასპექტები პედალირდება, საწმინდარები აქცენტირდება:

პავლე ინგოროყვას დაკვირვებით, თითოეული ლოკალი, ქრონოტოპოსის თითოეული დეტალი კონკრეტულ წმინდანს უკავშირდება, უფლის მოციქულთა წმინდა სახელებს: **ქალდეა-ტრაპეზუნტი - ანდრია პირველწოდებულს** (სწორედ აქედან შემოდის წმიდა ანდრია საქართველოში და იწყებს ქადაგებას), **აფსაროსი-გონიო - მატათა მოციქულს** (მატათას განსასვენებელი), **ნაფსაის ნავსადგური-ნიკოფსია - სვიმონ ქანანელს** (პირველი განსასვენებელი, საიდანაც, მოგვიანებით, ანაკოფიაში გადმოასვენეს წმინდა ნაწილები) [7, 211].

ენა რომ ეროვნული იდენტობის კონცეპტუალური ტრიადის ჰიპოსტასია, მროველთანაც ფიქსირდება და მერჩულესთანაც. ცხადია, ზემოთქმული უწყის ყველა დამპყრობელმაც. სწორედ ამიტომ ებრძოდა გავეშებით ენის ფენომენს ბიზანტიაც და არაბეთის ხალიფატიც, რომიც და ოსმალეთიც, სპარსეთიც და, ცხადია, რუსეთის ცარისტული, ბოლშევიკური თუ მოდერნიზებული იმპერიაც.

აფხაზეთის დე ფაქტო ოკუპაციის, ავტოქთონი, მკვიდრი მოსახლეობის ეთნოწმენდის და აპარტიდული რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ, ოკუპანტი, სეპარატისტთა მარიონეტულ რეჟიმთან ერთად, ოცდარვა წელიწადია, მიზანმიმართულად შლის ყოველივე ქართულს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

მაგანს იქნებ არ სიამოვნებდეს, აფხაზეთის მთელი ტოპონიმის სწორედაც რომ ქართულია (ტოპონიმთა შეცვლას აქტიურად ეცადნენ 1921-1937 წ.წ.-ში (8, 21)), წარწერები შუა საუკუნეების ქართულ ტაძრებზე, ხელნაწერების, მანუსკრიპტების ენაც - ქართული. ბიჭვინთის, ლიხნის, ბედიის, მოქვის, ილორის, დრანდის (დანდარის) კათედრალების მრავალსაუკუნოვან ქართულ კედლებს მიზანმიმართულად ფხეკს მომხდურის „უანზანო ხელი.“

რეგიონის ქართულობას, მრავალ სხვა არტეფაქტთან ერთად, მოქვის სახარებაცა (მე-14ს.) და ბედიის ბარძიმიც (მე-10-მე-11ს.ს.) მოწმობს - სახარების ენაც ქართულია და ბარძიმის წარწერისაც.

1300 წელს მოქველი მთავარეპისკოპოსის, დანიელის დაკვეთით, ეფრემის მიერ ნუსხურით გადაწერილი სახარება, ოქროცურვილი ფურცლებით, 152 მინიატურით - ქართულია.

დედოფალი გურანდუხტი და მეფე ბაგრატ მესამე ბედიის ტაძარს სწირავენ ბარძიმს - წარწერა ქართულია (მროველის ოდინდელი ციტატით, „არღარა იზრახებოდა სხუა ენაი, თვინიერ ქართულისაი...“).

ქართულია ლიხნის ტაძრის წარწერაც, „კუდიანი ვარსკვლავის“ - ჰალეის კომეტის შესახებ რომ ჰყვება საუკუნეთა არმურიდან....

ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევისას, „ფრიადი ქვეყნის“ სტატუსიდან სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს „კვართსა ზედა წილი იყარა“ ათასმა უცხოზ.

ცხადია, გადამთიელს აღიზიანებს, მის დამკვიდრებამდე/„გამკვიდრებამდე“ დიდი ისტორია რომ გვქონდა და თანამედროვე ისტორიკოსები (მაგალითად, მავანი დენის ჩაჩხალია) „ალანი დედისა და აფსუა მამის პირმშოდ“ აცხადებენ მარიამ მართაყოფილს, დავით აღმაშენებლის მამიდას, ბაგრატ მესამესა და დავით აღმაშენებელს კი - „აფხაზური დინასტიის“ მეფეებად, აღმაშენებლის მიერვე გელათის აკადემიის რექტორად ხელდასხმულ „აბაზგ“ ფილოსოფოსს - იოანე პეტრიწსაც - აფსუად („რატომღაც“, პეტრიწისეული „კავშირნი ღვთისმეტყველებითნიც“, თომა აქვინელის „სუმმა თეოლოგია“-ს ქართული ჯუფთიც, ქართულადაა დაწერილი)....

ცხადია, ბაგრატიცა და დავითიც დიახაც აფხაზური (ცხადია - არა აფსურური) დინასტიის მეფეები არიან, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც სიტყვა „აფხაზს“ იყენებს ქართული (და არამხოლოდ) ისტორიოგრაფია - „დასავლელქართველი.“

„აფსურური“ დინასტიის მეფენი (ბაგრატ მესამეცა და დავით აღმაშენებელიც), „რატომღაც“, ქართულად წერდნენ ბედიის ბარძიმზეც და ქართულად წერდნენ ფსალმუნის ქართულ ეკვივალენტს - „გალობანი სინანულისანი“-ს....

ვახუშტი ბაგრატიონისეულ „აღწერაში“ პარაგრაფის სათაურად გატანილია „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ [9, 742].

ვახუშტისეული დეფინიცია, ორგზის გამეორებული კავშირი „ანუ“ ადასტურებს, რომ, ქართული ისტორიოგრაფიული კონცეპტით, ეგრისი-აფხაზეთი-

იმერეთი დასავლეთ საქართველოს ზოგადი, ინვარიანტული სახელია. ვახუშტისეულ ვრცელ ციტატას (აფხაზეთის ლოკალიზაციას) მკვლევარი ვალერიან ითონიშვილი ლაპიდარულად განმარტავს: „დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილის სახელწოდება იყო ეგრისი, ლევან მეორის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ მას ეწოდა აფხაზეთი, ხოლო როდესაც ბაგრატიონებმა დაიპყრეს [დაიჭირეს - ნ.კ.] „ყოველი აფხაზეთი და სრულიად საქართველო“, ქართლს უწოდეს ამერეთი, ხოლო აფხაზეთს - იმერეთი“... საკუთრივ „ვახუშტის დროინდელი აფხაზები გენითა და ცხოვრების წესით უკავშირდებოდნენ იმ სამოსახლო ტერიტორიას (ჯიქეთი, ჩერქეზეთი), საიდანაც ისინი აფხაზეთში გადმოსახლდნენ“ [10, 253, 259] არც ისაა შემთხვევითი, რომ დაბლობს, რომელზეც სოჭია გაშენებული, სწორედ და მაინცდამაინც „იმერეტინსკაია დოლინა“ ჰქვია.... სწორედაც რომ „ქვათა ღაღადია“...

ცნობით არქანჯელო ლამბერტისა, რომელიც „მეჩვიდმეტე საუკუნეში ოც წელიწადს ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზები არ მკვიდრობდნენ ქალაქებსა და ციხეებში. ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი შეიყრებოდა ერთად, დასახლდებოდნენ მაღლობ ადგილზე, ააშენებდნენ ისლით დახურულ ფაცხებს, თავდაცვის მიზნით ირგვლივ ღობესა და ორმაგ თხრილს შემოავლებდნენ. საინტერესოა, რომ მათ სხვა კი არ ერჩის, თვით ესხმიან ერთმანეთს თავს და მარცვავენ - ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ პასაჟს იმოწმებს მარიამ ლორთქიფანიძე მონოგრაფიაში „აფხაზეთი და აფხაზები“ [11, 25] .

„ქართლის ცხოვრების“, საბანისძისეული, მერჩულისეული, ვახუშტისეული დეფინიციები მკვეთრად, ნათლად მოხაზავს აფხაზეთის ლოკალს... და რეგიონის ეპიგრაფიკა, მხატვრული ტექსტები?! ქრისტიანული კათედრალების ამგებ ქართველთა რუსეთის იმპერიის ხელდასხმით, აფსუამ ეთნიკური წმენდა მოუწყო - მკვიდრს, გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის სანახებიდან პირწმინდად გამოაძევა; კირით შეათეთრა დასავლეთ საქართველოს დიდებული სალოცავი - ილორის წმიდა გიორგის ეკლესია, ლამის ნანგრევებად აქცია მოქვი და ბეღია...

ახლა სამურზაყანოს მისდგომია, რათა ქართული გენიც და ენაც საბოლოოდ ამოძირკვოს აფხაზეთიდან...

აფხაზურ-ადილეურ ენათა ოჯახის ენაა აფხაზური, სამყაროს ერთ-ერთი ურთულესი ენა. როდესაც ამბობენ, რომ აფსუები იძულებით „შერეკეს“ ქართულ

სკოლაში, ეს აფსუტათა მხრიდან განსაკუთრებული აღშფოთებისა და ქართველთა მხრიდან რევერანსების საფუძველი ხდება.

უცნაურია, არავის ახსენდება აფსუტათაგანს, რომ მუჰაჯირობისას სწორედ ქართველი ესარჩლებოდა და იცავდა მათ ოსმალეთში დეპორტაციისაგან. არც ის ახსოვთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში „აფხაზთა გამოსვლებს რუსული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბოლო არ უჩანდა... ვიცე-ადმირალი სერებრიაკოვი მიხაილ ვორონცოვს 1852 წელს აუწყებდა: „ჩვენი მდგომარეობა აფხაზეთში, სამხედრო თვალსაზრისით, მეტად არადამაკმაყოფილებელია“, რის გამოც რუსეთის სარდლობა აძლიერებდა თავის ნაწილებს აფხაზეთში“ [12, 528].

თანამედროვე აფხაზეთში არც საკუთარი არისტოკრატია ახსოვთ, მიხეილ, გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეები. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს მანანა გაბაშვილის წერილიდან: „აფხაზეთის არისტოკრატია მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე უპირისპირდებოდა ვითარებას, როდესაც, თანამედროვეთა სიტყვით, აჭრელდა აფხაზეთი და შეიცვალა მისი ეთნიკური შემადგენლობა. აფხაზეთიდან ფეხს ბოლშევიკები ამოუკვეთენ დიმიტრი შარვაშიძეს, ბარონ ნიკოლაის ერთადერთ უსაყვარლეს შვილიშვილს, რომლის კვალიც 1937 წელს ციმბირში იკარგება. ბედის ირონიით, დიმიტრი გახდება თავისი პაპის (გარუსებული ევროპელის) - ბარონ ნიკოლაის პოლიტიკის მსხვერპლი, ბარონისა, რომელიც აფხაზეთის რუსეთისათვის მიტაცების, აფხაზეთიდან შარვაშიძეთა განდევნის გეგმაზე მუშაობდა. 1870 წელს აფხაზური არისტოკრატია ერთიანი საქართველოს პოზიციიდან გამოდის - როგორც არსებობისა და გადარჩენის გარანტისა. ისინი თავისუფალნი იყვნენ თავის გადაწყვეტილებაში, რაც დღეს ასე აღიზიანებთ მართვად სეპარატისტებს. 1916 წელს თბილისში ჩამოსულმა აფხაზებმა აფხაზეთის შავი ზღვის გუბერნიასთან მიერთების გეგმა გააპროტესტეს და გაიმარჯვეს, რაშიც გ. შარვაშიძის, პეტერბურგის ლობისა და ქართული საზოგადოების ძალისხმევა გამოჩნდა. დიმიტრი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც მას და საქართველოს მთელ საზოგადოებას აშფოთებს - ეს არის ჭეშმარიტი აფხაზეთის წინააღმდეგ მიმართული რუსულ-სომხური ალიანსი, რაც სომხეთის შავ ზღვაზე გასვლის გეგმას გულისხმობდა და ნაწილობრივ კიდევ განახორციელეს ქართველების გამოდევნის უშუალო მონაწილეებმა უკვე მეოცე საუკუნის ბოლოს.

ეს საფრთხე ილიამ ჯერ კიდევ 1903 წელს იგრძნო - „უცხოთა ხელში არ გადასულიყო აფხაზ-ქართველთა მშვენიერი მიწა-წყალი“ [13, 20-21].

თანამედროვე აფსუებს რამდენიმეწლიანი ქართული განათლება მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში უარეს ტრაგედიად აღუქვამთ, ვიდრე მუჰაჯირობა, ან გარუსების თანამედროვე ტენდენციები ... განსხვავებით მეცხრამეტე საუკუნისაგან, მეოცე საუკუნის 30-იან-40-იან წლებში აფსუებს ვერავინ გამოესარჩლებოდა ქართველთაგანი, რადგან რეჟიმმა დახვრიტა მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი, „სამანელები“.... - ქართული არისტოკრატია/ინტელიგენცია.

„ქართველთა აფხაზეთში ჩამსახლებელი“ სტალინ-ბერია 70 წელია, გარდაიცვალნენ, აფხაზეთში მოწყობილი ეთნოწმენდიდან ლამის 30 წელია გასული. არსებობს აფსუური სკოლა, სწავლებით აფსუურ ენაზე?!

სოხუმის მთავარ აფსუურ სკოლაში - ნესტორ ლაკობას სახელობის მეათე საშუალოში კვლავ მხოლოდ ოთხი კლასი სწავლობენ დედაენას, შემდეგ კი დიადი (ნამდვილად დიადი) რუსული ენისა და ლიტერატურის აღმართებს შეუყვებიან. ცხადია, „ლინგვა ფრანკას“ ცოდნა სასარგებლოა, საჭირო, მშვენიერიც, მაგრამ - არა მშობლიურის ხარჯზე და ჩასანაცვლებლად.

საქართველოს მრავალ სკოლაში ასწავლიან აფხაზურს (აფსუურს), როგორც ერთ-ერთ სახელმწიფო ენას, აფხაზოლოგიის მიმართულებით მუშაობენ ბრწყინვალე მეცნიერები სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში, გამოიცემა ლექსიკონები, თარგმანები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონოგრაფიები, საკუთრივ აფხაზეთში კი, ქართული გენისა და ენის უკანასკნელ ბასტიონზე - სამურზაყანოზე მიმდინარეობს ფორსირებული შეტევა - ქართული ენა საბოლოოდ უნდა ამოიძირკვოს, მოსახლეობა უნდა ასიმილირდეს, ასწავლიან აფხაზეთის ყალბ ისტორიას მომხდურის ენაზე, ქართულ სახელმწიფოს კი არანაირი ბერკეტი არა აქვს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის - ეთნოწმენდის, აპარტიდის, ასიმილაციის საფრთხის საპირწონედ.

იმთავითვე აღვნიშნეთ და მრავალგზის გავიმეორეთ, რომ სამურზაყანოში ქართული გენისა და ენის მდგომარეობის საკითხი პირდაპირ კავშირშია აფხაზეთში საუკუნეების წინ დაწყებულ-გატარებული იმპერიალისტური პოლიტიკისა (*«нужно убедить всех, что грузины заселены в Абхазию» - გავიმეორებთ ზემოთმოყვანილ*

ამონარიდს სუსლოვისეული „დოქტრინიდან“, აფსუათა მიერ ტირაჟირებულს, თითქოს ავტოქთონი ქართული მოსახლეობა სტალინ-ბერიას ჩაესახლებინოს „აფსუათა მრავალათასწლოვან სამკვიდრებელში“), პოლიტიკისა, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს „დაგვირგვინდა“ ეთნოწმენდითა და აპარტიდული რეჟიმის აღლავებით.

სამწუხაროდ, გაეროსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები ფარატინა ქაღალდ(ებ)ად რჩება და გულგრილი, ინდიფერენტული ცივილიზებული სამყარო „თავს იკავებს“ ან უარს ამბობს დევნილების საკუთარ ფუძეზე დაბრუნებაზე - ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე - ჰქონდეს სამკვიდრო და ამ სამკვიდროში - სიცოცხლისა და განვითარების უფლება.

სამარცხვინოა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვის საუკუნეში აპარტიდის, კაცობრიობის წინაშე დამნაშავეების წახალისება და „ქართულ-აფსუურ კონფლიქტად“ მონათვლა რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომისა.

რუსეთმა ვერ მოახდინა აფხაზეთის ასიმილირება ქართველი - ავტოქთონი მოსახლეობის აფხაზეთში მკვიდრობისას, რასაც მიზანმიმართულად, უიოლესად ახერხებს ქართველთა ეთნოწმენდის შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მეათედის - აფსუებისა და ათასი არაავტოქთონის რუსიფიკაციით.

მეთოდს იმპერია სრულიად საქართველოში აქტიურად იყენებდა მეცხრამეტე საუკუნეშივე. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან - იანოვსკისთან ილია ჭავჭავაძის კონფლიქტი ქრესტომათიული ისტორიაა.

„კავკასიის ადმინისტრაციამ აფხაზეთში ანტიქართული განწყობის დანერგვის, აფხაზ-ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით დაიწყო აფხაზური ალფაბეტის რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით შექმნა“, - წერს ისტორიკოსი ბ. კვარაცხელია (14, 530) და მოჰყავს ამონარიდი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის - ე. ვეიდენბაუმის (მიხაილ სუსლოვის სულიერი წინაპრის) განაცხადიდან: **«Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том – какой язык заменит его? Очевидно, что роль проводника в население культурных идей и понятий должен был бы играть не грузинский, а русски й язык..... Учреждение абхазской писменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению путем церкви и школы потребности в грузинском языке и**

постепенной замене языком государственным» [15, 96]. საგულისხმოა უკანასკნელი სიტყვა - საქართველოს ძირძველი რეგიონის - „სახელმწიფო“ ენად მეცხრამეტე საუკუნეშივე (!) რუსულია ნაწინასწარმეტყველევ-განზრახული.

იმავე - რუსიფიკაციის - მეთოდის ამუშავებას გეგმავს იმპერია აფხაზეთის ერთადერთ ნაწილშიც, სადაც ქართველები ჯერაც მკვიდრობენ - სამურზაყანოშიც.

„აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ და ენობრივ სიტუაციაში იმყოფება, სხვა ენობრივი კანონების, რუსეთის ფედერაციის მოდელის საგანმანათლებლო სისტემის გავლენის ქვეშაა. განსხვავებულია ენობრივი კონტაქტების ტიპი და შემადგენლობა, ენობრივი სტანდარტის რეგულირების პრინციპები, დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციები, მედიაენა, ონომასტიკური არჩევანი, ეს ყოველივე კი პრინციპულად ცვლის მოსახლეობის ენობრივ იდენტობას (და, საერთოდ, ერის, ეთნოსის იდენტობას). ამდენად, პოლიტიკოსებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების შემთხვევაშიც კი, ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ, შეცვლილი ცნობიერებისა და კომპეტენციის საზოგადოებათა ინტეგრაციის უაღრესად ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან“ [16, 42].

იმპერიის ოცნებაც, კონფლიქტის (რეალურად, რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომის) შედეგების აღმოფხვრისაკენ ნაბიჯების გადაუდგმელობის მიზეზიც ესაა - „განსხვავებულ, შეცვლილი ცნობიერებისა და კომპეტენციის საზოგადოებათა ინტეგრაციის“ შეუძლებლობა.

„ერისწყალს ქვემოთ დარჩათ ბერძენთა....“ - სანუგეშოდ მხოლოდ ისტორიის სპირალურობა, ციკლურობა (გვ)რჩება. იმპერიები ქრებიან, საქართველო კი „ჰგიეს უკუნისადმდე...“

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ერთ-ერთ ადრეულ ეპისტოლეში თქმულია: „25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ძირძველ კუთხესთან, აფხაზეთთან, ენგურს აქეთ დარჩენილი ქართველებისთვის გამყოფი ხაზი გაეწო და ამ ხნის მანძილზე სულ იყო მცდელობა ორი ერის ერთმანეთისგან დაშორების და გაუცხოებისა.... ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მიწა-წყალი უფლისა და დედა ღვთისას განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა და მწამს, მათი

შეწევნით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდი გამთლიანდება და აღსრულდება დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „აჰა, ესერა, რაი-მე კეთილ, ანუ რაი-მე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაი ძმათა ერთად“ [ფს.132, 1].

თუ აღარ იქნება „ქართლად ფრიადი ქუეყანაი“ (ანუ - არ აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა), ქართულად, „ქართულითა ენითა“ როგორღა „შეიწირვის ჟამი და ლოცვაი ყოველი [როგორღა] აღესრულების“ მიტაცებულ, ოკუპირებულ ქართულ მიწაზე - კონკრეტულად, სამურზაყანოშიც და სრულიად აფხაზეთშიც?! კითხვა, სამწუხაროდ, რიტორიკულია....

ლიტერატურა:

1. Mroveli L., mefeTa cxovreba, qarTuli mwerloba 30 tomad, t. 1, Tb., 1987.
2. Papasqiri Z., Tanamedrove afxazeTis eTno-demografiuli iersaxe uZvelesi droidan dRemde (zogadi mimoxilva), soxumis saxelmwifo universitetis „Sromebi“, humanitarul da socialur-politikur mecnierebaTa seria, t. 16, 2017.
3. MerCule G., Grigol XanZTelis cxovreba, qartuli mwerloba 30 tomad, t. 1, Tb., 1987.
4. WavWavaZe I., oriode sityva, Txzulebani or tomad, t. 2, Tb., 1977.
5. BaqraZe A., mecxramete saukune, qarTuli mwerloba 30 tomad, t. 9, Tb., 1992.
6. SabanisZe I., habos wameba, qarTuli mwerloba 30 tomad, t. 1, Tb., 1987.
7. Ingoroyva P., Giorgi MerCule - qarTveli mwerali meaTe saukunisa, Tb., 1954.
8. GvancelaZe T., toponimTa masobrivi cvlis mcdelobani afxazeTSi 1921-1931 wlebSi, soxumis saxelmwifo universitetis „Sromebi“, humanitarul da socialur-politikur mecnierebaTa seria, t.13, 2015.
9. Bagrationi V., aRwera samefosa saqarTvelosa, Tb., 1973.
10. ItoniSvili V., VaxuSti Bagrationi afxazeTisa da afxazebis Sesaxeb, cxum-afxazeTis mecnierebaTa akademiis „Sromebi“, N1, 2011.
11. LortqifaniZe M., afxazeTi da afxazebi, Tb., 1990.
12. Xorava B., ruseTis damkvidreba Savi zRvis Crdilo-aRmosavleT sanapiroze mecxramete saukunis ocdaaTian-ormocian wlebSi, soxumis saxelmwipo universitetis „Shromebi“, humantarul da socialur-politikur mecnierebaTa seria, t. 5, 2008.
13. GabaSvili M., Dimitri SarvaSiZis werilebi politikur movlenebsa da afxazeTze (mecxramete-meoce saukune), saqartvelos TavadaznaurTa sakrebulos almanaxi „samefo gvirgvini“ N2, noemberi, 2018.

14. Kvaraxelia B., აფხაზეთის კარიზმის დისკრიმინაციული ენობრივი პოლიტიკის საკითხისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „Sromebi“, humanitarul da socialur-politikur mecnierebaTa seria, t. 5, Tb., 2008.
15. Anchabadze Z. V. Ocherk etnicheskoi istorii abkhazskogo naroda. C., 1976.
16. NaWyebia M., აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის რადენობისა და აფხაზური ენის სტატუსის ამჟამინდელი მდგომარეობა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „Sromebi“, humanitarul da socialur-politikur mecnierebaTa seria, t. 8, 2010-2011.

ABKHAZIA - LANGUAGE CONCEPT

Nana Kutsia

PhD in Philology, Associate Professor, Sokhumi State
University, Georgia, Tbilisi, 0186, Politkovskaya Str. 61
E-mail: nkucia68@gmail.com

*Presented by O. Churgulia Institute of Georgian Language and Literature at the Tskhum-
Abkhazia Academy of Sciences*

Abstract. The article is devoted to the analysis of the problems concerning the language situation of the post-war Abkhazia, the north-west part of Georgia, occupied by Russia.

One of the main goals of the Russian Empire is to strengthen on the north-east coast of the Black Sea. The Russians landed and captured the north-east of Georgia in order to gain a foothold on the northeastern coast of the Black Sea.

The tragic events of 1992-1993 which resulted in the ethnic cleansing of the aborigine Georgian population in Abkhazia radically changed the ethno-demographic and linguistic picture of the region.

“Toponymic war” took place in Abkhazia in the period of 1990s. At this period new geographical names (such as the names of Abkhazian military persons) appeared on the map of Georgia instead of names of Georgian origin. Most of the cancelled names are either Russian or derived from the Russian language.

In Abkhazia there are investigated the language peculiarity of the population living there at present which differ significantly from those in other parts of Georgia due to the influence of the educational system of the Russian Federation.

The article touches upon the status of the Georgian and Abkhazian languages. The study of the factual materials has shown that the “independence” of Abkhazia has not brought the feeling of full value. The goal of Russia in Abkhazia is russification of the territory and its adsorption into the empire. It’s too easy after ethnic cleansing of the Georgian population and changing in ethno-demographic and linguistic picture of Abkhazia – the north-west part of Georgia.

Keywords: *Language, History, Toponym, Occupation, Ethnical Cleaning.*

გერონტი ქიქოძის ლიტერატურულ - კრიტიკული ნააზრევიდან

ეკა ვარდოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, ქართული ლიტერატურის ისტორიის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურღულიას
სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. მეცნიერული კვლევისას გერონტი ქიქოძე ეყრდნობოდა რუს და დასვლეთ ევროპელ მწერალთა და ფილოსოფოსთა ნააზრევს. იგი იყო ბრწყინვალე მთარგმნელი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე.

ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ იგი შემდეგ წერილებსა და ნარკვევებში გვესაუბრება: „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“, „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, „ილია ჭავჭავაძე“, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, „პოეზია და სინამდვილე“. „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ილია ჭავჭავაძის შესახებ მნიშვნელოვანია გ. ქიქოძის შემდეგი დებულებები: ილიამ სალიტერატურო ჟანრებისა და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა. ილიას იგი მიიჩნევს პირველ ქართველ მწერლად, რომელმაც პოეზიას თავის სამშობლოს უახლოესი სინამდვილე დაუდო საფუძვლად. ამასთანავე, ქიქოძე თვლის, რომ პატრიოტული ლექსების უმრავლესობა პროგრამული ხასიათისაა ან განსაზღვრული თემის განვითარებას წარმოადგენს. „განდებილი“ მას ყველაზე აბსტრაქტულ ქმნილებად მიაჩნია ილიას ნაწარმოებთა შორის, რომლის მორალი სრულიად გარკვეულია, ესაა ასკეტიზმის უარყოფა ჰუმანიზმის სახელით. ასევე აღნიშნავს, რომ ილიამ, როგორც მხატვარმა, განსაკუთრებით სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი ნაწერებით გაითქვა სახელი. 1936 წლით დათარიღებულ წერილში „ქართლი კულტურის ტრადიციები

და ილია ჭავჭავაძე“ გ. ქიქოძე ასკვნის: „რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაანთავისუფლა ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან, მან ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა. მხოლოდ რუსთაველის დროს ყველაზე მოწინავე წინა აზრის და ბიზანტიის კულტურა იყო. ილიას დროს კი დასავლეთ-ევროპის კულტურა“ (გ. ქიქოძე).

გ. ქიქოძისეული თვალთახედვა ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ აქტუალური და მნიშვნელოვანია დღესაც.

საკვანძო სიტყვები: ქიქოძე, ჭავჭავაძე, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, შეფასებები.

გერონტი ქიქოძის ლიტერატურულ - კრიტიკული ნააზრევის შესახებ უფრო გაგვიოლდება საუბარი, თუ გავითვალისწინებთ, რომ გერონტი ქიქოძე ღრმად და საფუძვლიანად ფლობდა ყველა ჰუმანიტარულ დისციპლინას. ზედმიწევნით იცოდა როგორც ანტიკური, ბერძნული, ისე საშუალო საუკუნეთა და ახალი ფილოსოფია. თავის ლიტერატურულ ნარკვევებსა თუ წერილებში ხშირად მიმართავდა ძველ ბერძნულ, რომაულ, აღორძინების ხანის ლიტერატურასა და ხელოვნებას. ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული ლიტერატურის შედეგები მისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. 1903 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად იგი გაემგზავრა გერმანიაში. სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1910-1913 წლებში გერონტი ქიქოძე ცხოვრობდა ბელგიაში და სწორედ 1910 წლიდან ბრიუსელში დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი ცნობილია, როგორც ბრწყინვალე მთარგმნელი. მან თარგმნა წიგნი „ტრისტანისა და იზოლდასი“, ანატოლი ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“, სტენდალის „იტალიური ქრონიკები“, „წითელი და შავი“, ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“ და სხვა არა ერთი, ლიტერატურული თუ პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოები.

გერონტი ქიქოძე იყო კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, რომელიც ცდილობდა ევროპულ სააზროვნო ტრადიციებზე დაყრდნობით გაეაზრებინა ქართული ლიტერატურული პროცესი.

ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ იგი გვესაუბრება რამდენიმე წერილში: „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“, „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, „ილია ჭავჭავაძე“, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, „პოეზია და სინამდვილე“.

ურიგო არ იქნება, თუ საუბარს დავიწყებთ მისი ლიტერატურული წერილიდან „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, აიხსნას ილიას ფენომენი, როგორც საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პიროვნების. შეგვიძლია, რამდენიმე პუნქტად ჩამოვყალიბოთ ისინი.

1. „ქართველი „განმანათლებელნი“, თერგდალეულნი, როგორც მათ ლიტერატურულმა მოწინააღმდეგეებმა უწოდეს, წინაპრებივით სამხრეთისკენ კი არ მიდიოდნენ, ღვთისმეტყველების, რომაული უფლების ან ბერძნული ფილოსოფიის შესასწავლად ან ფახრედინ გურგანელის და ნიზამი განჯელის პოეტური მეტყველების გასაცნობად, არამედ ჩრდილოეთისკენ, რუსეთის ყამირ ნიადაგზე ახლად გადმონერგილი ევროპული მეცნიერების და სიტყვაკაზმული მწერლობის ასათვისებლად, ამ თერგდალეულთა რაზმში ილიას მეთაურის ადგილი უჭირავს.

2. ქართველ მწერლებს შორის თავდაპირველად ბედს ისე თითქო არავინ არ გაუწევივრებია, როგორც ილია გაანებივრა, და თუ მისი ცხოვრების გზა ტრაგიკულად არ შეწყვეტილიყო, ის საერთოდ მზიანად ჩაითვლებოდა.

3. თუ ყველაზე უფრო სულის გამოძრთობი სიყვარული ისაა, რომელიც ადამიანს მშფოთვარე ღამეებში ესიზმრება, ასეთი სიყვარული ილიას ჩააგონა ახალგაზრდა ჩაიკოვსკის ქალმა.

4. მან სიკვდილამდე შეინარჩუნა როგორც ხასიათის მთლიანობა, ისე აზრის სიმახვილე, რომელიც დღეს შეიძლება არა ნაკლებ დასაფასებელია, ვიდრე მისი მხატვრული სახეები.

5. არაფერი ადამიანური უცხო არ იყო მისთვის. ცნობილია, რომ ის ადვილად ვერ ითმენდა შეპასუხებას, თუმცა, თავის თანამედროვეებშიც და წინაპრებშიც ყველაზე მეტად ხასიათის სიმტკიცესა და ქედის მოუხრელობას აფასებდა. ის ყოველთვის სამართლიანი არ იყო თვისი მოწინააღმდეგეებისადმი.

6. მთელი მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის უდიდესი საკითხი მის სიცოცხლეში გადაუჭრელ საკითხად დარჩა“ [1, 122-125]. წერილს გერონტი ქიქოძე ასრულებს ციტატით ილია ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი“, სადაც იკითხება კავკასიის თავისუფლებისა და ერთიანობის იდეა. წერილი დათარიღებულია 1936 წლით.

წერილში „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, ავტორი ამბობს: „მხატვრული სიტყვის ოსტატებს შორის საქართველოში რუსთაველის შემდეგ შეიძლება არავინ არ არის ისე პოპულარული, როგორც ილია ჭავჭავაძე. მათ ერთმანეთისაგან შვიდი საუკუნე ჰყოფს, მათი მოღვაწეობა სხვადასხვაგვარ კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა; სხვადასხვაგვარია მათი მსოფლმხედველობა, მათი პოლიტიკური იდეები და ზნეობრივი ფიზიონომია. შოთა რუსთაველი ილია ჭავჭავაძეს დიდად სჭარბობს მხატვრული შემოქმედების ძლიერებით, აზროვნების სიღრმით, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ევოლუციაში მათ რამდენიმედ ანალოგიური როლები შეასრულეს. რუსთაველის მსგავსად ილიამაც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინა: მან ის გაათავისუფლა არქაული, მწიგნობრული ნორმებისაგან და ხალხის სალაპარაკო ენას დაუახლოვა; რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან, მან ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა. მხოლოდ რუსთაველის დროს ყველაზე მოწინავე წინა აზრის და ბიზანტიის კულტურა იყო ილიას დროს კი დასავლეთ-ევროპის კულტურა“ [1, 126]. როგორც ვნახეთ, გერონტი ქიქოძე უმაღლეს შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალსა და რეფორმატორს. თავისი მოღვაწეობით ადარებს მას შოთა რუსთაველს. თვლის, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატებს შორის საქართველოში რუსთაველის შემდეგ არავინაა ისეთი პოპულარული როგორც ილია, მათ ანალოგიური როლები შეასრულეს როგორც სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების, ასევე ლიტერატურის ევოლუციის საკითხში.

გერონტი ქიქოძეს მიაჩნდა, რომ ძირითადი იდეა, რომელიც ილიას აზროვნებას ფლობს, არის იდეა ადამიანის გონების ძლევამოსილებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესისა. ნაციონალური ინტერესებიდან

გამომდინარე, ილიას საჭიროდ მიაჩნდა კლასთა ბრძოლის შენელება და წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა.

გ. ქიქოძე განმარტავს, „ილია ამბობდა, ცარიელი უარყოფილობა, კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებლად, დიდი უაზრობაა, რომ ერთადერთი გზა ცდომილებიდან ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ჰოს და არას დაპირისპირებააო“ [1, 132].

„ჰუმანისტური და სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებრივი ჩამორჩენილობისა და მორალური სიდუხჭირის გადალახვა და წინსვლა სრულქმნილი ადამიანობისა და სოციალური ჰარმონიისაკენ. თვით მომავალი წესწყობილება, როცა შრომას ბორკილები აეხსნება, როცა ცად მიღწეული მძლავრი კავკასიის ტომნი ერთი აზრით განდიდდებიან, ხოლო ქართველობის სახელი საამაყოდ ექნება საქართველოს ყოველ ერთგულ შვილს, ილიას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ჭეშმარიტების გულისათვის აღძრული ბრძოლის შედეგი, ეს იდეები მან პოეტურად გამოთქვა თავის „აჩრდილში“ [1, 132]. მკვლევარი კვლავ უბრუნდება „აჩრდილში“ დასმულ პრობლემებს, რადგან პოემაში ილია ეხება როგორც სოციალურ და ეროვნულ, ასევე ზნეობრივ საკითხებსაც. ილიასათვის მნიშვნელოვანია სრულქმნილ გარემოში სრულყოფილი ადამიანის არსებობის საკითხი, რაც ქრისტიანულ იდეალებთანაა დაკავშირებული მთელ მის შემოქმედებაში. გ. ქიქოძეს მიაჩნია, რომ ილიას პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო და მოითხოვდა მსხვერპლთშეწირვას, „მაგრამ იყო ერთი დარგი, სადაც ილია შუა საუკუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა თუ თავისი იდეოლოგიით არა, ყოველ შემთხვევაში თავისი განცდებით; ეს იყო ეროვნული მოღვაწეობის დარგი. მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო. სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც მსხველპთ შეწირვა. ის ამბობდა, რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, როგორც მეზრდოლ პატრიოტს მას მღვიმარე სული ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელივით.

ეს მღვიმარე პატრიოტიზმი სრულადაც არ გულისხმობდა სხვა ერების დაჩაგვრას ან უპატივცემულობას: ის მხოლოდ თავდაცვის იარაღი იყო“ [1, 133-134].

ვფიქრობთ, ძირითად რაც ქიქოძის წერილში იკითხება, გახლავთ ის, რომ „ილია ჭავჭავაძე მოწინავე ევროპულ აზროვნებას დაუკავშირდა თავისი ძირითადი იდეებით. ესაა იდეა დემოკრატიისა არა ვიწრო კლასობრივი, არამედ ფართო ჰუმანისტური და კულტურულ-ეთიკური გაგებით“ [1, 135].

მწერლის უდიდეს დამსახურებად მკვლევარს მიაჩნია ის, რომ ილიამ სალიტერატურო ჟანრების და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა. პეიზაჟის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატად მიიჩნევს მას, რომელსაც წინამორბედთაგან მხოლოდ ბარათაშვილი და ორბელიანი, მემკვიდრეთაგან მხოლოდ ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა თუ შეედრებიან.

1909 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა გერონტი ქიქოძის ლიტერატურული წერილი „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, სადაც იგი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის გვერდით განიხილავს. აღსანიშნავია, რომ ილიას პირველი შემფასებელი და კრიტიკოსი მისი თანამედროვე და თანამებრძოლი აკ. წერეთელი იყო. თავის წერილში „რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ მან პირველმა აღნიშნა, რომ: „ეგ თქვენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვს ჩვენს ლიტერატურაში ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ, ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია“ [2, 12].

ამით აკ. წერეთელმა ნათელყო, „რომ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები სულიერი ობლობის, ადამიანის დანიშნულების, სიკეთისაკენ მარადიული სწრაფვისა მსჭვალავს ილიას ლირიკასაც“ [3, 25].

როგორც გ. ქიქოძე შენიშნავს, „და მართლაც, წაართვით ადამიანს მისი გრძნობები და თქვენ წაართმევთ და თან გაიყოლებთ მისი ადამიანობის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს - სამირკველს მისის თავისებურებებისას, მისის განუმეორებლობისას, მის სულიერ ბეჭედს, რომელიც ყველაზედ უფრო ასხვავებს და აცალკევებს მის „მე“-ს ამ ქვეყანაზე. ამოცალეთ ნაპოლეონს დიდების სიყვარული, ბაირონს და ბარათაშვილს - მსოფლიო გოდება, შოპენჰაუერს - პესიმისტური სულიერი წყობა, რომეოს და ჯულიეტას - სიყვარულის სინაზე, განდეგილს - სარწმუნოებრივი გრძნობა და ხელში შეგრჩებათ სიწვრილმანე იქ, სადაც სიდიადე იყო, უფერულობა იქ, სადაც მრავალფეროვნება ბატონობდა,

უსახელო ადამიანი იქ, სადაც სახელოვანი და ბრწყინვალე პიროვნება იყო. პიროვნება კუნძულია, კუნძული ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში და მისი საზღვრები იწყება იქ, სადაც მისი გრძნობები იწყება“ [4, 33]. საფიქრებელია, რომ ლირიკაში „მე“ განსხეულდება ლირიკულ სუბიექტში, ლირიკული „მე“, ფსალმუნებიდან და ჰიმნოგრაფიიდან იღებს სათავეს.

„უდიდესი გენიოსები ყოველთვის სულიერ ობლობას, უთვისტომობას, ბრბოს გაუგებრობას თვლიდნენ თავიანთ უსაშინლეს სასჯელად. ი. ჭავჭავაძე ტირის არა თავის ტანჯვას, არამედ იმას, რომ ეს მისი ტანჯვა მამულისათვის არავის ესმის“ [4, 45].

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
 ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
 რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
 რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“ [5, 119].

ამავე წერილში გ. ქიქოძე საკმაოდ ვრცლად განიხილავს ილიას „განდეგილს“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნარკვევში „მე-19 ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, მკვლევარი საკმაოდ მცირე დროს უთმობს „განდეგილს“, როდესაც ილიას შემოქმედებაზე გვესაუბრება, ამგვარად ეს წერილი ერთგვარად ავსებს აღნიშნულ ნარკვევს.

„განდეილში“, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, „გამოიხატა მთელი კაცობრიობის, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოებრივი შეგნების ორი უმნიშვნელოვანესი ტიპის - ბუდიზმისა და ქრისტიანობის დამახასიათებელი ტრაგედია. ორივე სარწმუნოებას აერთებს სწორედ ის თვისებები, რომელთა მატარებელიც განდეგილია: ამაღლება ამქვეყნიურ მატერიალურ არსებობაზე. სიძულვილი სხეულისადმი მის მოთხოვნილებათა დათრგუნვა, მის ზრახვათა და ვნებათა უარყოფა, ცოდვად და წარწყმენდად მიიჩნევა თვით უდიდეს ადამიანურ გრძნობათა და მისწრაფებათა განყენება წუთისოფლის მაცდურებისგან და ნირვანის ან მარტდომარტო დაყუდების დადასტურება“ [4, 60].

ცხოვრებისაგან განდგომილი ადამიანი თვით ცხოვრებამ მონახა და მოსთხოვა პასუხი, „მშვენიერი ქალწულის სახით განდეგილის შეგნებაში ამოცოცდა მისი ბიწიერი „მე“, რომელიც მას სამუდამოდ მკვდარი ეგონა, მის გულისყურამდე

მიადწია სულმა დედამიწისამ, წარმტაცმა ხმამ, რომელიც მას ბარისაკენ იწვევს, უამბობს თუ რა ლამაზი, მომხიბლავი, მრავალფეროვანია წუთისოფელი“ [4, 66].

გ. ქიქოძე „განდეგილზე“ საუბრისას დასკვნის სახით აყალიბებს შემდეგ დებულებას: „განდეგილი რომ ზერელე გრძნობის და აზროვნების ადამიანი ყოფილიყო, ადვილად შესძლებდა საბოლოოდ დაეთმო თავისი ძველი იდეალი, შერიგებოდა ახალ ბედს და წყნარად დაბრუნებულიყო ბარში, რათა აქ მშვიდობიანად დაელოა დღენი თავისი ცხოვრების. მაგრამ მისი ტრაგიზმი სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ ეს თითქო რკინისაგან ჩამოსხმული პიროვნება ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც იდეალი სავსებით ჰფლობს, რომელსაც იდეალი იმდენად აქვს სისხლსა და ხორცში გამჯდარი, რომ მისი დაკარგვა ინდივიდუალური არსებობის მოსპობას იწვევს.

განდეგილთან ერთად დამარცხდა ის იდეალიც, ის განუსაზღვრელი მსოფლმხედველობაც, რომლის უძლიერესი წარმომადგენელიც ის იყო: როგორც გოეთეს ფაუსტში, ისე აქ, პირველად ქართულ პოეზიაში, ქრისტიანულმა იდეალმა ქედი მოიხარა ჰუმანიტარული იდეალის წინაშე, რომელმაც ცალმხრივ ზეკაცობას, ასკეტურ წმინდანობას დაუპირისპირა იდეა ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულებად დასახა არა მზადება საიქიო ცხოვრებისათვის, არამედ ამქვეყნიური არსებობის გარდაქცევა მოქმედების მიზნად და სარბიელად, ეს დიადი ჰუმანიტარული იდეალი აკავშირებს ი.ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილთან და მასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ლიტერატურულ მიმდინარეობასთან“ [4, 69-70].

წერილის დასასრულს მკვლევარი განმარტავს ტრაგიზმის ხატვის საბოლოო მიზანს.

„ტრაგიკული გმირის ქცევაში ყოველთვის არის რაღაც განმასპეტაკებელი და აღმაფრთოვანებელი, უდიდესი ადამიანობის მატარებელი, ეს გრძნობა უფრო ნათლად გამოიხატა „ფიქრში მტკვრის პირად“, „მერანში“ და „დემეტრე თავდადებულში“, სადაც ტრაგიზმის განვითარება უთითებს იმ საქმის მომავალ გამარჯვებაზე, რომლის გულისთვისაც დაიღუპა ძლიერი პიროვნება“ [4, 75].

გერონტი ქიქოძის წერილი „პოეზია და სინამდვილე“ „სახალხო ფურცელში“ 1914 წელს დაისტამბა. აღნიშნულ წერილში ავტორი სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებაზე საუბრობს და თვლის, რომ იგი იწყება ზეპირი სახალხო პოეზიით.

ეხება სახალხო პოეზიაში რეალიზმის ჩასახვის პირველ ცდებს და თვლის, რომ ამ ჩარჩოებში მომწყვდეული სინამდვილე ფართოდება კულტურის განვითარებასთან ერთად და აქ ფსიქოლოგიური რეალიზმი იჩენს თავს.

ვფიქრობთ, წერილის სათაური შერჩეული უნდა იყოს გოეთეს თხზულების „ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილის“ გავლენით. ეს თხზულება ხელმისაწვდომი იყო ქართული საზოგადოებისათვის, რადგან „გოეთეს „ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილე“ გახდა აკაკი წერეთის შთაგონების წყარო, როდესაც იგი „ჩემ თავგადასავალს“ წერდა“ [6, 80]. სავარაუდოა რომ, აღნიშნული ნაწარმოები გერონტი ქიქოძისთვისაც იქნებოდა ცნობილი.

ავტობიოგრაფიული თხზულების შესავალ ნაწილში გოეთე განმარტავს: რომ „ბიოგრაფიის მთავარი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ადამიანი წარმოადგინო თავის ეპოქასთან კავშირში და აჩვენო, რამდენად მავნე ან კეთლისმყოფელია მისთვის დროება, როგორ შეიქმნა მან საკუთარი მსოფლმხედველობა, ან როგორ შეიძინა ადამიანის შეცნობის უნარი, და თუ ის ხელოვანი, პოეტი ან მწერალია, ეს ყველაფერი მის სულში როგორ აირეკლა და კვლავ გარეთ როგორ გადმოიფრქვა“ [7, 236]. ანუ, როგორ ხედავს მწერალი საკუთარ სამყაროს და მის გონებაში ირეალურთან შერწყმის შემდეგ როგორ აცნობს მკითხველს.

წერილში გერონტი ქიქოძე შენიშნავს, „ლიტერატურის განვითარება ბრძოლაა ესთეტიკური სინამდვილის გასაფართოებლად. დიდი მწერლები ამ ბრძოლაში გამოჩენილი სარდლების როლს თამაშობენ: ისინი ან ხელუხლებელ ციხეებს იღებენ, ან უკვე დაპყრობილ ნიადაგზე ახალ სიმაგრეებს აშენებენ“ [8, 164].

ამ მხრივ ქართველი მწერლებიდან მკვლევარი რუსთაველს, ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძეს ანიჭებს უპირატესობას.

„ყველაზე დიდი და პრინციპულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ, სინამდვილის დაპყრობაშია, რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ გადადგეს. პირველი ძლიერია როგორც შემოქმედი, მეორე როგორც მეთვალყურე. მომავალ თაობათა ხსოვნაში პირველი იცოცხლებს როგორც დიდი მგოსანი, მეორე როგორც „ადამიანური დოკუმენტების“ შემგროვებელი.

„კაცია ადამიანსა“, „კაკო ყაჩაღსა“, „გლახის ნაამბობსა“, „ოთარაანთ ქვრივსა“ და სხვა უფრო პატარა ნაწარმოებებში ი. ჭავჭავაძე ჰქმნის ქართული სინამდვილის სარკეს. ეს სარკე არ არის ყველგან პირსწორე: ის ალაგ-ალაგ პირმეხრილია და

ამიტომ სინამდვილის უტყუარი სურათის მაგივრად ხშირად დაგრძელებულ ფიგურებს იძლევა. ელემენტები სინამდვილიდანაა აღებული, მხოლოდ მათ შორის პროპორცია არ არის დაცული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ დიდი სარკის ზედაპირზე ბევრად მეტი საგანი გამოსჭვივის, ვიდრე ზოგიერთი ოსტატის გალაქულ და გამალამინებულ დაზგაზე“ [8, 166-167].

გერონტი ქიქოძე თვლის, რომ ილიას პოეზიას, სამშობლოს უახლოესი სინამდვილე უდევს საფუძვლად, თუმცა „ბაზალეთის ტბა“ უკვე სცილდება რეალისტური ლირიკის საზღვრებს, აქ თვითთელი საგანი ნიშნავს არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც რაც მის უკან იმალება. ესაა უმშვენიერესი ნიმუში სიმბოლური პოეზიისა, იმიტომ რომ იდეები და პრობლემები აქ გადმოცემულია არა განყენებულ ცნებებში, არამედ უბრალო მხატვრულ სურათებში“ [8, 169].

გერონტი ქიქოძის მიერ თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ჩამოყალიბებული თვალთახედვა ილიას ფენომენის შესახებ მნიშვნელოვანია, აქტუალურია დღესაც და ეხმიანება თანამედროვეობას.

ლიტერატურა:

1. Kikodze Geronti, Collection in 3 Volumes. Vol., I, Tbilisi, 1963 (in Georgian).
2. Tsereteli Akaki, Collection in 5 Volumes, Vol., IV, 1990 (in Georgian).
3. Vardoshvili Eka, Religiuri nakadi Ilia Chavchavadzis lirikashi, Tbilisi, 2003 (in Georgian).
4. Kikodze Geronti, Collection in 3 Volumes. Vol., II, Tbilisi, 1964 (in Georgian).
5. Chavchavadze Ilia, Collection in 20 Volumes., Vol., I, Tbilisi, 1987 (in Georgian).
6. Vardoshvili Eka, Axali kartuli literature da evropuli mcerloba, Tbilisi, 2018 (in Georgian).
7. Goethe, „Chemi cxovreba. Poezia da sinamdvile“, Jurnal: „Saunje“, N1 (112), Tbilisi, 2000 (in Georgian).
8. Kikodze Geronti, Werilebi, eseebi, narkvevebi, Tbilisi, 1985 (in Georgian).

FROM LITERARY – CRITICAL THOUGHT OF GERONTI KIKODZE

Eka Vardosvili

PHD in Philology Associated Professor, Educational-
Scientific Institute of the History of Georgian Literature,
IV. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*Presented by Institute of Language, History and Literature at the Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Abstract. During Geronti Kikodze's scientific researches he relied on thoughts of West-European writers and philosophers. He was a brilliant translator, critic and theorist of literature.

He speaks of Ilia Chavchavadze's personality and works in the following letters and essays: "Ilia Chavchavadze for a portrait", "Traditions of Georgian Culture and Ilia Chavchavadze", "Ilia Chavchavadze", "Sense of tragic in Georgian poetry", "Poetry and reality", "From History of Georgian Literature of 19th century". G. Kikodze's following provisions about Ilia Chavchavadze are significant: Ilia democratized literary genres and types. He considered Ilia to be the first Georgian writer who based poetry on the nearest reality of his homeland. Besides, Kikodze thinks that the majority of patriotic poems are of programmed character or they develop some definite subject. He considered "The Hermit" as the most abstract creations among Ilia's works, the moral of which is completely clear, which is rejection of asceticism in the name of humanism. He also notes that Ilia as an artist became famous especially with his writings on social issues. In a letter dated on 1936 "Kartli, traditions of culture and Ilia Chavchavadze" G. Kikodze concludes: "Like Rustveli Ilia Chavchavadze freed Georgian Literature from national seclusion, he united healthy traditions of Georgian culture with a great ideological movement of advanced mankind. Only in times of Rustaveli culture of Asia and Byzantine was most advanced, but in Ilia's times – culture of West- Europe" (G. Kikodze).

G. Kikodze's viewpoint on I. Chavchavadze literary heritage is relevant and important even today.

Keywords: *Kikodze, Chavchavadze, Literary-critical letters, evaluations.*

„ტყაშმაფა“ და მეგრული წარმართული პანთეონი

ნანა აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ზუგდიდის დადიანების

სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული

მუზეუმი

E-mail: abuladze777@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურღულიას
სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ განვითარების ძალიან რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო. მეგრული სულიერი კულტურის განხილვა უძველესი ქართული ტრადიციის გარეშე შეუძლებელია. მეგრული ეთნოგრაფიული ყოფა და ზეპირსიტყვიერი მასალა საშუალებას გვაძლევს ჯეროვნად იქნეს შესწავლილი წარმართული პანთეონი ზოგადქართულ და მსოფლიო წარმართულ პანთეონთან ერთად. მითოლოგიურ პერსონაჟებზე არსებული ადრინდელი თქმულებები და გადმოცემები მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ წერილობითი წყაროების უქონლობის გამო ამგვარი თქმულებები და გადმოცემები ხალხის ყოფას გადმონაშთის სახით შემორჩა, რომელიც აუცილებელია იმ შეხედულებების აღსადგენად, რომლითაც იკვებებოდა ჩვენი წინაპრების გონება.

საკვანძო სიტყვები: მეგრული წარმართული პანთეონი, ტყაშმაფა, ოჩოკოჩი, მახუთელა, მაგიური თვისებები.

მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში გვაქვს ფოლკლორულ შემოქმედებაში დადასტურებული ყველა ძირითადი ჟანრი. ეპიკური ტრადიცია მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად ზღაპრების სახით არის წარმოდგენილი. ზღაპრული ეპოსი უადრესად მრავალფეროვანი ჟანრია ხალხური სიტყვიერებისა, რომელიც „უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ასახავს მისი შემოქმედი ხალხის

რწმენასა და მისწრაფებას. მან განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო და დღემდე მოაღწია, როგორც მაღალგანვითარებულმა მხტვრულმა ქმნილებამ. ამ ჟანრს იცნობს ყველა კულტურული ხალხი და პრიმიტიული ტომი“ [1, 1998: 6]. ზღაპარს საქმე აქვს პიროვნულობასთან, მისი სურვილების რეალიზაციასთან, ის სუბიექტურია, ამის გამო მისი გმირი - ხალხია და არა ღმერთები და წმინდანები [2, 1976:55].

მეგრულ ჯადოსნურ ზღაპრებში ჭარბად არის შესული ადგილობრივი ყოფის ამსახველი მოტივები. ამჯერად საუბარი გვექნება სამონადირეო ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური პერსონაჟის, ტყაშმაფას გარშემო, რომლის შესახებ სიუჟეტები დღემდეა შემონახული მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში.

ტყაშმაფას ფუნქცია წარმართულ პანთეონში მნიშვნელოვანია. ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალასა და ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები გვაძლევენ საშუალებას დავასკვნათ შემდეგი: საქართველოში უძველეს დროში „...უეჭველია, უნდა ყოფილიყვნენ ყველა ტომთათვის საზოგადო ღვთაებანი და, ამასთანავე, თითოეულ ტომს თავისი საკუთარი ღვთაებანი ეყოლებოდა; თანდათან დროთა განმავლობაში გაერთიანების და დანარჩენებზე გაბატონების დროს ზოგიერთი საკუთარი ღვთაებანი საზოგადოდ ხდებოდნენ“ [3, 1960: 39]. ამ დასკვნიდან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილი განიხილავს ნადირთა და მონადირეობის ღვთაებებს: ანატორს, ოჩოპინტრეს და ბოჩს. ხევსურები ნადირთმფარველ ღვთაებებს „ოჩოპინტრეს“ ეძახიან, იგი უხილავია [3, 1960: 72].

ტყაშმაფა (ტყის მეფე) ქართული წარმართული დარგობრივი ღვთაებების ერთ-ერთი ძლიერი წარმოდგენელია. ცნობილია, რომ „ქართველთა მითოლოგიის უკანასკნელი საფეხური დარგობრივი ღვთაებებით იყო წარმოდგენილი IV საუკუნის წინ... ასე, მაგალითად, მონადირეობას ჯერ „ნადირთ მწყემსი“, მატრიარქატის დროინდელი მშვენიერი ქალღმერთი დალი განაგებდა, ხოლო შემდეგ მისი საქმე კაცთღვთაებამ დაიმკვიდრა [4, 1959: 282].

ელენე ვირსალაძე აღნიშნავს, რომ „მეგრელების წარმოდგენით, ნადირთ პატრონი „ტყაშმაფა“, ტყის მეფე, ლამაზი ქალია, რომელსაც ორი გრძელი და ოქროსფერი ნაწნავი აქვს. მონადირის ბედ-იღბალი მასზეა დამოკიდებული [5, 1964: 31].

მეგრულად „ტყა“ ტყეს ნიშნავს, „მაფა“ – მეფეს. ტყის მეფე მრავალმხრივ არის დახასიათებული მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში. პირველი ჩანაწერები ტყაშმაფაზე შესრულებულია XIX საუკუნის 90-იან წლებში ი. ტეპცოვის მიერ. მან 1894 წელს „მასალათა კრებულის“... მე-18 ტომში გამოაქვეყნა სამეგრელოში მის მიერ შეკრებილი საინტერესო მასალები საერთო სათაურით: „მეგრელთა ყოფისა და რწმენის ისტორიიდან“. ჩანაწერი მიუთითებს, რომ სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა ტყაშმაფას არსებობის შესახებ [6,1894:12].

90 წლის წალენჯიხელ ჯათუ შანავასაგან ი. ტეპცოვს შესანიშნავი თქმულება ჩაუწერია ტყაშმაფას შურისძიებაზე. აი, ისიც: „...ყვირას მთაზე არის სამი მოზრდილი ქვა, მათ შორის ყველაზე დიდ ქვას მონადირის სახე აქვს, რომელიც თითქოს მხარზე თოფგადებული წინ მიიწევს. დანარჩენ ორ ქვას კი ძაღლის სახე აქვს. ისინი მონადირეს მისდევნენ. აი, რას მოგვითხრობენ მოხუცები ამის შესახებ: ჯვარში ოდესღაც ცხოვრობდა განთქმული მონადირე. ერთხელ ის ირემმა უღრან ტყეში შეიტყუა, აქ კი შეხვდა ტყაშმაფას, რომელმაც მონადირეს თავისი სიყვარული შესთავაზა. მონადირე დათანხმდა და ამის შემდეგ ნადირობის ბედს ეწია, იმ მხარეში სულ გაწყვიტა ნადირი. ამ მონადირეს ჰყავდა ლამაზი ცოლი, რომელიც ძალიან უყვარდა. თურმე ცოლი განცვიფრებული იყო ქმრის ასეთი წარმატებით ნადირობაში და ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო: ალბათ, ვიღაცის დახმარებით ხოცავს ამდენ ნადირსო. დიდხანს უმაღავდა მონადირე ცოლს საიდუმლოებას, ბოლოს გაუმხილა. ამის შემდეგ მონადირეს ხელი მოეცარა, იღბალი ჩამოშორდა. ერთხელ მონადირე თავის კარებთან იდგა და ფიქრობდა, თუ რატომ მოეცარა ასე ხელი. უცბად ძაღლებმა ყეფა ატეხეს. მონადირემ დაინახა ირემები, რომლებიც იქვე ფერდობზე გამოსულიყვნენ. მყისვე გამოიტანა თოფი და ესროლა, მაგრამ ამაოდ. ძაღლები და მონადირე დაედევნა ირემებს. ირემები ყვირა მთისკენ გაემართნენ და თითქოს მონადირეს აჯავრებენო, ხან შეჩერდებოდნენ და ხან გაიქცეოდნენ. ბოლოს მიაღწიეს მწვერვალს. მონადირემ თოფი დაუმოხნა, მაგრამ უცბად მოუბრუნდა ერთი ირემი და დაუყვირა: „შეჩერდი, არ ისროლო, მოვიდა შენი აღსასრული, – მითხრი, რას ისურვებდი, რად გინდა, რომ გაქციო“. მონადირე მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, მოაგონდა თავისი შეხვედრა ტყაშმაფასთან, მოაგონდა ცოლიც, მაგრამ ამდენი ფიქრის დრო არ იყო, ირემი დაუყონებლივ მოითხოვდა პასუხს. მონადირემ იფიქრა: თუ ვეტყვი, ხედ მაქციეო, მწყემსები გამოივლიან, მომჭრიან და

დამწვევნო, გადაიდო თოფი მხარზე, გაემართა ირმისკენ და უთხრა: ქვად მაქციეო. სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ძაღლებთან ერთად ქვად იქცა. ყოველწლიურად, ამ საბედისწერო დღეს, მონადირე და მისი ძაღლები ცოცხლდებიან, მინდორში გაისმის ძაღლების ყეფა და სროლის ხმა. ამ თქმულებაში ყურადღებას იქცევს გაქვავების მოტივი, რომელიც უფრო ზღაპრული ეპოსისათვის არის დამახასიათებელი. ტყაშმაფასგან განსხვავებით, დალი კი არ აქვავებს, არამედ უკან დასაბრუნებელ გზას ჩაუშლის კლდის წვერზე ასულ მონადირეს (ამ შემთხვევაში – ბეთქილს), ანდა ნასროლ ტყვიას თვით მონადირეს დაუბრუნებს და ისე ღუპავს მას. ამას გარდა, „დალმა აუცილებლად უნდა დაიტყოს თავისი მკვდარი სატყფო. გახადოს მას ტანისამოსი, ჩააცვას ახალი. სვანეთში მიღებული წესით, მონადირის საფლავს სამი ღამის განმავლობაში დარაჯობენ, რათა დალმა არ ამოიღოს მკვდარი საფლავიდან და არ დაიტყოს იგი“ [6, 1894: 108]. ეს საგულისხმო მოტივი საერთოდ უცნობია ტყაშმაფასთან დაკავშირებული თქმულებებისათვის.

ბაბუასა და ბებიას ერთადერთი ლამაზი შვილიშვილი ჰყავდათ. ბაბუა მას არიგებდა: ყანაში სადილს როცა მომიტან, გზაზე შეიძლება ტყის მეფე (ტყაშმაფა) შეგხვდეს, რაც უნდა გითხრას, არამც და არამც ხმა არ გასცეო. მართლაც, ამ ბიჭს ერთხელ ტყის მეფე შემოხვდა. ქალმა რა არ მოიმოქმედა, მაგრამ ბიჭმა ხმა მაინც არ გასცა. ბოლოს ქალმა ოთხჯერ აკოცა და უთხრა: – ჩემთან იცხოვრე, ნუ გეშინია, არავინ დაგინახავს, ჩემი რბილი და შავი თმა დაგვიფარავს, ჩემი თეთრი კბილები გაგვინათებს, ჩემი განიერი მკერდი გაგვათბობს. ბიჭმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ტყის მეფემ ათი თითი აჩვენა, ბიჭმა – ხუთი, ქალმა ახლა შვიდი თითი აჩვენა, ბიჭმა – სამი, ქალმა ხუთი თითი აჩვენა, ბიჭმა – ერთი, ქალმა ორი თითი აჩვენა, ბიჭმა – ნახევარი, ქალმა ერთი თითი აჩვენა, ბიჭმა უარის ნიშნად ხელი გაუქნია... ტყის მეფე გაქრა.

ამ ბიჭს საღამოს ლოგინში გველები შეუძვრენენ. ის გველი, მარჯვენა მხარეს რომ ეწვა, გათენებისას პირში ჩაუძვრა, დანარჩენები გაქრნენ. მეორე საღამოს თეთრი მატლები დაესივნენ. დილით კი დაიკარგნენ. გამწარებული ბიჭი ტყეში წავიდა. თხრილიდან ამოძვრა გველი, სისინით წამოვიდა და ყელზე შემოეხვია. ეს ის გველი იყო, ლოგინში რომ მარცხნივ ეწვა. გველმა ბიჭი ქარვასლაში შეიყვანა, აქ დახვდა ტყის მეფე. ერთი გველი პირიდან ამოძვრა, მეორე კისრიდან მოშორდა და

ორივე ტყისკენ წავიდა სისინით. ეხლა შენ ჩემი ხარო, უთხრა ტყის მეფემ. დაიწყეს ერთად ცხოვრება.

მეორე დღეს ბაბუა შვილიშვილის სამეზნელად წავიდა. ტყის მეფემ მოხუცი თხრილში ჩააგდო და იმავე ღამეს ტყის ქალი და ეს ბიჭი ბებიას სასიმინდეში გაჩნდნენ. ბებიამ სინათლე შენიშნა სასიმინდეში. მივიდა, ტყის ქალს თმები შეაჭრა, სახლში წაიღო და მდუღარე წყალში ჩაყარა. წყალი ვერცხლის მანეთებად იქცა. ასე მოიქცა რამდენჯერმე. დილით რომ გამოელვინა ტყის მეფეს, თავი მსუბუქად იგრძნო, გადაისვა თმაზე ხელი და იკივლა: – ვინ მომჭრა თმაო? – მე მოგჭერიო, უპასუხა ბიჭმა. ტყის ქალმა დაწყევლა ეს ბიჭი და ჭკუიდან შეშალა: აწი ძაღლური ცხოვრება გქონდესო! თვითონ შევარდა სახლში, ამოიღო თავისი თმა და ტყისკენ გაიქცა.

Note that the functional $W(*)$ also takes into account the fact that by choosing the values of the coefficient $\alpha_{hs}(t)$ (thereby determining the level of lockdown), we actually change financial receipts - specifically, we reduce them. Therefore, we need to minimize this value as well.

To manage the safety of life of the population and the economy of the state, an extreme problem of the type (4), (5), (2), (3) is considered.

In this case, another limitation appears, the purpose of which is to achieve herd immunity:

$$N_{hi}(T) = N_{hit}(T) + N_{hiv}(T) \geq 0,7N(T).$$

The computer implementation of the model (2), (3) and the extreme problem (4), (5) was carried out in the MatLab environment for various values of constant coefficients of system (2), initial conditions (3) and specific B, W functional.

5. Computer Experiment. For scientific calculations, we rewrite system (2) in the following form, and at the first stage, we will consider the coefficients as constants:

$$\left\{ \begin{array}{l} \frac{dN_h(t)}{dt} = (-\alpha_{qh}(t) - \alpha_{vac}(t))N_h(t) + \alpha_{hq}(t)N_q(t) - \\ \quad - \alpha_{hs}(t)N_h(t)N_s(t) + \alpha_{he}(t)\alpha_{e21}(t)N_e(t), \\ \frac{dN_q(t)}{dt} = \alpha_{qh}(t)N_h(t) - (\alpha_{hq}(t) + \alpha_{iq}(t))N_q(t) + \alpha_{sq}(t)N_s(t) + \\ \quad + \alpha_{qshi}(t)N_s(t)N_{hi}(t) + \alpha_{qe}(t)\alpha_{e1}(t)N_e(t), \\ \frac{dN_s(t)}{dt} = (-\alpha_{is}(t) - \alpha_{qs}(t) - \alpha_{ds}(t))N_s(t) + \alpha_{sh}(t)N_h(t)N_s(t) + \\ \quad + \alpha_{se}(t)\alpha_{e22}(t)N_e(t), \\ \frac{dN_i(t)}{dt} = \alpha_{iq}(t)N_q(t) + \alpha_{is}(t)N_s(t) - (\alpha_{hii}(t) + \alpha_{di}(t))N_i(t) + \\ \quad + \alpha_{ishi}(t)N_s(t)N_{hi}(t), \\ \frac{dN_d(t)}{dt} = \alpha_{ds}(t)N_s(t) + \alpha_{di}(t)N_i(t), \\ \frac{dN_{hi}(t)}{dt} = \alpha_{vac}(t)N_h(t) + \alpha_{hii}(t)N_i(t) - \alpha_{qshi}(t)N_s(t)N_{hi}(t) - \\ \quad - \alpha_{ishi}(t)N_s(t)N_{hi}(t). \end{array} \right. \quad (6)$$

We have system (6) with initial conditions (3). Function $N_e(t)$ known and in the calculations we will assume that it is constant and equal to NE . We will take the same symbols as identifiers of the coefficients, but we will write them in one register, for example: we will write $\alpha_{qh}(t)$ as aqh . Note, that aqh is the measure of influence (increase) on the rate of change

in the number of people in quarantine, and the measure of influence (decrease) on the rate of change in the number of healthy people without immunity. The interpretation of other coefficients is similar. Let's rewrite system (6) into a convenient one for scientific calculations in the MatLab package.

$$\left\{ \begin{aligned} \frac{dN_1(t)}{dt} &= (-\alpha qh - \alpha vac) N_1(t) + \alpha hq N_2(t) - \\ &\quad - \alpha hs N_1(t) N_3(t) + \alpha he \times \alpha e21 NE, \\ \frac{dN_2(t)}{dt} &= \alpha qh N_1(t) - (\alpha hq + \alpha iq) N_2(t) + \alpha sq N_3(t) + \\ &\quad + \alpha qshi N_6(t) + \alpha qe \times \alpha e1 NE, \\ \frac{dN_3(t)}{dt} &= (-\alpha is - \alpha qs - \alpha ds) N_3(t) + \alpha sh N_1(t) N_3(t) + \\ &\quad + \alpha se \times \alpha e22 NE, \\ \frac{dN_4(t)}{dt} &= \alpha iq N_2(t) + \alpha is N_3(t) - (\alpha hii + \alpha di) N_4(t) + \\ &\quad + \alpha ishi N_3(t) N_6(t), \\ \frac{dN_5(t)}{dt} &= \alpha ds N_3(t) + \alpha di N_4(t), \\ \frac{dN_6(t)}{dt} &= \alpha vac N_1(t) + \alpha hii N_4(t) - \alpha qshi N_3(t) N_6(t) - \\ &\quad - \alpha ishi N_3(t) N_6(t). \end{aligned} \right. \quad (7)$$

To assessment the stiffness of system (7), we write out the Jacobian matrix of the right side of this system - $\frac{\partial \frac{dN_i(t)}{dt}}{\partial N_j(t)}, i, j = \overline{1,6}$. As a result we have

$$\begin{pmatrix} -\alpha qh - \alpha vac - \alpha hs N_3(t) & \alpha hq & -\alpha hs N_1(t) & 0 & 0 & 0 \\ \alpha qh & -\alpha hq - \alpha iq & \alpha sq & 0 & 0 & \alpha qshi \\ \alpha sh N_3(t) & 0 & \alpha sh N_1(t) - \alpha is - \alpha qs - \alpha ds & 0 & 0 & 0 \\ 0 & \alpha iq & \alpha is + \alpha ishi N_6(t) & 0 & 0 & \alpha ishi N_3(t) \\ 0 & 0 & \alpha ds & \alpha di & 0 & 0 \\ \alpha vac & 0 & -\alpha qshi N_6(t) - \alpha ishi N_6(t) & \alpha hii & 0 & -(\alpha qshi + \alpha ishi) N_3(t) \end{pmatrix} \quad (8)$$

It is clear, that the determinant of the Jacobian matrix $\frac{\partial \frac{dN_i(t)}{dt}}{\partial N_j(t)}, i, j = \overline{1,6}$ - Jacobian is equal to zero, due to which we can conclude that the system (7) is rigid. Of course, it is possible to exclude the fifth equation from system (7), and calculate the function $N_5(t)$ of the number of deaths from the virus by integration of functions $N_3(t)$ and $N_4(t)$ that are simple found. However, in this case, we will adhere to the proposed complex method. To find numerical solutions to system (7) with initial values (3), we choose the ode15c solver from the MatLab application package. It is just designed for the solution of a rigid system of ordinary differential equations.

To find the numerical solutions of the nonlinear system (7), we will compose an auxiliary M-file. In it, the system (7) is presented in the MatLab M-code, while the values of the system coefficients and free members are also entered here. The code is presented in the listing 1:

Note, that we have notations in the listings and figures: N_1 - healthy, without immunity $N_h(t)$; N_2 - in quarantine $N_q(t)$; N_3 - undetected infected $N_s(t)$; N_4 - infected for hospital treatment $N_i(t)$; N_5 - died from the virus $N_d(t)$; N_6 - healthy with immunity $N_{hi}(t)$.

Listing 1. Right side of the system (7)

```
01: % sars-sistemis marjvena mxare
02: function dNdt=sars(t,N)
03: dNdt=zeros(6,1)
04: aqh=0.08; avac=0.5; ahq=0.2; ahs=0.4; ahe=0.2; ae21=0.4; ne=30;
05: aiq=0.34; asq=0.02; aqshi=0.3; aqe=0.02; ae1=0.1;
06: ais=0.2; aqs=0.02; ads=0.001; ash=0.2; ase=0.2; ae22=0.6;
07: ahii=0.02; adi=0.001; aishi=0.03;
08: k11=-aqh-avac; k12=ahq; c1=-ahs; b1=ahe*ae21*ne;
09: k21=aqh; k22=-ahq-aiq; k23=asq; k26=aqshi; b2=aqe*ae1*ne;
10: k33=-ais-aqs-ads; c3=ash; b3=ase*ae22*ne;
11: k42=aiq; k43=ais; k44=-ahii-adi; c4=aishi;
12: k53=ads; k54=adi;
13: k61=avac; k64=ahii; c6=-aqshi-aishi;
14: dNdt(1)=k11*N(1)+k12*N(2)+c1*N(1)*N(3)+b1;
15: dNdt(2)=k21*N(1)+k22*N(2)+k23*N(3)+k26*N(6)+b2;
16: dNdt(3)=k33*N(3)+c3*N(1)*N(3)+b3;
17: dNdt(4)=k42*N(2)+k43*N(3)+k44*N(4)+c4*N(3)*N(6);
18: dNdt(5)=k53*N(3)+k54*N(4);
19: dNdt(6)=k61*N(1)+k64*N(4)+c6*N(3)*N(6);
20: end
```

To run the code shown in Listing 1, we use the code shown in Listing 2.

Listing 2. Running the Solver and Visualizing Solutions

```
1: [T,Y]=ode15s('sars',[0 10],[600 100 20 10 5 40]);
2: plot (T, Y,'linewidth', 2)
3: title ('Spread of Sars-CoV-2')
4: xlabel ('Time')
5: ylabel ('Amount')
6: legend ('N1','N2','N3','N4','N5','N6')
```

The initial values of system (7) for $N_1, N_2, N_3, N_4, N_5, N_6$ are respectively equal to: 600, 100, 20, 10, 5, 40 units. We assume that 30 units of visitors enter the country at any given time. Note that infected people of whom the disease is reliably known are either in the hospital or are in quarantine. They do not spread the infection and do not exacerbate the epidemic. The main spreaders of the infection are those people who are infected, but this is not known for certain. Therefore, the intensity of contacts of these people with representatives of other groups determines the level of the epidemic. If a lockdown is introduced in a country to combat the epidemic, then its main task is to reduce the contact of members of the S group with representatives of other groups. In model (7), (3), lockdown can be displayed by selecting the values of those coefficients that are present in the contacts of the S group with other groups. For example, consider the contacts of the members of the groups S and H . If a strict lockdown is declared, then the coefficients $\alpha_{hs}(t)$ (ahs) and $\alpha_{sh}(t)$ (ash) have a minimum value. If the value of these coefficients is large, then it is natural that there is either no lockdown at all or it is not strict. Consider two modes of dealing with the epidemic. Mode A: non-strict lockdown - ahs=0.4, ash=0.2; Mode B: strict lockdown - ahs=0.2, ash=0.01; . Figure 2 shows the visualization of the calculation results for mode A, with the values of the coefficients indicated in lines 4-9 of Listing 1.




Fig.2. Significance of virus spread indicators during non-strict lockdown

Obviously, with a non-strict lockdown, the number of infected people in clinics is constantly growing and a collapse of the healthcare system may occur. Let's carry out scientific calculations for a strict lockdown. The values of all system coefficients (7) will be the same as in rows 4-9 of Listing 1, except for two: $a_{hs}=0,2$ and $a_{sh}=0,01$. Figure 3 shows the visualization of the calculation results for mode B.




Fig.3. Significance of virus spread indicators during strict lockdown

As you can see, with a strict lockdown, the number of infected people in hospitals is almost constant and not high. The collapse of the health care system is expected. However, for complete objectivity, one should calculate the so-called, price for modes A and B. I.e. how much will the implementation of the models cost the country's budget. In the general case, it will solve the problem of optimal control (4), (5), (7), (3).

6. Conclusions. A computational experiment carried out on a computer model built on the basis of a mathematical model (2), (3) with constant coefficients allows us to conclude that by choosing the value of the parameters and, it is possible to select such a number of infected citizens, in which the economy does not need a lockdown, and the forecast recovery of those infected with the SARS-CoV-2 virus is favorable.

References:

1. Kereselidze N., SARS-CoV-2 Virus Spread Models and Security Management Issues. Kalashnikova A., Kulba V. (ed.), Materials of the XXVIII International Conference Problems of Safety Management of Complex Systems, 77-83. IPU. Moscow, 2020.
2. Kereselidze N., Models of Epidemiological Security Management in the Spread of the SARS-CoV-2 Virus. IFAC, TECIS 2021, Moscow, RF, 14-19.09.2021.
3. Kermack W. O. and McKendrick A. G., Contributions to the mathematical theory of epidemics, Proc. R. Soc. Lond. A, 15:700-721, 1927.
4. Kereselidze N. Combined continuous nonlinear mathematical and computer models of the Information Warfare.// International journal of circuits, systems and signal processing, volume 12, 2018, pp., 220-228.
5. Kereselidze N.G. Models for the dissemination of false information. Materials of the XXVII international conference on December 18, 2019 Problems of safety management of complex systems, Moscow, Art, 167-172.
6. Kereselidze N.G. SARS-CoV-2 Virus Spread New Models and Security Management Issues, Materials of the XXIX international conference on December 15, 2021 Problems of safety management of complex systems, Moscow, Art, 85-93.

SARS-CoV-2 ვირუსის გავრცელების ახალი მოდელისა და უსაფრთხოების მართვის საკითხების შესახებ

ნუგზარ კერესელიძე

ინფორმატიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებთა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის კომპიუტერულ მეცნიერებათა
ინსტიტუტის დირექტორი

E-mail: nkereselidze@sou.edu.ge

აბსტრაქტი. სტატიაში შემოთავაზებულია SARS-CoV-2 ვირუსის გავრცელების ახალი მათემატიკური და კომპიუტერული მოდელები, რომლებიც აგებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ეპიდემიასთან ბრძოლის პროტოკოლის გათვალისწინებით. მოდელებში გათვალისწინებულია რეინფიცირების შემთხვევები იმუნიზაციისა თუ გადატანილი დაავადების მიუხედავად. მიღებულია არაწრფივ, არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ცვლადი კოეფიციენტებითა და საწყისი მნიშვნელობებით. შემოთავაზებულ მათემატიკურ მოდელში გამოყოფილია სამართავი პარამეტრები ქვეყანაში ლოკდაუნის წარმართვის ხარისხის გათვალისწინებით. დასმულია ოპტიმალური მართვის ამოცანა. მიზნის ფუნქცია აფასებს ფინანსურ დანახარჯებს ლოკდაუნისა და ეპიდემიის სხვადასხვა ხასიათის შემთხვევაში. ოპტიმალური ამოცანის ამოხსნის შედეგად შესაძლებელია შეირჩეს ლოკდაუნის ისეთი ვარიანტი, რომლის შედეგადაც არ ხდება სამედიცინო სისტემისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კოლაფსი, ამასთან, დაცულია მოსახლეობის უსაფრთხოება.

განხილულია და გამოკვლეულია აგებული მათემატიკური მოდელის მუდმივკოეფიციენტებიანი ვარიანტი. შესაბამისი კომპიუტერული მოდელი აღწერილია MatLab-ის (მათლაბის) M-ენაზე და ჩატარებულია კომპიუტერული ექსპერიმენტი. ლოკდაუნის სხვადასხვა რეჟიმებისთვის ნაპოვნია ინფექციის გავრცელების მაჩვენებლების მნიშვნელობები: კლინიკებში პაციენტების, კარანტინში მყოფთა, ჯანმრთელი იმუნიტეტის მქონე პირთა, ინფიცირებულთა, გარდაცვლილთა რაოდენობა.

STUDY METHODOLOGY OF ANALYTICAL GROUP I CATIONS

Mineda Chanturia	PhD, Associate Professor, Sokhumi State University, Faculty of Natural Science, Mathematics, Technology and Pharmacy Department of Chemistry E-mail: minedachanturia1@gmail.com
Antonina Mskhiladze	PhD in Chemistry, Associate Professor, E-mail: amskhiladze2@gmail.com
Darejan Gulbani	Doctor of Chemistry, Sokhumi State University E-mail: darejangulbani67@gmail.com
Emma Churgulia	PhD in Chemistry, Sokhumi State University, Faculty of Natural Science, Mathematics, Technology and Pharmacy Department of Chemistry E-mail: emmachurgulia@yahoo.com

Presented by the Institute of Chemistry at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Abstract. The article analyses the necessary measures to be taken to modernize chemistry courses at universities. The basic principles of analysis and study of properties, the significance and application of K^+ , Na^+ , NH_4^+ cations of the analytical group I have been discussed.

The teaching process is carried out in the following 6 stages: The relation between the atom structure and the properties of the elements, their compounds; Their biological role; Use of metal cations of analytical group I in medicine; Particular identification reactions; Test task - analysis process of group I cations; Representation of the results of the analytical group particular reactions and the analysis of the mixture by the given schemes.

In order to achieve the goal, the student is involved in research-examination processes, is informed about the essence of research, determines the stages of research and deeply understands its results, at the same time explores its meaning, is given opportunity to understand, comprehend and interpret the information learned, develops skills in practical application of methods and strategies, in identification of risk factors related to experimental work, in selection and compilation of different types and complexity appropriate to the goal set

In the process of teaching analytical chemistry, such a methodical approach is important for effective management of practical work and ensuring a safe environment.

Keywords: *Cations, knowledge, teaching chemistry, methods, chemical analysis, reagent.*

According to the main educational goals of the National Curriculum, teaching-learning should promote the gradual formation of knowledge based on prior knowledge, the development of knowledge gained at school and the connection it with the next level of education, that is the main basis for cognition of natural sciences and is built on logical principle. The material mastered by the students through the school chemistry program is the basis for raising the level of chemical education.

In order to train a professional chemist, it is necessary to modernize chemistry courses at universities. This should be facilitated by the use of new teaching methods, new textbooks, including translations, scientific conferences with the participation of teachers, it is essential to regularly discuss the problems of teaching chemistry.

The teaching methodology is improved using modern technical means, by strengthening the aspects of the research component in the learning process. It became necessary to establish and refine distance learning programs. The ongoing education reform in Georgia requires the unification of teaching methods and the training of fundamentally different methodologist-teachers.

The main goal of teaching "Analytical Chemistry" is to study modern and classical methods of chemical analysis, to develop active and systemic thinking, to develop the ability of independent creative work, to deepen knowledge about the chemical properties of substances. The laboratory practicum develops the ability to conduct an experiment and assess the results, gives the experience of analyzing a specific object.

The paper discusses the basic principles of the analysis and the study of properties, importance and application of K^+ , Na^+ , NH_4^+ cations of analytical group I. These principles are formed on the basis of many years of experience in teaching chemistry [1, 8].

The teaching process is carried out in the following stages:

- I. The relation between the atom structure and the properties of the elements, their compounds;
- II. Their biological role;
- III. Use of metal cations of analytical group I in medicine;
- IV. Particular identification reactions;
- V. Test task - analysis process of group I cations;
- VI. Representation of the results of the analytical group particular reactions and the analysis of the mixture by the given schemes.

Stage I: The relation between the atom structure and the properties of the elements, their compounds;

Analytical classification of ions differs from the distribution of chemical elements in groups in the D.I. Mendeleev's periodic table, but it cannot be called artificial, since it is based on certain regularities related to the solubility of some compounds and the base-acid properties of oxides and hydroxides of the elements. Thus, the acid-base system of cation analysis is based on the dependence between metal cations and hydrochloric acid, sulfuric acid, alkalis, and therefore, it is represented by 6 analytical groups of cations and 3 analytical groups of anions.

Most of the salts of the analytical group I cations K^+ , Na^+ , NH_4^+ are well-soluble in water, they do not have a group reagent. Potassium and sodium are elements of the main subgroup of group I in the periodic table. They belong to the number of active metals. They have the ability to dissolve water even at room temperature by releasing hydrogen and producing the corresponding hydroxides. Alkali metal hydroxides are strong bases. They are completely ionized in aqueous solutions. Due to this, salts of potassium and sodium strong acids are not hydrolyzed and their salt solutions are of a neutral reaction ($pH = 7$). Salts of potassium and sodium weak acids are more or less fully hydrolyzed and their aqueous solutions have an alkaline reaction ($pH > 7$).

All cations are colorless in aqueous solution. These elements have a minimal value of ionization potential and form cations with spherical symmetry that determines their stability, weak polarization and the absence of colour. Their chemical properties are mainly determined by electrostatic interactions. Based on these data, students can explain the properties of substances and relate them to identification reactions [3].

Stage II. The use of metal cations of analytical group I in medicine:

Sodium and potassium. Sodium ions Na^+ are mainly present in extracellular fluid ~50%, in bones and cartilage ~40%, less than 10% - in the inside a cell, while potassium ions K^+ are mainly present in intracellular fluid. [4]

The following are related to Na^+ ions:

- Osmotic pressure of liquids and its permanence;
- Consumption of large amounts of sodium ions leads to loss of potassium ions - they are antagonists;
- It affects the condition of the muscular and cardiovascular system;
- Water retention by tissues (15 grams of sodium chloride retains two liters of fluid in the human body);

- Maintaining the base-acid balance in the body (NaHCO_3 - blood alkaline reserve - is a component of the hydrocarbon buffer system);
- Transfer of amino acids and sugars to the cell membrane;
- It is contained in blood plasma, digestive fluids;
- Na^+ and K^+ ions substantially affect the action of the central nervous system (CNS); Participate in the generation of nerve impulses, in the mechanism of short-term memory.
- An excess of Na^+ ions causes depression of the cerebral cortex, i.e. suppresses the action of the CNS;
- An excess of K^+ ions causes a manic state of the cerebral cortex, i.e. excites the action of the CNS.

K^+ ions participate in:

- Intracellular metabolism, regulation of heart contraction and water-electrolyte balance;
- Regulation of metabolism and osmotic pressure, in the process of action of the nervous system
- Normal functioning of the heart;
- Lack of potassium leads to disruption of normal cardiovascular function;
- Prolonged potassium deficiency can lead to cardiac arrest. Potassium is one of the body's most important electrolytes. Like sodium, it is important in the formation of buffer systems.

Stage III. Medicinal preparations of metal cations of the analytical group I:

- Sodium chloride NaCl . Isotonic (physiological) and hypertonic solutions are distinguished depending on its concentration. Isotonic is 0,9% NaCl solution because its osmotic pressure corresponds to the osmotic pressure of blood plasma (780,2 kPa). Isotonic solution is used as a plasma-replacement solution in the event of dehydration of the body, to dissolve medicinal substances, etc., hypertonic solution (mass fraction 3,5 and 10%) is used for external use in the form of compresses and sheets for the treatment of purulent wounds;
- Sodium bicarbonate NaHCO_3 (baking soda) - neutralizes hydrochloric acid in gastric juice, it is an antacid in case of increased acidity of gastric juice;
- Sodium sulfate decahydrate $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ (Glauber's salt) - is a laxative;
- Sodium iodide NaI - is an iodine preparation for endemic goitre.
- Sodium tetraborate decahydrate $\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ is easily hydrolyzed in aqueous solution, the released boric acid is characterized by antiseptic action.

- Potassium chloride KCl - is used in the event of electrolyte imbalance in the body;
- Potassium iodide KI – is iodine-containing preparation for thyroid disease, cardiac arrhythmia
- Potassium permanganate KMnO_4 - is antiseptic for treating wounds, mouth and throat wash.

The student sees the purpose of the assignment, the practical aspects of these ions, the need for human health, and the connection to daily life. [5, 6]

Stage IV: Educational information transmitted using tables reduces the time it takes to form different types of views. A large amount of information is difficult to retain in the memory of students, systematization of information in the form of tables is better perceived by students and to a greater extent retained in long-term memory, they process a large amount of material, deepening and activating existing knowledge.

Particular identification reactions of cations of the analytical group I:

Table 1

Cation	Reaction number, reagent	The product of the reaction and its properties
K^+	1. $\text{NH}_4\text{HC}_4\text{H}_4\text{O}_6$ or 2. $\text{Na}_3[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$ 3. $\text{Na}_2\text{Pb}[\text{Cu}(\text{NO}_2)_6]$ 4. Flame staining reaction 5. Dipicrylamine (Poluektov's reaction)	$\text{KHC}_4\text{H}_4\text{O}_6$ – Cr. White, soluble in hot water, strong acids and alkalis. $\text{K}_2\text{Na}[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$ – Yellow precipitate, soluble in strong acid. $\text{K}_2\text{Pb}[\text{Cu}(\text{NO}_2)_6]$ – Black cube crystals, soluble in strong acids and alkalis. Violet $[\text{C}_6\text{H}_2(\text{NO}_2)_3]_6\text{NK}$ – Orange-red crystalline precipitate.
Na^+	1. $\text{K}_2\text{H}_2\text{Sb}_2\text{O}_7$ 2. $(\text{NH}_4)_2\text{C}_2\text{O}_4$ 3. $\text{Zn}(\text{UO}_2)_3(\text{CH}_3\text{COO})_8$	$\text{Na}_2\text{H}_2\text{Sb}_2\text{O}_7$ – White crystalline precipitate, soluble in strong acids and alkalis. $\text{Na}_2\text{C}_2\text{O}_4$ – White crystalline precipitate. $\text{NaZn}(\text{UO}_2)_3(\text{CH}_3\text{COO})_9 \cdot 9\text{H}_2\text{O}$ – Yellowish green tetrahedral or octahedral crystals, soluble in alkalis and

	4. Flame staining reaction	acids. Yellow.
NH_4^+	1. NaOH 2. $\text{K}_2[\text{HgI}_4] + \text{KOH}$ (Nesler Reagent) 3. $\text{Na}_3[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$ 4. $\text{H}_2\text{C}_4\text{H}_4\text{O}_6$ + CH_3COO^- 5. KH_2SbO_4 6. Dissolution of ammonium salts by dry method	$\text{NH}_3 \uparrow$ – Phenolphthalein $\rightarrow$ Crimson $[\text{HgO} \cdot \text{HgNH}_2]^+ + \text{Hg} \downarrow$ – Black $[\text{NH}_4\text{Hg}_2\text{O}]\text{I} \downarrow$ – Brown red precipitate. $(\text{NH}_4)_2\text{Na}[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$ $\downarrow$ – Yellow crystalline residue. $\text{NH}_4\text{HC}_4\text{H}_4\text{O}_6$ – White crystalline precipitate. HSbO_3 – White amorphous precipitate. $\text{NH}_3 \uparrow, \text{HCl} \uparrow$

Ammonium alkali is a weak base. Solutions of strong ammonium acid salts are characterized by an acid reaction ($\text{pH} < 7$). K^+ and NH_4^+ are closest to each other in terms of analytical properties. They generate:

Hardly soluble, white hydrotartrates – $\text{NH}_4\text{HC}_4\text{H}_4\text{O}_6$, $\text{KHC}_4\text{H}_4\text{O}_6$;

Yellow chloroplatinates – $(\text{NH}_4)_2[\text{PtCl}_6]$, $\text{K}_2[\text{PtCl}_6]$;

Hexanitrocobalts – $(\text{NH}_4)_3[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$, $\text{K}_3[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$.

Using this table makes it easier for the student to carry out the research procedure, record data, conduct experiment, work out, analyze and evaluate the obtained data,

The table below is entered by students in workbooks, which they complete according to the results of the experiment:

Private reactions of cations I analytical group

Table 2

1	2	3	4	5	6
Number	Reagent	Cation reaction equation	Reaction equation	Conditions for the reaction	Characterization of the product obtained

The test task allows the student to transfer the learned material to a new situation, i.e. to use ideas and concepts to solve problems. [1, 7]

Stage V: Analysis process of group I cations

Purpose of the work: Detection of group I cations in the research solution.

Assignment: Determine group I cations in the research solution.

The student can determine the subject of research and the stages of research:

1. **NH_4^+ is first studied in the research solution**, the detection of which is not prevented by Na^+ and K^+ ions. Therefore, if NH_4^+ , Na^+ and K^+ ions are present in the research solution, NH_4^+ must be removed from the reaction area prior to detection. In case of a negative reaction on the Nessler's reagent, the presence of Na^+ and K^+ will be checked.
2. **Detection of K^+** . With $\text{Na}_2\text{Pb}[\text{Cu}(\text{NO}_2)_6]$ (precipitate is observed under a microscope) or with freshly prepared $\text{Na}_3[\text{Co}(\text{NO}_2)_6]$ solution.
3. **Detection of Na^+** . a) with $\text{K}_2\text{H}_2\text{Sb}_2\text{O}_7$ solution b) Ammonium oxalate solution with ethanol; c) with uranylacetate under a microscope.

Stage VI: A scheme is proposed for students to understand the sequence of work performed, which allows them to better master the systemic analysis process. The results of the individual reactions of the analytical group and the analysis of the mixture are represented according to the following tables:

Analysis of a mixture of cations of the analytical group

Table 3

1	2	3	4	5	6	7
Sample number	Research ion	Reagent	What did we see?	Conclusion	Sediment composition	Solution composition

In the final part of the lesson there is a discussion and testing around the topic.

Thus, in order to achieve the goal, the student is involved in research-examination processes, is informed about the essence of research, determines the stages of research and deeply understands its results, at the same time explores its meaning, is given opportunity to understand, comprehend and interpret the information learned, develops skills in practical application of methods and strategies, in identification of risk factors related to experimental work, in selection and compilation of experimental work of different types and complexity appropriate to the goal set. [2, 8]

In the process of teaching analytical chemistry, such a methodical approach is important for effective management of practical work and ensuring a safe environment. After finishing

the laboratory work, the student completes a workbook, summarizes the experiment results, masters the techniques of conducting experiments, practical skills in the use of tools, follows the stages of the research cycle, seeks to solve problems by manipulating chemical reagents – detects the cations in the research solution individually assigned for him/her - that helps him/her in the gradual construction of knowledge.

References:

1. Chanturia M., Tsintsadze G., Tsintsadze M, Laboratory Practicum on Qualitative Analysis, Methodical Instructions. Third Edition. LEPL Sokhumi State University, Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, (GE.). ‘Universal’ Publishing House, Tbilisi, 2019, 1–191, ISBN 978-9941-17-591-6.
2. Chanturia M., Concept of development of iodometric method teaching, SCIENCE, RESEARCH, DEVELOPMENT №32. An International Journal. HERALD PEDAGOGIKI. NAUKA I PRAKTYKA, №58, Pedagogical sciences, Theory, practice and teaching methods, Berlin, 2020.
3. Loginov N. G, Voskresenskaya A. G, Solodkin I. S, Analytical Chemistry, M. “Enlightenment”, 1979.
4. Dolidze V., Tsitsishvili V. - Russian-Georgian-English-German Chemical Dictionary, Tbilisi, 2004.
5. Arziani Badri - Medical Chemistry, Intellect Publishing House, Tbilisi, 2019.
6. Aleksidze Nugzar, Fundamentals of General Biochemistry, Caucasus International University, Tbilisi, 2016.
7. Zolotov Yu. A. Basic analytical chemistry. T. 1-2. M., High School, 2002.
8. Unified Strategy for Education and Science 2017-2021
<http://www.mes.gov.ge/uploads/13.08.2020>
9. Internet Resources.

კატიონთა I ანალიზური ჯგუფის შესწავლის მეთოდика

მინედა ჭანტურია	ასოც. პროფესორი, ქიმიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი E-mail: minedachanturia1@gmail.com
ანტონინა მსხილაძე	ასოცირებული პროფესორი, ქიმიის დოქტორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი E-mail: amskhiladze2@gmail.com
დარეჯან გულბანი	ქიმიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი E-mail: darejangulbani67@gmail.com
ემა ჭურღულია	ქიმიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი E-mail: emmachurgulia@yahoo.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ქიმიის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული I ანალიზური ჯგუფის კატიონების K^+ , Na^+ , NH_4^+ ანალიზის, თვისებების, მნიშვნელობისა და გამოყენების შესწავლის ძირითადი მეთოდები და პრინციპები, რომლებიც უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტებში ქიმიის კურსის მოდერნიზაციისათვის.

წარმოდგენილია სწავლების პროცესის მიმდინარეობის 6 ეტაპი: კავშირი ატომის აღნაგობასა და ელემენტების, მათი ნაერთების თვისებებს შორის, მათი ბიოლოგიური როლი, I ანალიზური ჯგუფის მეტალთა კატიონების გამოყენება მედიცინაში, იდენტიფიკაციის კერძო რეაქციები, საკონტროლო ამოცანა - I ჯგუფის კატიონთა ანალიზის მსვლელობა, ანალიზური ჯგუფის კერძო რეაქციებისა და ნარევის ანალიზის შედეგების გაფორმება სქემების მიხედვით.

მიზნის მისაღწევად სტუდენტი ჩართულია კვლევა-ძიების პროცესში, ეცნობა კვლევის არსს, განსაზღვრავს კვლევის ეტაპებს და ღრმად გაიაზრებს მის შედეგებს,

ამავდროულად ჩასწვდება მის მნიშვნელობას, ეძლევა ნასწავლი ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, უვითარდება მეთოდებისა და სტრატეგიების პრაქტიკულად გამოყენების, ექსპერიმენტულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკფაქტორების განსაზღვრის, დასახული მიზნის შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის შერჩევისა და შედგენის უნარ-ჩვევები.

ანალიზური ქიმიის სწავლების პროცესში ასეთი მეთოდური მიდგომა მნიშვნელოვანია პრაქტიკული სამუშაოს ეფექტიანი წარმართვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

საცხენოსნო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მალხაზ ღვინჯილია

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურული
ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი
E-mail: malkhazgvinjilia@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და
ტურიზმის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. საცხენოსნო ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოში აქტიური ტურიზმის საინტერესო ფორმაა. იგი ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ადამიანისა და ცხენის ურთიერთობის ჰუმანური დამოკიდებულების გარდა, მნიშვნელოვანი რელაქსაციის საშუალებაა.

საქართველოში ქართველი კაცის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ცხენთან. იგი ისტორიულად წარმოადგენდა, როგორც გადაადგილების, ტვირთზიდვის, ასევე ბრძოლის ველზე მხედრის ერთგულ და საიმედო „მეგობარს“.

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული დამოკიდებულება არსებობს საცხენოსნო შეჯიბრებებისადმი და სადღესასწაულო დღეებში ტურისტულ დესტინაციებში იმართება ჯირითი, დოღი, ყაბახი, ისინდი და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის რელიეფი და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და განსაკუთრებით ციხე-კოშკების არსებობა ხელშემწყობი ფაქტორია საცხენოსნო ტურების მოსაწყობად.

საქართველოში ამჟამად ტურისტული დესტინაციებისა და განსაკუთრებით დაცული ტერიტორიული სისტემების სიახლოვეს შექმნილია საცხენოსნო ბაზები, რომლებიც ტურისტთა გადაადგილების მომსახურებას უზრუნველყოფს.

საცხენოსნო ტურების პოპულარიზაციისა და პოზიციონირებისათვის მიზანშეწონილია საცხენოსნო მარშრუტების დეტალური შესწავლა, საფრთხეებისა და რისკების მინიმიზაცია, თავშესაფარი ქოხების მოწყობა, ფირნიშებისა და

პანორამული ხედების უზრუნველყოფა, მარკირება, გის სისტემებით მობილურ აპლიკაციებში მისი ჩასმა და ტურისტებისათვის მიწოდება. არსებული ღონისძიებების დანერგვა საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ფაქტორი გახდება.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ცხენოსნობა, ლაშქრობა.

ცხენისა და ადამიანის ურთიერთობის ისტორია ანტიკურ ეპოქას სცდება. ცხენის მოშინაურებით ადამიანმა უერთგულესი მეგობარი და თანაშემწე შეიძინა. ოდითგანვე გადაადგილების ყველაზე ეფექტური საშუალება ცხენი იყო, რომელსაც შეეძლო ურთულესი მონაკვეთების მხედართან ერთად გადალახვა.

ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოური თუ ქართული წყაროები მოწმობს, რომ საქართველო მხედრული ტრადიციების ქვეყანა იყო, სადაც გავრცელებული იყო ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობა – დოდი, ცხენოსნური თამაშები, ყაბახი, ისინდი, ჯირითი და სხვ. აქ ცხენის კულტის არსებობაზე მიუთითებს ძვ.წ. II-I ათასწლეულის ბრინჯაოს ბალთებზე შემორჩენილი გამოსახულებები, ხის ურიკები და ცხენის რიტუალური სამარხები, მაგალითად კოლხეთში, ნაოხვამუში აღმოჩენილი ჯიშიანი ცხენის თიხის ფიგურა. დასტურდება, რომ ქართველურ ტომებს ცხენის მოშენება-გაწვრთნაში მთელ ურარტუში არ ჰყოლიათ ბადალი.

რომაელი ისტორიკოსის, დონ კასიუსის ცნობით, ომის ღმერთისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით, იბერთა მეფე ფარსმან ქველი თანმხლებ წარჩინებულებთან ერთად რომს სწევია (II ს.) და ცხენოსნური ასპარეზობა გაუმართავს. ქართველთა ოსტატობით აღტაცებული იმპერატორის ბრძანებით, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება აღუმართავთ. ადრეული პერიოდის სავარჯიშო ნაგებობათა შორის ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებულია იპოდრომი და ცხენთსარბიელი. იპოდრომის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. მეტად საინტერესო ჩანაწერები და ნახატები დაგვითმევს XVII საუკუნის იტალიელმა მისიონერებმა – არქანჯელო ლამბერტიმ, დიონიჯო კარლიმ და დონ კრისტოფორო დე კასტელმა. ცხენოსნობის

დაწინაურება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეგრული და თუშური ჯიშის ცხენების მოშენებამ. თუშეთში ყველაზე გავრცელებული ყოფილა ცხენების ჭენება, სამეგრელოში – დოღი, ყაბახი, თარჩია, ისინდი.

ცხენოსნობას განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი ჰყავდა აფხაზეთში, აქაური მხედრები დიდი ოსტატობით გამოირჩეოდნენ. აჭარაში ცხენოსნურ შეჯიბრებაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ და ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც¹⁰.

სპორტული ტურიზმის არსებული სახეობა ამჟამად ახალ სიცოცხლეს იძენს, რადგან რეგულარულად ჩნდება ახალი ბანაკები, მუშავდება ახალი მარშრუტები, რაც ტურისტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ უამრავ ატრაქციონს, ნაკრძალს, ბუნებრივ სილამაზეს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში საცხენოსნო ტურიზმი იყო მეორე ყველაზე პოპულარული საფრანგეთში, მეორე მხოლოდ თხილამურებით სრიალის შემდეგ. ტურისტული ადგილის თვალსაზრისით, საცხენოსნო სპორტი არც ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა, შესაბამისად, მას აქვს უზარმაზარი სოციალური და რეკრეაციული შესაძლებლობები. საცხენოსნო ტურიზმით ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არა მხოლოდ ქალაქის, არამედ სოფლის მცხოვრებნიც სარგებლობენ, რადგან ამისათვის აუცილებელი ბაზაც გააჩნიათ.

ჩვენი ქვეყნის საცხენოსნო ტურიზმის პრობლემებს შორის შეიძლება დასახელდეს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ მცირედი მხარდაჭერის არსებობა, მცირე რაოდენობის კარგად განვითარებული საცხენოსნო მარშრუტები და სპეციალისტების დეფიციტი. ზემოაღნიშნულის ყველაზე მწვავე პრობლემა ინსტრუქტორთა უმეტესობის კვალიფიკაციის ნაკლებობაა. საცხენოსნო ტურიზმში ძირითადად საცხენოსნო სპორტის მიმდევრები ან ცხოველთა მოყვარულები მიდიან სამუშაოდ.

სპორტული საცხენოსნო ტურიზმი მოითხოვს კარგ სწავლებასა და მომზადებას საწყის ეტაპზე, რადგან ეს არის დასვენების ისეთი აქტიური ფორმა, რომელსაც დაზიანების საფრთხეც ახლავს.

¹⁰<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>

საცხენოსნო ტურიზმი გასართობი და აქტიური სპორტული ტურიზმის სახეობაა, რომელიც იყენებს შეკაზმულ ცხენებს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას.

საცხენოსნო ტურიზმის ფარგლებში გამოსაყოფია:

- საცხენოსნო გასეირნება - სადგომს გარეთ გასეირნება, რომელიც გრძელდება 1 საათიდან 3 დღემდე ღამის თევით;
- ცხენის ბილიკები - გრძელი მოგზაურობები (4 დღე ან მეტი) თავლების გარეთ;
- საცხენოსნო ტურიზმის კონკურსი;
- სასწავლებელში არსებული შეჯიბრებები საცხენოსნო ტურიზმის ტექნიკაში;
- სამუშაო ჩაცმის კონკურსი - საცხენოსნო უნარებთან დაკავშირებული შეჯიბრება¹¹.

მრავალი ქვეყანა აწყოებს ცხენებით გასეირნებას ისტორიულ ადგილებზე. ეს პოპულარულია საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში, პორტუგალიაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა. საცხენოსნო ტურები საფრანგეთში აერთიანებს სოფელში მოგზაურობას უძველეს ციხეებში დასვენებასთან. გარდა ამისა, შეთავაზებულია ტური „ოთხი მუშკეტერის ნაკვალევზე“. იტალიაში ღირს წასვლა ტოსკანაში. გიბრალტარის გარშემო მოგზაურობა ევროპაში საკმაოდ პოპულარული საცხენოსნო მარშრუტი გახდა. ესპანეთის კიდევ ერთი თავისებური რეგიონი საცხენოსნო ტურიზმისთვის არის გაროკიას ვულკანები.

ცალკეულ ქვეყნებში აერთიანებენ ბუნებრივი მემკვიდრეობის შესწავლას კულტურულთან და სთავაზობენ ცხენებით გასეირნებას ისტორიულ ადგილებზე. ასეთი ტურები დამახასიათებელია მექსიკის, აშშ-ს, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნებისთვის¹².

¹¹ Конный туризм как одно из самых успешных туристических направлений в мире / Ассоциация туроператоров URL: <http://www.atorus.ru/ru/news/sectornews/new/24775.html>

¹² Питка А.Я. Социально-рекреационные возможности конного туризма // Сетевой научно-практический журнал Научный результат, серия Технологии бизнеса и сервиса. URL: <https://cyberleninka.ru/article/v/sotsialno-rekreatsionnye-vozmozhnosti-konnogo-turizma>

სოციალური და ეკონომიკური მიმართულებების თვალსაზრისით, საცხენოსნო ტურიზმს შეუძლია შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გაზარდოს რეგიონის მიმზიდველობა, შემოსავალი და ამით რეგიონის ცხოვრების დონეც, წარმოქმნას მოთხოვნა ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციაზე, უზრუნველყოს ჯანსაღი ცხოვრების წესი და განავითაროს კულტურული ცხოვრება.

ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკაში მარშრუტებს, რომლებიც ოთხ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება, ეწოდება ლაშქრობები. საცხენოსნო ტურიზმს ასევე შეიძლება ვუწოდოთ ლაშქრობა პონებზე, აქლემებზე, ვირებზე, ირმებზე, იაკებზე, სპილოებსა და სხვა სახის ცხოველებზე. საცხენოსნო ტურიზმის თავისებურება არის ალჭურვილობისა და პროდუქციის გადატანა სპეციალურ ჩანთებში, რომლებიც მიმაგრებულია ცხენის უნაგირზე ან შეკაზმულ ცხენზე. ტურისტები ჩვეულებრივ ცხოვრობენ საველე პირობებში სრული თვითმომსახურებით. საცხენოსნო ტურიზმში გამოიყენება ზუსტად ისეთივე ალჭურვილობა, როგორიც ლაშქრობებში.

საცხენოსნო ტურიზმი არის უნიკალური შესაძლებლობა, მოხვდეთ საქართველოს ყველაზე რთულად მისაღწევ ადგილებში. საცხენოსნო ტურიზმის უზარმაზარი პოპულარობის გათვალისწინებით, საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები მუდმივად ვითარდება. ამ ტიპის აქტიური დასვენების დანერგვის შესაძლებლობები არსებობს თითქმის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით იქ, სადაც სოფლად ცხენები მრავლად ჰყავთ.

საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს რეგიონების უმეტესობაში ტარდება მცირემეტრაჟიანი ცხენოსნობა. ისინი, როგორც წესი, ორგანიზებულია ტურისტული ცენტრების, დასვენების ცენტრების მიერ, როგორც რამდენიმე საათის განმავლობაში, ასევე რამდენიმე დღის განმავლობაში. საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტების უმრავლესობა საქართველოში დაცულ ტერიტორიულ სისტემებთან და უნიკალური ბუნებრივი ფენომენების სიახლოვეს ვითარდება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ხელშეკრულებები დადებული აქვს პარკის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან, რომელთაც

ტურისტთა მომსახურების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ცხენები ჰყავთ. პარკის თანამშრომლები ტურისტებს თხოვნების შესაბამისად აწვდიან ცხენების მფლობელთა საკონტაქტო ინფორმაციას, რაც ასევე ეროვნული პარკის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე დევს. აღნიშნული ცხენებით გადაადგილების საწყისი პუნქტები მოწყობილია აწყურსა და ლიკანში¹³.

ასოციაცია „Horse Tours Georgia“-ს წევრების მიერ ორგანიზებულია ასევე საცხენოსნო ტურები. ასოციაცია ცხენების მფლობელთა პირველი ქართული რეგისტრირებული ჯგუფია, რომელიც აწყობს საცხენოსნო ტურებს პროფესიონალურ დონეზე. ორგანიზაციის წევრები საკუთარ საქმიანობაში იყენებენ სათანადო ცხენებსა და ევროპული სტანდარტების შესაბამის უსაფრთხო აღჭურვილობას. 2013 წელს მათ გაიარეს უმაღლესი კლასის პოლონელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარებული სპეციალიზებული გადამზადება. ჯგუფი საქმიანობას წარმართავს ტურისტული ღირშესანიშნაობებით ერთ-ერთ გამორჩეულ ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე¹⁴.

საინტერესო საცხენოსნო ტურებია წარმოდგენილი იმ ადგილებში, რომლებიც ბუნებრივი ატრაქციის უნიკალური ობიექტებია და უზრუნველყოფილია განთავსების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ლოპოტას ტბაზე განხორციელებული საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები. ტური დაუვიწყარი მოგონებებისა და ულამაზესი პეიზაჟების ფონზე მხიარულებას ტერიტორიიდან გაუსვლელად ჰპირდება დამთვალიერებელს. ტურის ფარგლებში შესაძლებელია ჯირითი ლოპოტას ხელშეუხებელ ტყეებსა და ალაზნის ველზე, ასევე გზად წმინდა გიორგის ტაძრის მოინახულებაც.

აქვე წარმოდგენილია მეორე ტურიც, რომელიც შესანიშნავი არჩევანია ექსტრიმის მოყვარულთათვის. მთებით გარშემორტყმული საუცხოო ბუნების პეიზაჟების ფონზე მგზავრობას განსაკუთრებული სიამოვნება ახლავს თან. ტურის ფარგლებში, ტურისტებს ტყის ხშირი საფარის და მდინარის გადალახვა მოუწევთ¹⁵.

¹³ <https://nationalparks.ge/ka/site/borjomi-kharagaulinp/adventuresInner/22>

¹⁴ <https://www.facebook.com/borjomihorsetours/>

¹⁵ <https://lopotaresort.com/ge/experiences/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>

საცხენოსნო ტურები განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ფშავ-ხევსურეთისა და ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებში. განსაკუთრებულობა კი ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიული დამოკიდებულებაა ცხენოსნობასთან, რაც კვალიფიკაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია. თან ყოველივეს ემატება მთის ურთულეს ბილიკებზე გადაადგილება და შესაბამისი წინაღობებისა თუ ქარაფების ცოდნა.

ტურისტული კომპანია ზეტა (ZETA) მაღალი მთის უნიკალური ბუნებრივი ფენომენების დათვალიერებით დაინტერესებულ ტურისტებს სთავაზობს ცხენებით გადაადგილებას. მარშრუტზე არსებული რთული მონაკვეთების გამო აქ აუცილებელია მეცხენე-გიდის თანხლება.

ორგანიზაცია წარმოადგენს მოკლე მარშრუტს: 2-3 საათი ზეტა - ტბები - ჭაუხის მასივი - ზეტა; გრძელი მარშრუტი: ორი დღე ზეტა - ჭაუხის მასივი - აბუდეღაურის ტბები (დამისთევა) - ჭაუხის მასივი - ზეტა¹⁶.

სამცხე-ჯავახეთშიაც წარმოდგენილია საცხენოსნო ტურები, რომელსაც ტურისტული კომპანია adventures ახორციელებს. ანალოგიურია თუშეთის, კოლხეთის, ალგეთისა და მაჭახელას ეროვნულ პარკებში. ასევე დედაქალაქში ლისის ტბის მიმდებარედ და ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე სთავაზობენ მომსახურებას როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, ასევე დედაქალაქში მყოფ ტურისტებს.

ქვეყნის მასშტაბით საცხენოსნო ტურებზე გაზრდილმა მოთხოვნამ და მცირემასშტაბიანი გრანტების პროგრამამ “მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის”, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შესაძლებელი გახადა აღნიშნული პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში მოხერხდა ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული შენობის, რომელიც არწივის ხეობის ტერიტორიაზე მდებარეობს, რეაბილიტაცია და ცხენებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა. ამ პროექტის ხორცშესხმამ მნიშვნელოვნად გაზარდა

¹⁶ <https://zeta.ge/ge/activities/2/satskhenosno-turi>

ბუნების ძეგლის – „არწივის ხეობის“ მიმზიდველობა და ვიზიტორთა რაოდენობა, რაც დადებითად აისახება ტურიზმის სექტორის განვითარებაზე¹⁷.

საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების გატარება ისეთ ადგილებში, რომლებიც საინტერესო ბუნებრივი ფენომენებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ახლოს იქნება. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ ობიექტებს, რომლებშიაც მაღალია ბუნებრივი კონტრასტები;

საცხენოსნო მარშრუტების კარტოგრაფირება და გეოინფორმაციული სისტემების საშუალებით მობილურ აპლიკაციებში შეტანა, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ტურისტისათვის;

საველე პირობებში საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების მარკირება, ბილიკების მიმდებარედ მანიშნებელი ფირნიშების დამონტაჟება;

საცხენოსნო ტურისტულ მარშრუტზე მინიმალური საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი შუალედური საცხენოსნო თავშესაფარი ქოხების მოწყობა;

მარშრუტების ძნელადგადასალახაობის მიხედვით კლასიფიკაციის შემუშავება, თითოეული მარშრუტისათვის სირთულის შესაბამისად კატეგორიის მინიჭება, რათა ტურისტმა ადვილად აღიქვას, თუ რა წინაღობები ელოდება მას;

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ტერიტორიის ეკოლოგიური მდგრადობის შესწავლა, სახიფათო უბნების გამოყოფა სეზონების შესაბამისად;

სპორტულ ტურიზმში ცხენების მიმართ ქცევის კოდექსის შემუშავება, რაც ცხოველთან ურთიერთობის წესებს დაარეგულირებს.

ამრიგად, საქართველოში არსებობს საცხენოსნო მიმართულებების ძირძველი ტრადიცია, გვყავს მეტნაკლებად კვალიფიციური კადრები, რაც ხელშემწყობი

¹⁷<https://eu4georgia.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98/>

ფაქტორია ამ მიმართულების განვითარებისათვის. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ლანდშაფტების კონტრასტული მრავალფეროვნება, ტუროპერატორული კომპანიების, დაცული ტერიტორიული სისტემებისა და კერძო განთავსების სექტორის ჩართულობა დარგის უკეთ განვითარების ხელშეწყობი ფაქტორი ხდება.

ლიტერატურა:

1. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>
2. Конный туризм как одно из самых успешных туристических направлений в мире / Ассоциация туроператоров URL: <http://www.atorus.ru/ru/news/sectornews/new/24775.html>
3. Питка А.Я. Социально-рекреационные возможности конного туризма // Сетевой научно-практический журнал Научный результат, серия Технологии бизнеса и сервиса. URL: <https://cyberleninka.ru/article/v/sotsialno-rekreatsionnye-vozmozhnosti-konnogo-turizma>
4. <https://nationalparks.ge/ka/site/borjomi-kharagaulinp/adventuresInner/22>
5. <https://www.facebook.com/borjomihorsetours/>
6. <https://lopotaresort.com/ge/experiences/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>
7. <https://zeta.ge/ge/activities/2/satskhenosno-turi>
8. <https://eu4georgia.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98/>

PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF EQUESTRIAN TOURISM IN GEORGIA

Malkhaz Ghvinjilia

Academic Doctor of Geography, Shota Rustaveli Theater
and Film State University of Georgia, Head of Cultural
Tourism

E-mail: malkhazgvinjilia@gmail.com

*Presented by the Institute of Geography and Tourism at the Tskhum-Abkhazian Academy
of Sciences*

Abstract. Equestrian tourism is an interesting form of active one in the modern world. It is a means of significant relaxation in addition to the humane attitude of the man and horse in an ecologically clean environment.

The life of a Georgian man in Georgia is closely related to the horse. He has historically been a loyal and reliable “friend” of the rider on the field of movement, cargo, as well as on the battlefield.

In our country there is a traditional attitude towards equestrian competitions and on holidays, jiriti, horse racing, zucchini, isindi, etc. are held in the tourist destinations.

Our country’s relief and landscape diversity, the existence of objects of material and cultural heritage sites and especially castles-towers are a contributing factor for arranging hiking tours.

Currently, equestrian bases are created in the vicinity of tourist destinations and especially protected territorial systems in Georgia, which provide services for the movement of tourists.

Presently, in the immediate vicinity of tourist destinations and especially protected territorial systems of Georgia, equestrian bases have been created, which provide services for the movement of tourists.

In order to popularize equestrian tours, it is advisable to study equestrian routes in detail, minimize hazards and risks, arrange shelters, provide banners and panoramic views and install mobile applications for installation in GIS systems. The introduction of existing measures will become a factor contributing to the development of equestrian tourism in Georgia.

Keywords: *Tourism, horseback riding, hiking.*

სამეგრელოს მიწისა და ტყის რესურსების კარტოგრაფირება

კობა კორსანტია

გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

E-mail: k.korsantia@sou.edu.ge

რევაზ თოლორდავა

გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

E-mail: r.tolordava@sou.edu.ge

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და ტურიზმის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია სამეგრელოს რეგიონის მიწისა და ტყის რესურსების კარტოგრაფირება გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის რესურსების ტრანსფორმაციის შედარების, მიწის ფონდის შესახებ სტატისტიკური და თვით ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგების საფუძველზე შექმნილია მიწის რესურსების სტრუქტურული სურათი, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა რეგიონის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების გადანაწილების შესახებ.

ზემოაღნიშნული მასალის განზოგადებისა და სივრცობრივი სხვადასხვაობის წარმოდგენის შედეგად ავტორმა შეიმუშავა სამეგრელოს ძირითადი ნიადაგური რესურსების გეოინფორმაციული რუკა, რომელიც ამომწურავად გამოხატავს აქ მიწის რესურსების გეოგრაფიული განაწილების სირთულეს. ასევე, ემპირიული დაკვირვების მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობის გეოინფორმაციული რუკა, სადაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების ზონები რეგიონის ტერიტორიაზე.

ტყეების კარტოგრაფირების, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით, ავტორის მიერ შემუშავებულია რეგიონის სატყეო მეურნეობების სტატისტიკური, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ნათლად ასახულია ნაშრომში. აქვე შესრულებულია გასული საუკუნის 80-იანი წლებისა და ამჟამად არსებული ტყის ფონდის მასალების შედარებითი ანალიზი. ტყის რესურსების შესახებ მოპოვებული დაკვირვებების, ემპირიული მასალების მოპოვება-ანალიზისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებით შედგენილია სამეგრელოს ტყის რესურსების პოტენციალის თანამედროვე გეოინფორმაციული რუკა, რომელშიც ნათლად ჩანს ტყის გავრცელების ფართობები უკანასკნელ წლებში.

საკვანძო სიტყვები: გეოინფორმაციული რუკა, ტყის რესურსები, კარტოგრაფირება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამჟამდ მსოფლიოს ნიადაგური (მიწის) რესურსები და, მათ შორის, საქართველოს საკმაოდ შეზღუდული მიწის რესურსები ინტენსიურ დეგრადაციას განიცდის. მისი მიზეზი ნიადაგის ქარისმიერი (დეფლაცია) და წყლისმიერი (ეროზია) გადარეცხვის პროცესების გააქტიურება წარმოადგენს. ამავე დროს, ამ ნეგატიური მოვლენების ფართო განვითარება დაკავშირებულია ნიადაგდაცვითი ფუნქციების მოშლასთან, ეროზიული და მეწყრული ფერდობრივი პროცესების განვითარებასა და ნიადაგების გაბინძურება-გაჭუჭყიანების ინტენსიფიკაციასთან. სამეგრელოს მიწის რესურსებიც ძლიერ დეგრადაციას განიცდის. ამ უარყოფით პროცესებთან ერთად სამეგრელოს მიწების უდიდეს პრობლემას ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების ფართო გავრცელება (სამეგრელოს ვაკე-დაბლობი და სანაპირო ზოლი) ქმნის. რეგიონის საშუალომთიანი და მაღალმთიანი ჰიფსომეტრიული დონეები კი (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონების ფარგლებში) რელიეფის ძლიერი სიღრმითი დანაწევრებისა და ე.წ. ბედლენდის (Badland - უვარგისი, ალქატი მიწები) მეტ-ნაკლებად სუსტი გავრცელების მიუხედავად, სამეგრელო ისე, როგორც მთელი საქართველო - მცირემიწიან რაიონად ითვლება.

ასევე სამეგრელოს მცენარეული საფარის უმთავრესი ეფექტურობა მისი ნიადაგდაცვით როლშია ასახული, რომლის ფუნქციებს ეკრანირებისა და ფიქსირების კანონზომიერი კომბინაცია განაპირობებს. ამ მოვლენის დეტალების გათვალისწინებით ნიადაგის მიერ წყლისა და მინერალური ნივთიერებების შეკავების, ასევე მასების გადატანის უნარების შემცირების შედეგად ეკოსისტემების კატასტროფულ ცვლილებების გამოწვევას უნდა ველოდოთ. მათ შორისაა, დააჩქარებული ეროზიის პროცესი, რომლის უმთავრესი გამომწვევი მიზეზი ურწყულო მიწათმოქმედებაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტყის საფარის ანთროპოგენური დეგრადაცია მსოფლიოს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. აკი, ისტორიული დროის მსოფლიოში ტყით დაკავებული ფართობის 65%-ით შემცირება (მიქაძე, 2001) საზოგადოების არაგონივრულ საქმიანობას მიეწერება. მსგავსი საქმიანობა უცხო ხილი არც საქართველოში გამოდგა.

რეგიონის მიწის რესურსების შეფასების, რაციონალური გამოყენებისა და ათვისების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს ჭაობიანი მიწების ამოშრობა, მისი ნაყოფიერების გაზრდა და გამოყენება წარმოადგენს. სამეგრელოში თანამედროვე ჭაობების მიერ დაკავებული ფართობი 7663 ჰა-ს შეადგენს ანუ მას 76,6 კმ² მიწები აქვს დაკავებული. იმის მიუხედავად, რომ გასულ საუკუნეში აქ ჭაობების დაშრობა ინტენსიურად მიდიოდა, რომელმაც მოსალოდნელი საგრძნობი დადებითი შედეგები ვერ მოგვცა და, შესაბამისად, მიწის რესურსების პოტენციალის ზრდასა და განვითარებასაც ადგილი არ ჰქონია. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი სამეგრელოს მიწების არარაციონალურმა ათვისებამ კიდევ უფრო დაამძიმა მიწათმოწყობისა და რესურსული ათვისების პერსპექტივა. ამას დაემატა სამეგრელოში 2005 წლის მდგომარეობით არსებული საშრობი და სარწყავი არხებისა და ქსელების მთლიანი მოშლა და უმოქმედობის გამოწვევა. ამავე დროს, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების პრაქტიკაში გაუტარებლობის გამო - გაუარესდა სამელიორაციო სისტემების მდგომარეობა. საშრობი არხების მოშლამ კი დაჭაობებული ფართობების ზრდა და ჭაობებური ლანდშაფტების დამკვიდრება განაპირობა. ნიადაგის ეროზიულმა და მეორადი დაჭაობების პროცესებმა მწყობრიდან გამოიყვანა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოსაყენებელი მასივები. ამიტომ, სამეგრელოს მიწის რესურსების რაციონალური (გონივრული)

ათვისების თვალსაზრისით, აგრეთვე თანამედროვე სტანდარტების მიღწევის გათვალისწინებით, მიწის რესურსების გეოგრაფიულ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაჩქარებას მოითხოვს მიწის ინვენტარიზაციის სამუშაოების ბოლომდე ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სავარგულთა შემადგენლობის საბოლოოს დაზუსტებასაც.

სამეგრელოს მიწის რესურსების კარტოგრაფირება შესაძლებელია თითოეული რაიონის მიწის ინდექსისა და მისი საკადასტრო რუკების ანალიზის, გასული საუკუნის 90-იან წლებში მიწების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობის, მიწის რესურსების პოტენციალის უახლესი ცვლილებებისა და სხვათა გათვალისწინებით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების რეფორმით სამეგრელოს მიწების ნაწილი მოსახლეობას გადაეცა. კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის ფართობებმა 92737 ჰა შეადგინა. აქედან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები იყო 90995 ჰა, ხოლო დანარჩენი (1742 ჰა) არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის იყო განკუთვნილი. რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის რესურსების ტრანსფორმაციის შესახებ წარმოდგენას იძლევა გასული საუკუნის 80-იანი წლებისა და ამჟამად არსებული რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარება (სამეგრელოს მიწის..., 2004)..... იგი შესაძლებელი გახდა რეგიონის მიწის ფონდის შესახებ სტატისტიკური და თვით ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგების საფუძველზე. ბოლო მონაცემების მიხედვით სამეგრელოს მიწის ფონდის ჯამური ფართობი 442375 ჰა-ს შეადგენს. ნაშრომში მოტანილია მიწის რესურსების სტრუქტურული სურათი (ცხრილი 1), რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა რეგიონში განვითარებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობების გადააწილების შესახებ.

ცხრილი 1. სამეგრელოს რაიონების მიწის რესურსების სტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით. ფართობები მოცემულია ჰა-ში


რაიონი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები									
	საერთო ფართობი	სასოფლო სამეურნეო მიწები	სახნავი	ხეილის ზაღი	ჩაი	ციტრუსები	ვენახი	სხვა მრავალწლიანი ნარგავები, თხილი	სამოვარი	სათიბი
აბაშა	32252	20754	12791	965	68	–	7	688	6235	–
ზუგდიდი	69207	35893	14197	440	5370	468	348	6698	8900	–
მარტვილი	88060	31523	9773	649	2822	–	694	1109	16313	163
სენაკი	52071	21924	9696	307	1212	150	110	2951	7198	24
ჩხოროწყუ	61936	21218	4843	528	2975	9	205	1222	11437	–
წალენჯიხა	64668	13573	3886	145	2914	–	160	1213	5075	80
ხოზი	67601	29942	12447	531	1432	377	37	1447	12592	11
ქ. ფოთი	6580	858	313	–	25	–	272	32	5	–
სულ	442375	175685	67134	3565	16818	1004	1833	11995	67887	278

ამავე დროს, მიწის ფონდის ათვისების ხვედრითი მაჩვენებლების მისაღებად, საინტერესოა ამ რესურსების საერთო სტრუქტურული ნიშნები ანუ ამ მიწებზე წარმოდგენილი ბუნებრივი და ხელოვნური კომპონენტების სივრცობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების თანამედროვე მდგომარეობა. აქ დიდი ინტერესი აქვს რეგიონის მიწის ფონდების თუ რა წილი აქვს დაკავებული ტყეებსა და ბუჩქნარებს, ტბებსა და წყალსაცავებს, მდინარებსა და ჭაობებს, მაგისტრალურ არხებსა და შიდა სატრანსპორტო ქსელებს, ადგილობრივ გზებს, შენობებსა და ნაგებობებს, სამხედრო თუ სხვა პოლიგონებს, ეროზირებულ და დამეწყრილ ფრაგმენტებს, დაბინძურებულ და კარიერულ უბნებსა და ა.შ. მათ შესახებ კრებსითი მონაცემები მოტანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. სამეგრელოს რაიონების მიწის რესურსების არასასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა. ფართობები მოცემულია ჰა-ში

რაიონი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი									
	ტყე-ბუჩქნარი ჰა	შენობებითა და გზებით დაკავებული მიწები ჰა	მდინარეებით, ნაკადულებით ჰა	წყალსაცავებითა და ტბორებით ჰა	ტბებით ჰა	ჭაობებით ჰა	გამოუყენებელი მიწები ჰა	მაგისტრალური არხებით და შიდა ქსელებით ჰა	ეროვნულ და დამეწყვრილი ჰა	კლდეებით, ხრამებით დაკავებული მიწები ჰა
აბაშა	2352	1731	1958	210	—	24	5223	—	1841	3181
ზუგდიდი	17596	5953	4317	54	—	196	3720	458	1666	1889
მარტვილი	45344	2209	1613	—	—	50	7321	—	605	6568
სენაკი	19048	3011	1487	631	—	254	3470	2246	1500	1933
ჩხოროწყუ	27693	1381	991	91	—	—	10539	22	2830	7667
წალენჯიხა	41972	1197	464	1447	1	76	5939	—	484	5396
ხობი	23250	2897	1698	25	—	6918	487	2385	—	447
ქ. ფოთი	695	1154	505	56	2345	145	739	9	—	1449
სულ:	177950	19533	13033	2514	2346	7663	37338	5120	8926	28530


სამეგრელოს მიწის რესურსების რაციონალური და გონივრული ათვისება-გამოყენების მიზნით, უმთავრეს გეოგრაფიულ ამოცანას წარმოადგენს აგრარულ-რესურსული პოტენციალის ახალ სისტემებზე დაყრდნობით კადასტრიტრეზა-კარტოგრაფირება, რომელიც ჯერ არაა დასრულებული. მსგავსი სამუშაოების შესრულებითა და საბაზო რუკების შედგენის საფუძველზე ყოველწლიურად შეიძლება მიწის რესურსების სტრუქტურული ცვლილებების შეფასება და რეალური მონიტორინგის სისტემის ამოქმედება-დაწესება. აღნიშნული მასალის განზოგადოებისა და სივრცებრივი სხვადასხვაობის წარმოდგენის შედეგად ავტორის მიერ შემუშავებულია სამეგრელოს ძირითადი ნიადაგური რესურსების გეოინფორმაციული რუკა, რომელიც (ნახ. 1) შედარებით ამომწურავად გამოხატავს აქ მიწის რესურსების გეოგრაფიული განაწილების სირთულეს.



ნახ. 1. სამეგრელოს ნიადაგების გეოინფორმაციული რუკა (კორსანტია, 2011)

სოფლის მეურნეობის განვითარება კი უშუალო კავშირშია მოწის რესურსებთან, კერძოდ მიწათმოქმედების პერსპექტივას რეგიონში ყველაზე ხელსაყრელი აგროკლიმატური და ნიადაგ-კლიმატური პირობები გააჩნია, რასაც უმთავრესად ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და აბაშის რაიონები მიეკუთვნება. ზემოთმოცემული მასალებისა და თვით ავტორის ემპირიული დაკვირვების მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობის გეოინფორმაციული რუკა (ნახ. 2.), სადაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების ზონები რეგიონის ტერიტორიაზე.

სამეგრელოს ტყის რესურსები ძირითადად კონცენტრირებულია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონის ფარგლებში, რომლებიც ლანდშაფტების ნაირგვარობითაც გამოირჩევიან. რეგიონის სატყეო ფონდის ფართობი გასული საუკუნის 80-იან წლებში 174294 ჰა-ს, ხოლო ტყით დაფარული ფართობი 136653 ჰა-ს შეადგენდა. ცხადია, რომ სამეგრელოს რეგიონის ტყიანობის მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავ სიდიდეს (43,5%) იძლეოდა. რეგიონში იყო 5 სატყეო მეურნეობა (ცხრილი 3), რომელთა შორისაა: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ქარიატისა და კოლხეთის სატყეო მეურნეობები, სადაც თავმოყრილი იყო სამეგრელოს ტყეების ყველაზე მრავალფეროვანი და საუკეთესო ჯიშები.



ნახ. 2. სამეგრელოში სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელება (კორსანტია, 2011)

გასული საუკუნის 80-90 წლებში საკვლევი რეგიონის ტყეების ფონდების ხელოვნური ცვლილებების (ტყის გაჩეხვა) შედეგები საკმაოდ შესამჩნევ სიდიდეებს იძლევა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს საშუალომთიანი, დაბალმთიანი და ვაკე არელების ტყეებზე ანთროპოგენური ტრანსფორმაცია შეინიშნება. წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, აბაშის და ქ. ფოთის სატყეო მეურნეობებში ადრე ფიქსირებული ტყეების (174254 ჰა) ფართობის შემცირებამ 23,5 % შეადგინა. ხოლო კონკრეტულად ტყეებზე ზემოქმედების ანთროპოგენურმა ზეგავლენამ ანუ ტრანსფორმაციის სიდიდემ 9,1 % მიაღწია. სატყეო ფონდის გასული საუკუნის 80-90 წლებისა და 2005-2006 წლების მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მარტვილის რაიონში 90-იან წლებში სატყეო ფონდის ფართობი 46211 ჰა-ს (სხვა მონაცემებით - 45125 ჰა) შეადგენდა. იგივე ცვლილებებია დაფიქსირებული წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში, სადაც ის 54916 ჰა-დან ბოლო მონაცემებით 41972 ჰა-მდე შემცირდა, ჩხოროწყუს რაიონში - 30694 ჰა-დან 27690 ჰა-მდე, აბაშის რაიონში - 4881 ჰა-დან 2352 ჰა მდე, ხობის რაიონში - 12085 ჰა-დან 10796 ჰა-მდე, სენაკის რაიონში - 20187 ჰა-დან 19048 ჰა-მდე, ხოლო ქ. ფოთში - 880 ჰა-დან 695 ჰა-მდე.

ცხრილი 3. სამეგრელოს სატყეო მეურნეობები

სატყეო მეურნეობა	რაიონი	რაიონის ფართობი, კმ ²	ტყის ფონდის ფართობი ჰა	ტყის ფონდის ფართობი ჰა	ტყიანობა %	მერქნის მარაგი მ ³ /ჰა	ტყის ფონდის ცვლა 1980-2005 წწ ჰა/%-ში
წალენჯიხა	წალენჯიხა, ზუგდიდი	1329	54916	51696	38,8	6971,5	32605//– 40,6
ჩხოროწყუ	ჩხოროწყუ	619	30694	28033	45,2	4017,1	26889//– 12,4
მარტვილი	მარტვილი	881	46211	43412	49,2	6635,7	43001//– 7,0
ქარიატი	ხობი	16	1539	552	34,5	26,4	
კოლხეთი	აბაშა, სენაკი, ხობი, ქ.ფოთი	1500	40934	38190	25,4	2531,1	
სულ			4345	174294	161883		201818

ტყის რესურსების რაციონალური ათვისების კვალდაკვალ, მათი შეზღუდული სარგებლობის სახელმწიფოებრივი კონტროლია ამოქმედებული. თუმცა, ქვეყანაში დამკვიდრებული ტყით სარგებლობის 20-წლიანი ლიცენზიის უგულებელყოფამ გამოიწვია უნიკალური სახეობის მცენარეთა ნაწილობრივი ან სრული განადგურება. ამასთან, ტყეების გავერანებასთან ერთად, მოსალოდნელია ძლიერი ეროზიული, მეწყრული და დენუდაციური პროცესების გააქტიურება. ძლიერი ანთროპოგენური დატვირთვების შედეგად კი ეკოსისტემების დარღვევისა და ბიომრავალფეროვნების შემცირებას უნდა ველოდოდ, სამეგრელოს ტყის რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს ოპტიმიზაციის მიზნით, აგრეთვე გონივრული ბუნებათსარგებლობისა და რაციონალური რესურსათვისების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შემოთავაზებულია რეგიონში დაცული ტერიტორიის სისტემის ამოქმედება. ეს, პირველ რიგში, ეხება საშუალომთიან ზონას, სადაც ტყის უდიდესი ფართობებია. ტყის რესურსების შესახებ მოპოვებული დაკვირვებების, ემპირიული მასალების მოპოვება–ანალიზისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებით შედგენილია სამეგრელოს ტყის რესურსების პოტენციალის თანამედროვე გეოინფორმაციული რუკა (ნახ.3).



ნახ. 3. სამეგრელოს ტყეების გავრცელება (კორსანტია, 2011)

ტყეების კარტოგრაფირების, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით ავტორის მიერ შემუშავებულია წინადადება როგორც ბუნების დაცვის, ისე მრავალმხრივი გამოყენების დასაშვები შეფარდების ზონების (უნიკალური სახეობები, ხელუხლებელი ფრაგმენტები) გამოყოფის შესახებ. ამ ზონების მოწყობა ემსახურება ბუნების დაცვისა (ტყის გაკაფვის აკრძალვა) და განახლებადი ბუნებრივი რესურსების (ტყის აღდგენითი საქმიანობა) მოსახლეობის მიერ ისტორიულად ჩამოყალიბებული და ტრადიციად ქცეული მეურნეობრიობის (ტყის შერჩევითი წრის უბნები და პერიოდები) წარმართვას, როდესაც ლიმიტირებულია საშუალო მერქნის მოპოვების, ტყის ჭრისა და სხვა ანთროპოგენური დატვირთვების არარენტაბელური საქმიანობები.

ლიტერატურა:

1. Alpenidze M., Seperteladze Z., Davitaia E., Kharadze K. SaqarTvelos fizikuri geografia, Tb. 2009.
2. Ketskhoveri N., SaqarTvelos mcnareuli safari, Tb., 1959.
3. Kobaxidze E., saqarTvelos bunebrivi simdidreebi. Tb., 1973.
4. Miqadze I. Ekologia, Tb. 2011.
5. Samegrelo (M. Ardiassa da W. Janelidzis redaqtisi), Tbilisi–Zugdidi, 1999.
6. Samegrelo–Zemo Svanetis mxaris miwis fondis ganawilebis angarishi 2001 da 2004 wlebis mixedvit, Zugdidi, 2004.
7. Urushadze T. saqartvelos dziritadi niadagebi, 1994.

MAPPING OF LAND AND FOREST RESOURCES OF SAMEGRELO REGION

Koba Korsantia

Sokhumi State University Department of Geography,

Doctor of Geography, Associate Professor

E-mail: k.korsantia@sou.edu.ge

Revaz Tolordava

Sukhumi State University Department of Geography,

Doctor of Geography, Associate Professor

E-mail: r.tolordava@sou.edu.ge

Presented by the Institute of Geography and Tourism at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Abstract. The aim of the article is mapping of land and forest resources of Samegrelo region using geo-information system. According to the above-mentioned the following works have been implemented:

Comparison of land resources, which are located within administrative borders of the region, structural picture of land resources has been created on the basis of statistical information about land and results of reprocessing of the data acquired by the author on site, which gives a clear view on distribution of agricultural and nonagricultural lands in the region.

As a result of generalization of the above-mentioned material and surface differences the author elaborated geo-informational map of main soil resource in Samegrelo, which gives detailed information about complicity of geographic distribution of land resources. Also, based on the data of empirical observation the author elaborated geo-informational map of agriculture in Samegrelo, where it is clearly shown zones of widespread of agriculture fields on the territory of the region.

With the aim of ensuring and maintaining permanency and guaranteed application of mappings and renewable natural resources the author elaborated statistical, quantitative and qualitative figures of wood households, which are clearly indicated in the work. The work also includes comparative analysis of materials on forest resources of 80's of the last century. Contemporary geo-informational map of the potential of forest resources of Samegrelo, showing areas of widespreading of the forest during the last years, was elaborated with materials acquired by observations, analysis of empirical data and by application of databases.

Keywords: *Geo-information map, forest resources, mapping.*

სიტყვა „ინტერაქცია“ პედაგოგიკის თეზაურუსში

ჯემალ ჯინჯიხაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, პედაგოგიკის დეპარტამენტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: jemal.jinikhadze@gmail.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. სიტყვები: ინტერაქცია, ინტერაქტიური და სხვა მისთანები ახალი შემოსულია ქართულ ლექსიკაში, შემოიტანა იგი ახალმა სიომ ქართულ განათლებაში, ქართული განათლების სისტემის ახალმა რეფორმამ. მაგრამ დამკვიდრდა გარკვეული ქაოსი. თანამედროვე პედაგოგიკურ ლიტერატურაში ხშირად არასწორად, უადგილო ადგილას და ერთმანეთში არევით იხმარება სიტყვები: **ინტერაქციული, ინტერაქტიური, ინტერაქტიული.** მათი მნიშვნელობებიც არეულია ერთმანეთში. სტატიაში ყოველმხრივ გამოკვლეულია საკითხი და დადგენილია, რომ ქართული ენის ლექსიკაში, პედაგოგიკის თეზაურუსში, უნდა შევიდეს განხილულ თემასთან დაკავშირებული მხოლოდ ორი ტერმინი: **ინტერაქციული და ინტერაქტიური.** პირველი მათგანი მომდინარეობს სიტყვიდან **ინტერაქცია**, -ულ სუფიქსის მეშვეობით, ხოლო მეორე - სიტყვიდან **აქტიური**, ზედსართავული **ინტერ-**ის დართვით. დანარჩენი სიტყვები: **ინტერაქტიული და სხვა მისთანები ენის დანაგვიანებას გამოიწვევს.**

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიკა, ლექსიკა, სიტყვა, ინტერაქცია, ურთიერთობა, ურთიერთქმედება, ინტერაქცია, ინტერაქციული, ინტერაქტიური.

სიტყვები: **ინტერაქცია, ინტერაქტიური და სხვა მისთანები** არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განიხილება და არც ორთოგრაფიულში. ეს სიტყვები

ახალი შემოსულია ქართულ ლექსიკაში, შემოიტანა იგი ახალმა სიომ ქართულ განათლებაში, ქართული განათლების სისტემის ახალმა რეფორმამ.

შემოიტანა, მაგრამ დამკვიდრდა გარკვეული ქაოსი. თანამედროვე პედაგოგიკურ ლიტერატურაში ხშირად არასწორად, უადგილო ადგილას და ერთმანეთში არევით იხმარება სიტყვები: **ინტერაქციული, ინტერაქტიური, ინტერაქტიული**. მათი მნიშვნელობებიც არეულია ერთმანეთში [1,62].

განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი თანამედროვე ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონისა და ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსიკონის მიხედვით „ინტერაქცია არის ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთმანეთისადმი, სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა“ [2].

ეს სწორი არ არის. ინტერაქცია არ არის მარტო ყურადღების მიქცევა, ინტერაქცია გაცილებით უფრო რთული ფსიქიკური პროცესია. საჭიროა მეტი გარკვევა ამ საკითხში.

საზოგადოდ, ცნობილია ასეთი განსაზღვრა:

ინტერაქცია - ადამიანთა ურთიერთ(მო)ქმედება ურთიერთობისას, საერთო საქმიანობის დაგეგმვა, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაცია, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ერთმანეთზე ...

ადამიანთა დიალოგი შედგება წინადადებებისგან, მაგრამ სინამდვილეში, რეალურ ვითარებაში, წინადადებათა შორის უხმოდ, შინაგანად მიმდინარეობს გარკვეული ორმხრივი, ერთობლივი ფსიქიკური პროცესი, განპირობებული დიალოგში მონაწილეთა გულისა და გონების ურთიერთპარმონიულობით, რომელიც, თავის მხრივ, დიალოგში მონაწილე ადამიანთა ერთმანეთის მიმართ განწყობებითაა განპირობებული. სწორედ ეს პროცესია **ინტერაქცია**. ინტერაქცია დიალოგს აქცევს უწყვეტ პროცესად.

ე. ი. დიალოგი არ არის დისკრეტული, მხოლოდ წინადადებათა ერთობლიობა, იგი უწყვეტი პროცესია, უწყვეტი ფსიქიკური პროცესი, უწყვეტია დროშიცა და სივრცეშიც.

მართალია, როცა დიალოგი წერილობითაა მოცემული, მაშინ მკითხველი მხოლოდ წინადადებებს კითხულობს, მაგრამ, თუ მკითხველი გონიერია, თავისი გამჭრიახი გონების წყალობით შეუძლია წინადადებებს შორის ამოიკითხოს,

როგორი იყო დიალოგში მონაწილეთა განწყობები ერთმანეთის მიმართ, რას გრძნობდნენ, რას განიცდიდნენ, როგორ ზემოქმედებდნენ ერთმანეთზე, როგორ უთავსდებოდა აზრების გამოხატვაში თითოეულის გული და გონება ერთმანეთს და ა. შ.

ეს უფრო ადვილია დიალოგის მსმენელისათვის, მაყურებლისათვის. ის ხედავს დიალოგში მონაწილეთა ქცევებს, სახის გამომეტყველებას, მიმიკას და სხვ.

ასე, რომ ინტერაქცია უმნიშვნელოვანესია ყველა თვალსაზრისით, განსაკუთრებით - პედაგოგიურით.

როგორც ჩანს, ინტერაქციის ცნება დაკავშირებულია ურთიერთქმედებისა და ურთიერთობის ცნებებთან.

ურთიერთქმედება - ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების ზემოქმედება ერთმანეთზე როგორც უწყვეტი დიალოგი. ურთიერთქმედება არის ინდივიდების ქმედებები, რომლებიც ერთმანეთისკენაა მიმართული.

ურთიერთობა შედგება სამი ასპექტისაგან - კომუნიკაციის, პერცეფციისა და ინტერაქციისაგან. საინტერესოა ამ უკანასკნელის განხილვა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის თვალსაზრისით.

ინტერაქციის ცნება იმთავითვე სოციოლოგიაში გაჩნდა, იქ დაიბადა.

სიტყვა **ინტერაქცია** ინგლისურია და ნიშნავს ურთიერთქმედებას. ეს ტერმინი მეცნიერებაში ამერიკელი ფსიქოლოგისა და სოციოლოგის - **ჯორჯ ჰერბერტ მიდის** (1863-1931) მიერაა შემოღებული [3, 112]. მიდის თეორიის მიხედვით სოციუმში გავრცელებული ქცევა განისაზღვრება არა ცალკეული ადამიანების საქციელთა ნაკრებით, არამედ რთული ჯგუფური საქმიანობით. ამიტომ ინტერაქციონისტული მიდგომის მომხრე მკვლევართა ინტერესის ფოკუსში მოხვდა ურთიერთქმედების შემდეგი კატეგორიები:

- აზრებისა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა,
- ერთიანი სტრატეგიის მიღწევა,
- ურთიერთგაგების მოწესრიგება,
- კონფლიქტის გამწვავება (არაეფექტური ინტერაქციის მაგალითი),
- ემპათიის გაჩენა თანამოსაუბრისადმი [4, 761].

ინტერაქციის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა. ასე, მაგალითად, რუსი და ამერიკელი სოციოლოგი **პიტირიმ სოროკინი** (1889-1968) თავის შრომებში გამოყოფს ინტერაქციის შემდეგ ნიშნებს:

- იმისათვის, რომ ინტერაქცია განხორციელდეს, როგორც მინიმუმი, აუცილებელია ორი მხარის არსებობა,
- მნიშვნელოვანია ურთიერთობის არავერბალური ასპექტები,
- პარტნიორების აზრები და გრძნობები ერთმანეთს რეზონანსს უნდა აძლევდეს [4, 761].

ეს ტერმინი სოციოლოგიიდან ფსიქოლოგიაში გადავიდა. ეს უჩვეულო მოვლენა გახლავთ, რადგანაც ტრადიციულად, ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე, ცნება ფსიქოლოგიიდან გადადის სოციოლოგიაში.

ცნება **ინტერაქციას** ფსიქოლოგიაში შემდეგი განსაზღვრები აქვს:

- ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთგავლენა;
- კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით ემყარება ურთიერთქმედებას, სხვადასხვა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა გამოყენებით;
- ურთიერთობის მონაწილეთა ერთობლივ ქმედებათა რეალიზაცია [5, 39].

ინტერაქციის სტრატეგიები (სახეები) - ეს არის ადამიანის ქცევის განსაკუთრებული შაბლონები სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთქმედების პროცესში.

დღეს მეცნიერებაში გამოყოფენ ინტერაქციის ხუთ ძირითად სტრატეგიას:

1. **თანამშრომლობა** - ხასიათდება პარტნიორების დაინტერესებით ერთობლივ ქმედებებში, ასევე, შეთანხმებულ ძალისხმევაში საერთო მიზნის მისაღწევად, ფსიქოლოგიური თავსებადობითა და ურთიერთსიმპათიით.
2. **მეტოქეობა** - თავისი არსით ურთიერთქმედების საწინააღმდეგო სახე, რომლის თავისებურებაა ქონა საერთო მიზნისა, რომლის მიღწევა შეუძლია ინტერაქციის მხოლოდ ერთ მონაწილეს. სხვა მხარეები წარმოადგენს დაბრკოლებებს, რომელთა ნეიტრალიზაცია, თუნდაც ნაწილობრივი, აუცილებელია. მეტოქეობას ხშირად კონფლიქტები მოსდევს.
3. **კომპრომისი** - მიზნის მიღწევის პლანში ინტერაქციის ყველაზე რთული სახე. იგი ეფუძნება ურთიერთდათმობის იდეას. მისი სირთულის მიუხედავად, ეს არის სოციუმში ინტერაქციის საკმაოდ გავრცელებული სახე, რამდენადაც ადამიანები

და სოციალური ჯგუფები ცხოვრებაში ბევრია, ხოლო ის სიტუაციები, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს სრულად ემთხვევა, საკმაოდ იშვიათია.

4. **შეგუება** - ეს ის სტრატეგიაა, როცა ინდივიდი ან ჯგუფი, ექვემდებარება რა უფრო ძლიერ პარტნიორს, თავის ინტერესებს სწირავს. შეგუება შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელი.
5. **თავიდან აცილება** - კონტაქტებისთვის, პასუხისმგებლობისთვის, პრობლემის გადაწყვეტისთვის თავის არიდებისკენ სწრაფვა.

მკვლევარები პირველ სამ სტრატეგიას განიხილავენ როგორც შედეგიანს, ხოლო ბოლო ორს - როგორც არაეფექტურს. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შეგუება და თავის არიდება კი არ წყვეტს პრობლემას, არამედ იწვევს მის კიდევ უფრო გამწვავებას ან - ფსიქიკურ მოშლილობებს, ფრუქტაციებს, შიგაპიროვნულ კონფლიქტებს და ა. შ.

ცნება **ინტერაქცია** იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ გაჩნდა მთელი მიმართულება **ინტერაქციონიზმი** (< ინგლ. *Interaction* ურთიერთქმედება, ზემოქმედება ერთმანეთზე).

სიტყვიდან **ინტერაქცია** იწარმოება სიტყვა **ინტერაქციული** (და არა **ინტერაქტიული** ან მისთანა სხვა რომელიმე).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნებში განიხილება **ინტერაქციული სწავლება**. ეს სწორი არ არის. სწავლება არ შეიძლება იყოს **ინტერაქციული**. მართალია, სწავლება **ინტერაქციებით** გაჟღენთილი უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლება **ინტერაქციულია**. **ინტერაქცია** ფსიქიკური პროცესია და არა სწავლების მეთოდი. სწავლებაში, მაგალითად, **ყურადღებააა** საჭირო და **მეხსიერებაც**, მაგრამ სწავლებას რომ დავარქვათ **ყურადღებიანი** ან **საყურადღებო**, ან კიდევ, **მეხსიერული**, - ეს აბსურდი იქნება.

სწავლების **ინტერაქტიური მეთოდი** არის მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთმოქმედების ისეთი ფორმა, სადაც ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ არა მხოლოდ მასწავლებელი და მოსწავლეები, არამედ - მოსწავლეებიც. ერთმანეთთან ყველა დიალოგშია. მოსწავლე თავის თავთანაა დიალოგში რეფლექსიის მეშვეობით.

რაც შეეხება ტერმინს **ინტერაქტიური**, აქ მთავარი სიტყვაა **აქტიური** და არა **ინტერ**. ამიტომ სიტყვა **აქტიური** შედგენილ ტერმინში უცვლელი რჩება. სწავლება შეიძლება იყოს **პასიური**, **აქტიური** და **ინტერაქტიური**.

მასწავლებელი ამუშავებს გაკვეთილის გეგმას, არჩევს და გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ წესრიგში მოჰყავს მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებელი ინტერაქტიური გაკვეთილის შემოქმედია, მაგრამ გაკვეთილის პროცესის ცენტრში სასწავლო საქმიანობის სუბიექტია - მოსწავლე.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს ერთი ჭეშმარიტება: სწავლების ხსენებული მეთოდებიდან ყველას თავისი ადგილი გააჩნია და საკუთარი ფუნქცია აკისრია. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან. სადაც საჭიროა პასიური მეთოდი, იქ აქტიური ვერ გამოდგება, სადაც საჭიროა აქტიური მეთოდი, იქ პასიური მეთოდის გამოყენება დანაშაულია. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომელი როლის გამოიყენოს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა **სწავლებას** ასე განმარტავს: „რისამე შესახებ ცოდნის მიწოდება, რაიმე საქმიანობაში ვისიმე გაწაფვა, დახელოვნება“ [6, 1210].

ეს განსაზღვრა პედაგოგიკისათვის (მით უმეტეს მეთოდისათვის) ძალიან ცოტაა, უფრო მეტიც, უვარგისია. ცნება **სწავლება** გაცილებით უფრო ღრმაა და მისი განსაზღვრა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამას ლექსიკონი იძლევა.

ამგვარად, ქართული ენის ლექსიკაში, პედაგოგიკის თეზაურუსში, უნდა შევიდეს განხილულ თემასთან დაკავშირებული მხოლოდ ორი ტერმინი: **ინტერაქციული** და **ინტერაქტიური**. პირველი მათგანი მომდინარეობს სიტყვიდან **ინტერაქცია**, -ულ სუფიქსის მეშვეობით, ხოლო მეორე - სიტყვიდან **აქტიური**, ზედსართავული **ინტერ**-ის წინ დართვით (შდრ. **ჰიპერაქტიური**). დანარჩენი სიტყვები: **ინტერაქტიული** და სხვა მისთანები ენის დანაგვიანებას გამოიწვევს.

ინტერაქციული და **ინტერაქტიური** სრულიად სხვადასხვა ცნებებია. **ინტერაქცია** არსებითი სახელია, **ინტერაქციული** კი - მისგან ნაწარმოები ზედსართავი; ხოლო **აქტიურიცა** და **ინტერაქტიურიც** ორივე ზედსართავია.

ლიტერატურა:

1. Jinjikhadze J. Matematikis dawyebiti kursis swavlebis metodika da teqnologia. Tbilisi, 2011.
2. Shubitidze T. Cifruli universaluri saskolo leqsikoni. http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=402&fbclid=IwAR3drKJhDRhOq845Zb2jUb_oRikljzIE50r-rmso_fkn5ifFr3KZoKqrOnc
3. Mid Djorj. Izbrannoe: Cbornik perevodov. Moskva, 2009.
4. Sorokin Pitirim. Socialnaia I kulturnaia Dinamika. Moskva, 2006.
5. Sovremennaia zapadnaia filosofia. Encikolpedicheski slovar /Pod. Red. O. Xeffe, V.S. Malaxova, V. P. Filatova, pri ychastii T.A. Dmitrieva. Moskva, 2009. S. 145.
<http://ponjatija.ru/node/13686>
6. Qartruli enis ganmartebiti leqsikoni. T.VI. Tbilisi, 1960.

THE WORD “INTERACTION” IN PEDAGOGICAL THESAURUS

Jemal Jinjikhadze

Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Department of
Pedagogy, Sokhumi State University

E-mail: jemal.jinjikhadze@gmail.com

Presented by the Institute of Pedagogy and Methodology at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences.

Abstract. The words: interaction, interactive, interactional and other related words have been recently introduced in Georgian vocabulary and brought into Georgian education, the new reform of Georgian education system. But this has caused some chaos. In modern pedagogical literature, the words are often used incorrectly, in the wrong place and mixing together.

In the article this issue has been thoroughly researched and stated that only two terms related to the discussed topic should be included in Georgian language vocabulary, in pedagogical thesaurus: “Interaction” and “Interactive”. The first of the words is derived from the word “Interactional” – “ინტერაქციული”, through the suffix – “ულ” – “ul”, and the second “ინტერაქტიური” is derived from the word “აქტიური” “Active” by adding adjective prefix “ინტერ” – “Inter”. Other similar words to interactive and other related words will cause language waste.

It should also be noted that in the books published by the Ministry of Education is considered interactive teaching. This is not correct. Teaching could not be interactive. It is true that teaching should be imbued with interactions, but this does not mean that teaching is interactive. Interaction is a mental process and not a teaching method. In teaching, for example, attention and memory are required, but to call teaching attentive or to be attentive, or even memorable, would be an absurd.

An interactive teaching method is a form of interaction between the teacher and student where not only teachers and students but also students interact with each other. Everyone has daily dialogues with each other. The student conducts a dialogue with himself/herself through reflection.

According to the modern Georgian encyclopedic dictionary and the digital universal school dictionary created by the Ministry of Education the word - “Interaction” means the attention of two or more people to each other, to other subjects or to a third person.

This is not correct. Interaction is not only paying attention, it is more complicated mental process. It is necessary to get more determination in this issue.

Generally is known such definition:

Interaction - is an action of people (their activity) between each other while their relationship, planning common activities, organizing joint activities, psychological impact on each other...

It seems that the notion of “Interaction” is related to the concept of mutual activities and relationship between the people.

Keywords: *Pedagogics, vocabulary, word, relationship, mutual activities , interaction, interactive, interactional.*

მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის აქტივიზაცია ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში

ლევან ჯინჯიხაძე

პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: levanijinjikhadze@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და
მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. სტატიაში პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კუთხით არის გაშუქებული მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა, კერძოდ, საუბარია წარმოსახვის ორ სახეზე (პასიურსა და აქტიურზე), განმავითარებელი სწავლების ფონზე, მოსწავლეთა მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობის უნარის განვითარებაზე, მოტივაციის ამაღლებაზე, შემოქმედებითობაზე, კვლევითი უნარ-ჩვევების ტექნოლოგიაზე, რომელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგიურ-ორგანიზაციული პირობების მტკიცედ დაცვას და რომლის საფუძველშიც უნდა იყოს ჩადებული ჰუმანური პედაგოგიკის იდეები, პიროვნულ-ორიენტირებული და საქმიანობრივ-ორიენტირებული მიდგომები.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია სასწავლო საქმიანობის ორგანიზების უნარების ოთხი ბლოკი:

1. საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარი;
2. კვლევითი მახასიათებლების ცოდნა და უნარები;
3. ინფორმაციის დამუშავების უნარი;
4. საკუთარი ნამუშევრის შედეგების წარდგენის უნარი.

გარდა ამისა, ზოგადი ფორმით წარმოჩენილია თუ რა სახის სამუშაოები და სწავლების რა პედაგოგიური მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული მასწავლებლის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კლასების

მიხედვითდა როგორ გამოვუმუშავოთ და განვუვითაროთ მოსწავლეებს კვლევითი საქმიანობის უნარი.

ვფიქრობთ, სწავლებისადმი ასეთი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოგვცემს საშუალებას გადავჭრათ მოსწავლეთა კვლევითი უნარების განვითარების ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: შემოქმედებითი პოტენციალი, წარმოსახვა, შემოქმედებითი პროცესები, კვლევის მეთოდი, მოტივაცია.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც დგას დაწყებითი სკოლის წინაშე, ეს არის პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის აქტივიზაცია. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა შემოქმედებითი წარმოსახვის აქტივიზირება, რამდენადაც წარმოსახვის პროცესი წარმოადგენს ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მდგენელს.

წარმოსახვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თავის დროზე ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი. მისი აზრით, პიროვნების წარმოსახვის აქტივიზირება არ წარმოიშობა თავისთავად, არამედ ამისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ზემოქმედება [1, 7].

ფსიქოლოგების მიხედვით, შემოქმედებითი განვითარება ბავშვებში გაცილებით ადრე უნდა დაიწყოს, ამისათვის კი საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემოქმედებითობამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი ბავშვის ჩამოყალიბებას ნამდვილ პიროვნებად და ბიძგი უნდა მისცეს მისი ნიჭის სრულად გამოვლენასა და განვითარებას.

წარმოსახვისათვის ანუ ფანტაზიისათვის ერთგვარი შემოქმედების მომენტია დამახასიათებელი, მაშინ, როდესაც მეხსიერება და, საზოგადოდ, რეპროდუქცია ძველის აღდგენას ესწრაფვის. თავისთავად იგულისხმება, რომ შემოქმედება იმ მასალის ნიადაგზე ხდება, რომელიც სუბიექტის ცნობიერების შინაარსშია მოცემული [2, 209].

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განარჩევენ წარმოსახვის ორ სახეს: პასიურს და აქტიურს. პასიური წარმოსახვა მიმდინარეობს ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე და თავს იჩენს სიზმრებსა და ილუზიებში. აქტიური წარმოსახვა, ცხადია განსხვავდება პასიურისაგან თავისი მიზანდასახულობით. წარმოსახვითი სახეების შესახებ ცოდნა - აუცილებელი წინაპირობაა უმცროსკლასელთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოსავლენად, და ამავე დროს მნიშვნელოვანია წარმოსახვის ანალიზისათვის სასწავლო პროცესში. შემეცნებითი პროცესების დახმარებით ხერხდება არა მხოლოდ შეცნობა, არამედ, საერთოდ გარესამყაროს შეცნობა. თითოეული მათგანი ახდენს ზეგავლენას სხვა მიმდინარე პროცესებზეც და შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა. სასკოლო ასაკში წარმოსახვა ჩართულია სასწავლო და შემოქმედებით პროცესებში. სხვადასხვა დისციპლინების სწავლებისას, განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურის სწავლებისას იხსნება დიდი შესაძლებლობები მოსწავლეებში შემოქმედებითი წარმოსახვის ფორმირებისა და განვითარებისა.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ 2-დან 12 წლამდე პერიოდი საუკეთესო პერიოდია ბავშვის წარმოსახვის განვითარებისათვის. შემეცნებითი პროცესების სტიმულირებისას აუცილებელია ჩავრთოთ მოსწავლეები შემოქმედებით საქმიანობაში და ამავე დროს გაკვეთილებზე გამოვიყენოთ განმავითარებელი თამაშობები.

ლევ ვიგოტსკი თავის ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში მიუთითებდა შესასწავლი მასალის ორ დონეზე: პირველი დონე ბავშვის განვითარების შესაბამისია, ხოლო მეორე დონე რამდენადმე აღემატება მას და მოითხოვს ბავშვის მიერ გონების დაძაბვასა და გააქტიურებას, ზოგჯერ მის ახსნა-გადაწყვეტაში მასწავლებლის ჩარევასაც. სწორედ ეს მეორე დონე აძლევს სტიმულს მოსწავლეთა განვითარებას [1, 1991: 9].

ვიგოტსკის სოციალულ-კულტურული კოგნიციური თეორიის ძირითადი დებულებები განათლებასთან შემდეგ მიმართებაშია:

1. განათლება, რომელიც გულისხმობს სწავლებას და აღზრდას, მიმართულია ბავშვის პიროვნებაზე;

2. პიროვნების განვითარება მისი კრეატიულობის (შემოქმედებითობის) განვითარებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის კრეატიული პოტენციალის განვითარება;
3. მოსწავლე უნდა იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე;
4. მასწავლებელმა მოსწავლის მოქმედება საჭირო მიმართულებით უნდა განავითაროს. ამ თვალსაზრისით სწავლება თანამშრომლობაა;
5. ყველაზე ეფექტურია სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს [3, 53-54].

თანამედროვე სასკოლო პროგრამაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა კვლევით საქმიანობას. ამ საქმიანობას კი განმავითარებელი სწავლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია. კვლევითი საქმიანობის უნარის განვითარება, ისევე როგორც სხვა უნარებისა, მოითხოვს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც პასუხობს დასახულ მიზნებს:

მიზანმიმართულობა და სისტემატურობა. კვლევითი უნარის განვითარებაზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ საკლასო გაკვეთილებზე, არამედ კლასგარეშე საქმიანობის დროსაც. მასწავლებელი ვალდებულია დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მუდმივად გამოიყენოს კვლევის მეთოდი, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ და გამოუმუშავდეთ კვლევითი საქმიანობის უნარი.

მოტივაცია. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება გაკვეთილზე პედაგოგისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს და განმსაზღვრელი როლი უნდა ითამაშოს სასწავლო პროცესში. მოტივაციის ამაღლება კი თავისთავად განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, უზიბებს გახდნენ უფრო მეტად ქმედუნარიანები. ასეთ დროს აუცილებელია მოსწავლეებმა არა მხოლოდ დაინახონ, არამედ შეიგრძნონ საკუთარი შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის არსი, დაინახონ მასში საკუთარი შესაძლებლობების განხორციელება, და შესაბამისად, გადადგან ნაბიჯი თვითგანვითარებისა და თვითსრულყოფისაკენ.

შემოქმედებითობა. მასწავლებელი ვალდებულია შექმნას შემოქმედებითი, სამუშაო ატმოსფერო კლასში, გაუღვივოს მოსწავლეებს ინტერესი კვლევითი საქმიანობისაკენ. სწავლების პროცესში, გაკვეთილზე აუცილებელია ჩართული იყოს მოსწავლეთა წარმოსახვა, შესაბამისად მასწავლებლის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ წარმოსახვის გაკონტროლება, რის ფონზეც მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ მოვლენათა და ფაქტების აღქმის სიღრმე და მრავალმხრივობა. ამავე დროს აუცილებელია მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმაროს შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობისა და დანიშნულების ხედვაში, რადგან შემოქმედებითი აზროვნება თავისი არსით წარმოადგენს მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალურ, მანამდე არარსებული გზის პოვნის უნარს.

შემოქმედებითი მიდგომების მორგებას გაკვეთილის გეგმაზე და მოსწავლეების დაინტერესებას მრავალფეროვანი, მიმზიდველი მასალით, ნამდვილად შეუძლია არა მარტო მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, არამედ, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ე. ი. შემოქმედებითი აზროვნება ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც ხასიათდება იდეების სიმრავლით, მოქნილობით, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვით, ორიგინალობით და ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნით [4].

ფსიქოლოგიური კომფორტი. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფართოდ წარმოაჩინოს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალები, სწრაფვა შემოქმედებითი ძიებისაკენ. მთავარია, არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, შეეძლოთ უარყოფითი შეფასებისას თავის შეკავება. მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შემოქმედებითი იდეების განვითარებას, მხარი დაუჭიროს მათ და მისცეს სწორი მიმართულება. თითოეულ მოსწავლეს აუცილებელია მიეცეს შესაძლებლობა, შეიგრძნოს საკუთარი ძალები, ირწმუნოს საკუთარი თავის.

პედაგოგის პიროვნება. მოსწავლეთა შემოქმედებითი და კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭიროა შემოქმედებითად მოაზროვნე და მომუშავე მასწავლებელი, რომელიც ისწრაფვის შექმნას შემოქმედებითი

სასწავლო გარემო კვლევითი საქმიანობის ჩასატარებლად. მაგრამ ამ შემთხვევაში თავს იჩენს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, გასათვალისწინებელია მათი ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობები. ამიტომ კვლევითი ჩვევების გამომუშავება, მათი ფორმირება საჭიროა განხორციელდეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ხოლო საკითხისადმი (თემისადმი) კვლევითი მიდგომა უნდა იყოს მათთვის სახალისო და სასარგებლო.

ყოველივე ამისათვის საჭიროა შემუშავდეს და შესაბამისად განხორციელდეს უმცროსკლასელთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ტექნოლოგია, რომელიც თავისთავად უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგიურ-ორგანიზაციული პირობების მტკიცე დაცვას. ტექნოლოგიის საფუძველში კი დევს ჰუმანური პედაგოგიკის იდეები, პიროვნულ-ორიენტირებული და საქმიანობრივ-ორიენტირებული მიდგომები. მეცადინეობა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიას, ძირითადად ტარდება საკლასო-საგაკვეთილო ფორმით; სხვა ორგანიზაციული ფორმით ჩატარებისას კი - როგორც მონაწილეთა კონსულტაცია. ტექნოლოგიის მიზანია განვახორციელოთ მოსამზადებელი საქმიანობა კვლევითი უნარების გასავითარებლად. სწავლების შინაარსი გათვლილია შემდეგი ასპექტების უზრუნველყოფისათვის: კვლევითი მეთოდების ათვისება და მათი გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე; შეძენილი უნარებისა და ცოდნის გამოყენება საკუთარი ინტერესების რეალიზაციის პროცესში; ინტერესთა განვითარება სასკოლო დისციპლინებისადმი მთლიანობაში [5, 149].

სასწავლო საქმიანობის ორგანიზებისას აუცილებელია გამოვეყნოთ უნარების ოთხი ბლოკი:

- **საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარი** - სამუშაო ადგილის ორგანიზება, სამუშაოს დაგეგმვა.
- **კვლევითი მახასიათებლების ცოდნა და უნარები** - საკვლევი თემის შერჩევა, მიზანდასახულობა, როგორც საქმიანობის ეტაპი, კვლევის სტრუქტურული აგების უნარი, კვლევის მეთოდები, საერთო-ლოგიკური მეთოდები, ინფორმაციის მოძიება.

- **ინფორმაციის დამუშავების უნარი** - ინფორმაციის სახეები და წყაროები, მეცნიერული ტექსტი, ტერმინი, აღქმა, ტექსტის ნაწილებად დაყოფა და მათი გააზრება: აბზაცები, თავები, პარაგრაფები, ძირითადის გამოყოფის უნარი, მოკლედ გადმოცემა, ციტატა, გეგმის განსაზღვრა, განსაზღვრულის ფორმულირება, დასკვნა, დასკვნის ფორმულირება, ლოგიკური გადმოცემა, პირობითი ნიშნები, მტკიცებულება: არგუმენტები, ფაქტები, საწყისი და დასასრული.
- **საკუთარი ნამუშევრის შედეგების წარდგენის უნარი** - შედეგების წარდგენის ფორმები, სამეცნიერო ინფორმაციების შეკრების ფორმები, მოთხოვნილება მოხსენებისადმი, მომხსენებლის მეტყველება.
- პირველ კლასში მოსამზადებელი მუშაობა შეიძლება ჩავატაროთ შემდეგნაირად:
- პრობლემური, ნაწილობრივ-ძიებითი (ევერისტიკული) სწავლება მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით.
- კვლევითი გაკვეთილი (სასწავლო წლის დასაწყისში დაყენებულ პრობლემებს ახორციელებს პედაგოგი; მისი გადაჭრის გზები კი ხორციელდება მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით; შემდგომში დასმულ პრობლემებს კი უკვე მოსწავლეები წყვეტენ და ახორციელებენ დამოუკიდებლად შესაძლებლობების ფარგლებში მასწავლებლის დახმარებით; უმჯობესია პრობლემების გადაჭრის გზები მაქსიმალურად დამოუკიდებელი იყოს; დასკვნების გამოტანა მასწავლებლის დახმარებით).
- მოკლევადიანი კვლევები - დაკვირვებული აღწერით მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

პირველ კლასში მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე შესაძლებელია ჩავრთოთ ისეთი სახის დავალებები, რომელიც მიმართული იქნება საერთო ლოგიკური უნარების დაუფლებისაკენ, როგორცაა ანალიზი, სინთეზი, კლასიფიკაცია, შედარება-შეპირისპირება, განზოგადება.

მეორე კლასიდან შესაძლებელია უკვე გაკვეთილზე მოსწავლეებს მივცეთ სპეციალური დავალება კვლევითი საქმიანობის წარსამართავად. მსგავსი

მეცადინეობები მოგვცემს საშუალებას სისტემატურად, მიზანმიმართულად ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს კვლევითი უნარები. ასეთი სახის მუშაობის განხორციელება ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- კვლევითი საქმიანობის თეორიული ცნებების გაცნობა, როგორცაა კვლევა, ინფორმაცია, ცოდნა და სხვ.
- განსაზღვრული გეგმისადმი კვლევის კოლექტიურად შესრულება ყველა ეტაპის დაცვით. აქ მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს და ორგანიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას, რომლის დროსაც მონაწილეები ეუფლებიან კვლევითი საქმიანობის პრაქტიკულ უნარებს.
- გაკვეთილზე გამოიყენება პრობლემური და ძიებითი მეთოდები, რომლის დროსაც ხდება საჭირო ცნებებისა და ტერმინების გაცნობა, ლექსიკონზე და სხვა საინფორმაციო წყაროებზე მუშაობა.
- მასალის სრულყოფილად შესწავლის მიზნით გამოიყენება მოკლევადიანი კვლევები.
- მეცადინეობებზე სასურველია შევთავაზოთ სხვადასხვა სახის ლოგიკური დავალება, რომლებიც წარმოაჩენს მოსწავლის გარკვეულ თვისებებს.
- ხორციელდება მზადება საინტერესო თემების დამოუკიდებლად დამუშავება გრძელვადიანი კვლევებით. ასეთი კვლევები მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

მესამე კლასში თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე კვლევითი საქმიანობის გზით მოსწავლეები ეცნობიან კვლევის თეორიებს, მეთოდებსა და სტრუქტურებს. ასეთ გაკვეთილებზე სასურველია მასწავლებელმა სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე მიმართოს და გამოიყენოს სხვადასხვა სახის თამაშობითი მეთოდები. კერძოდ:

1. ტარდება მოცემული თემის კოლექტიური კვლევა. აქ მესამეკლასელთა აქტიურობა გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, გაცილებით უფრო საინტერესოდ უნდა წარმოჩინდეს არაორდინარული მიდგომები და წინადადებები კვლევითი საქმიანობის რეალიზების პროცესში.

2. ხორციელდება მონაწილეთა დამოუკიდებელი ხანგრძლივი კვლევა არსებული ცოდნისა და უნარების გამოყენებით (ინფორმაციის მოძიება, ძირითადის გამოყოფა, განსაზღვრის ფორმულირება, დაკვირვება, მოხსენების მომზადება). მონაწილეები ატარებენ გამოკითხვას, ანკეტირებას. გამოკითხვის ჩატარება, როგორც წესი, თეორიული გამოკვლევის მახასიათებელია. მონაწილეთა გამოკითხვა ტარდება წინასწარ შედგენილი კითხვების საშუალებით, იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი ცოდნის ფლობის გამოვლინება და ამავე დროს სხვადასხვა ინფორმაციის მოძიების გზით შეძლონ კიდევ უფრო სრულყოფილი საკუთარი ცოდნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
3. მეცადინეობაზე კვლევისას იხილება მათი კვლევითი საქმიანობა, რომლის დროსაც კონსულტანტი მასწავლებელია. სასწავლო წლის ბოლოს მონაწილეთა დიდ ნაწილს შეეძლება უკვე დამოუკიდებლად შეარჩიოს საკვლევი თემა, შეადგინოს კვლევის გეგმა, განსაზღვროს ერთი ან ორი ამოცანა, მოძებნოს შესაბამისი მასალა, წარმოადგინოს მოხსენება ჩვენებით, დამოუკიდებლად გაიაროს გაკვეთილის დროს კვლევის ეტაპები.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასებში ქართული ლიტერატურის კვლევით გაკვეთილებზე განზოგადდება მიღებული ცოდნა. ყურადღება დაეთმობა საინფორმაციო წყაროების დამუშავებას, უშუალოდ ინფორმაციისა და ტექსტების დამუშავებას, საკუთარი ნამუშევრის (ტექსტის სახით) შედეგის წარდგენას და სხვ.

საბოლოო ჯამში მონაწილეები ვალდებული არიან დამოუკიდებლად განახორციელონ შერჩეული თემის კვლევა, ინფორმაციის მოსაძიებლად გამოიყენონ სხვადასხვა გზა, კვლევის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლონ საკუთარი აზრის ციტატებით გამყარება და მისი დასაბუთება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორები: მონაწილეთა რაოდენობა: ინდივიდუალური (დამოუკიდებელი), ჯგუფური, კოლექტიური; ადგილის მიხედვით: საკლასო, კლასგარეშე; დროის მიხედვით: მოკლევადიანი,

საშუალოვადიანი, გრძელვადიანი; თემის მიხედვით: საგნობრივი, თავისუფალი.

ამ ეტაპზე მთავარ განმსაზღვრელად ჩაითვლება კვლევითი შედეგების წარდგენა, რაც მოგვცემს საშუალებას, გადაიჭრას რამდენიმე ამოცანა: მეცნიერული მეტყველების განვითარება; ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება; საკუთარი საქმიანობის ანალიზი და საკუთარი მიღწევების დემონსტრირება; ცოდნის შევსება ახალი ინფორმაციებით და კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება და თვითშეფასება.

როგორც არ უნდა იყოს მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობის შეფასება, მთავარი ერთია: მოსწავლეები თავს უნდა გრძნობდნენ წარმატებულად; მოსწავლეების ნებისმიერი მიღწევა კვლევითი საქმიანობისას უნდა ითვლებოდეს წინ გადადგმულ ნაბიჯად; მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ახალი ცოდნის დაუფლებასა და თვალთახედვის გაფართოებას. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კვლევითი საქმიანობისას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, მათი შემეცნებითი ქმედითუნარიანობის აქტივიზაციის მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ: გამოცანები, რებუსები, შარადები, სახალისო ამოცანები, ლოგიკური დავალებები შემოქმედებითი შესაძლებლობების გასავითარებლად; თამაშობითი მომენტების გამოყენება საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარე - შეკითხვის (ლოგიკური, სააზროვნო) დასმა, შესწავლა, ტექსტის განსჯა და გააზრება, ტექსტიდან პერსონაჟების გამოყოფა და სქემის მიხედვით დაჯგუფება, კვლევა, აღწერა, „ასოციაციური რუკის“ გამოყენება და სხვ.; საჭიროების შემთხვევაში თვალსაჩინო-გამომსახველობითი მასალის გამოყენება; თამაში-კვლევა, როლური თამაში და სხვ.

ამდენად, პედაგოგიურ-ორგანიზაციული პირობების განხორციელება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე იძლევა საშუალებას, გადავჭრათ მოსწავლეთა კვლევითი უნარის განვითარების ამოცანა და დავაუფლოთ ახალ შესაძლებლობებს ცოდნის მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. Выготский Л. С. Воображение и творчество в детском возрасте. Москва, 1991.
2. Uznadze D. BavSvis fsiqologia. Saskolo asakis fsiqologia. Tbilisi, 2005.
3. Kiknavelidze N. Kognituri ganvitareba. Kreb. ganatlebis fsiqologia. Tbilisi, 2005.
4. Nacvlshvili N. Me unada viko shemoqmedebiti. 2012. <http://mastsavlebeli.ge/?p=479>
5. Jinjklhadze L. Qartuli enisa da literaturis dawyebiti kursis swavlebis metodika da teqnologia. Tbilisi, 2014.

**CREATIVE ACTIVATION OF STUDENTS' POTENTIAL AT GEORGIAN
LITERATURE LESSONS IN PRIMARY CLASSES**

Levan Jinjikhadze

PhD in Pedagogy, Associate Professor, Sokhumi State
University

E-mail: levanijinjikhadze@gmail.com

*Presented by the Institute of Pedagogy and Methodology at the Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Abstract. The paper examines a number of problematic issues from a pedagogical and psychological point of view. It discusses two types of imagination (passive and active), the development of students' research skills in the context of forming teaching, increasing students' motivation, creativity and techniques of research skills which must necessarily provide for the strict observance of pedagogical-organizational conditions and on which the ideas of humane pedagogy, personal-oriented and activity-oriented approaches must be based.

The paper also analyzes four blocks of skills how to organize learning activities:

1. Ability to organize their activities;
2. Knowledge and skills of research characteristics;
3. Ability to process information;
4. Ability to present the results of their work.

In addition, it provides a general overview of what types of work and what pedagogical teaching methods can be used by a teacher at Georgian language and literature lessons according to the classes and how to develop and form students' research skills.

We think that the use of such approaches and methods in teaching language and literature lessons will enable us to solve the problem of developing students' research skills.

Keywords: *Creative potential, imagination, creative processes, research method, motivation.*

სკოლა მასწავლებლიდან იწყება

ლეილა შეროზია

პედაგოგიკის დოქტორი, მოწვეული პროფესორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: sherozialeila@gmail.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. როგორც ცნობილია, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა, საერთო ენის გამონახვა მხოლოდ ცალკე თეორიის ან მარტო შიშველ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეუძლებელია. მიზნის მისაღწევად ყველაზე ეფექტური გზაა პედაგოგიური თეორიის და პირადი თუ სხვათა პრაქტიკული გამოცდილების სიტუაციის მიხედვით დაბალანსებული, ლოგიკურად შეკრული მინი პედაგოგიური სისტემის შემუშავება.

პრობლემა იმაშია, რომ მოსწავლეებს განსხვავებული ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, კულტურულ-სოციალური თავისებურებები ახასიათებს. მეთოდი, რომელიც ერთთან ან რამდენიმესთან ეფექტურია, სხვებთან უეფექტო, ან უფრო მეტიც, ურთიერთობის დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებლის პროფესიული განვითარება, მისი პროფესიული ზრდა მუდმივად განახლებად რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს, რადგან სკოლაში სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმატება მასწავლებლის პროფესიული მომზადების დონითაა განპირობებული. ამიტომ მასწავლებელი უნდა პასუხობდეს დღევანდელ პროფესიულ სტანდარტებსა და კომპეტენციებს, სისტემატურად უნდა მუშაობდეს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ჩართული უნდა იყოს პროფესიული განვითარების სისტემაში, აქტიურად მონაწილეობდეს პედაგოგიურ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებებში.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, პროფესიული, სტანდარტები, კომპეტენციები, გამოცდილება.

მასწავლებლის პროფესია განსაკუთრებული, ზეამაღლებული ძველთაძველი, მაგრამ მარად ახალი საზოგადოებრივი სფეროა. არსად არასოდეს არვის უნახავს განათლებული ადამიანი, რომელსაც მასწავლებელი არ ჰყოლია. არავინ დაუფლებია არც ერთ პროფესიას მასწავლებლის გარეშე. ყველა დროის გამოჩენილი ადამიანები სიამაყითა და პატივისცემით მოიხსენიებენ საერთოდ და კერძოდ თავიანთ მასწავლებლებს.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესახებ საქართველოს ამავე სახელწოდების ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურა ასახავს იმ ძირითად მოტხოვნებს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებსა და კომპეტენციებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სკოლის მასწავლებელი. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ძირითადი ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობაა“... რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიებს, სწავლებისა და შეფასების ძირითად მეთოდებს, სასწავლო და პროფესიულ გარემოს“ [1, 2008: 3]. მაგრამ, აქ, თეოდორ როზაკსაც უნდა მოვუსმინოთ, რომელსაც ნილ პოსტმანი ეთანხმება, რომ „მეტისმეტად ბევრი ინსტრუმენტი, ისევე, როგორც მეტისმეტად ბევრი ბიუროკრატია, მხოლოდ ხელს უშლის სწავლებისა და სწავლის ბუნებრივ დინებას“ [2, 32].

პოსტმანის აზრით, ბუნებრივმა, ადამიანურმა დიალოგმა, მასწავლებლის კომპეტენტურობამ, მასწავლებლისა და მოსწავლეთა პრაქტიკულმა ურთიერთობამ უნდა გვიჩვენოს ჩიხიდან გამოსვლის გზა. „ადამიანთა თავისუფალი დიალოგი ყველაფრის შესახებ... განათლების გულია... თუ ამისათვის მასწავლებელს დრო, სტიმულები ან ჭკუა არ ჰყოფნის, თუ მოსწავლეები მეტისმეტად დემორალიზებული, მოწყენილნი ან გონებაგაფანტულნი არიან, სწორედ, ეს არის განათლების პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას მასწავლებლისა და მოსწავლეების გამოცდილებით“ [2, 32].

ნილ პოსტმანის აზრით, „ნებისმიერი სასიკეთო ცვლილებების საფუძველი მასწავლებელთა ახლებურ განათლებაში უნდა ვეძებოთ, რადგან ის სწავლების მიზნის გადაფასებას შეგვადლებინებს“ [2, 112].

„ახლებურში“ იგი გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელმა საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებისა და მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაინახოს განსხვავება სწავლებასა და სწავლას შორის. რადგან „დღევანდელი ეპოქა, როდესაც ქვეყნის წარმატება ყველაზე მეტად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად განათლებულნი არიან მისი მოქალაქეები და რამდენად შეესაბამება მათი უნარ-ჩვევები გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს, მასწავლებელსაც ახალ მოთხოვნებს უყენებს“ [1, 3]. თუმცა, ის ფრთხილობს, რომ ტექნოლოგიების გაღმერთებამ, ფანატიზმამდე არ უნდა მიგვიყვანოს. მისი აზრით, ტექნოლოგია მნიშვნელოვანია, მაგრამ უმნიშვნელოვანესია „რა ვასწავლოთ და არა როგორ ვასწავლოთ“. „ღმერთ-ტექნოლოგიასთან“ დაკავშირებით საინტერესო მაგალითი მოჰყავს „განათლების მიზნის“ ავტორს: „შეგვიძლია მატარებლებს დროზე ადრე გასვლა ვაიძულოთ, მაგრამ თუ არ წავლენ იქ, სადაც გვინდა, რისთვის შევიწუხოთ თავი“ [1, 63].

მართალია, დიდებული საქმეა, მოსწავლეებს სწავლა ვასწავლოთ, ინფორმაციების დამოუკიდებლად მოპოვების უნარ-ჩვევები გამოვუმუშაოთ, მაგრამ განა ნაკლებ მნიშვნელოვანია თუ რა სახის, რა მიმართულების, რა შინაარსის ცოდნას მოიპოვებს?! ტრადიციულ პედაგოგიკაში ყოველთვის სამ კითხვაზე პასუხი იყო მთავარი. „რა ვასწავლოთ?“ „როგორ ვასწავლოთ?“ „რისთვის ვასწავლოთ?“ აქ განათლების მიღების უნიკალური მხარეების ლოგიკურ ერთობასთან გვაქვს საქმე. მიზანი ხომ განათლების, ცოდნა-გამოცდილების გარკვეული სახის, შინაარსისა და მიმართულების სათანადო სიღრმისა და მოცულობის მიღებაა. ხოლო თუ როგორ მივაღებინოთ ეს განათლება, ე. წ. ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიის საქმეა. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში მოიაზრება განვითარებისა და სწავლის თეორიები, რომელსაც უნდა ფლობდეს ნებისმიერი საგნის მასწავლებელი. ამ თეორიებში იგულისხმება განვითარების ის კანონზომიერებები და ფაქტები, რაც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ცნობილ უამრავ მსგავს თეორიებს შორის დღეს წინა პლანზეა წამოწეული შემდეგი თეორიები: ბიჰევიორიზმი, კოგნიტური

განვითარების თეორია, სოციალური დასწავლის თეორია, სოციო-კულტურული თეორია, მორალური განვითარების თეორია, კონსტრუქტივიზმი, ჰუმანისტური თეორია, განწყობის თეორია და სხვა. მოცემული პედაგოგიური სიტუაციის შესატყვისად მათი ინტეგრირება და კონტექსტში გამოყენება, ეს უკვე პედაგოგიური ხელოვნების ანუ პედაგოგიური ოსტატობის სფეროა.

კარგად არის ცნობილი და დადგენილი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ბავშვის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი. განვითარება ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით არის ფილოსოფიური ცნება, რომელიც დროთა განმავლობაში ხდება ადამიანის სხეულის აგებულებაში, აზროვნებასა და ქცევაში, ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზემოქმედების შედეგად. განვითარება ცვალებადობისა და ადაპტაციის პროცესია. იგი მოიცავს ზრდას, მომწიფებასა და დასწავლას.

სწავლება და შეფასება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურის მეორე ნაწილია. ეს სტანდარტი მასწავლებლისგან მოითხოვს სხვადასხვა მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნასა და კონტექსტში გამოყენების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სწავლების ზოგადი და კერძო, საგნობრივი მეთოდები განსაზღვრავს სწავლისა და სწავლების იმ ტექნოლოგიებს, რომელიც ასე წარმატებით არის გახმაურებული მთელ მსოფლიოში. მისი ცოდნა და გამოყენება კონტექსტის მიხედვით ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა წარმატებული განათლებისათვის.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მესამე სტრუქტურული ნაწილია პროფესიული გარემო. სასწავლო გარემო შექმნა სათანადო პედაგოგიური ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც მრავალფეროვანი წყაროებისა და საშუალებების გამოყენების ცოდნა-გამოცდილება. სასწავლო გარემოში შედის კლასი, სკოლა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ძირითადად მასწავლებლები მართავენ საგანმანათლებლო პროცესს. ასევე ოჯახი, როგორც აღზრდის პირველი და შეუცვლელი მშობლიური კერა.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს „უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს“ შექმნა [1, 7], რომელიც ხელს

შეუწყობს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას; ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს; პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას; ეხმარება მოსწავლეებს თვითშეფასებაში, პედაგოგიურ ღონისძიებების მოწყობასა და ჩატარებაში, ეთიკურ ნორმებისა და ეკოლოგიური შეგნების ჩამოყალიბებაში. კომუნიკაცია და მოტივაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებაში, მოსწავლეებთან, მშობლებთან თუ კოლეგებთან, ასევე საზოგადოებასთან ნაყოფიერ თანამშრომლობაში, სათანადო რესურსების მოძიებასა და გამოყენებაში.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, მისი შემადგენელი პედაგოგიური სისტემებისა და ქვესისტემების ამოქმედების უნარ-ჩვევები მასწავლებელს ეხმარება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროისა და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით დაგეგმარებაში, ინტეგრირებული სწავლების ეფექტურობის ამაღლებაში.

დადგენილი პროფესიული სტანდარტები განსაზღვრავს მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩოს, რაც პედაგოგიურ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ხდის გარკვეულს, გასაგებსა და მიღწევადს. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2009 წელს გამოცემული წიგნი „მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“, რომლის ავტორები არიან პიტერ ბრეტი, პასკალ მომპოინტ-გელარდი და მარია ელენა სალემა, მართალია, ის ძირითადად სამოქალაქო განათლებას ეხება, მაგრამ მისი ზოგადი ნაწილი საერთოა ყველა საგნის მასწავლებელთათვის. „მასწავლებლები - ვკითხულობთ მასში - განსაკუთრებულ როლს ასრულებენ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაში აქტიური მონაწილეობითა და სწავლების საშუალებით“ [3, 4].

არის ისეთი ცოდნის სფეროები, რომლებიც სკოლაში ცალკეულ საგნად არ ისწავლება და ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს ინტეგრირებულ ანუ საგანთაშორის კავშირების ინტეგრირებულ სწავლებას, თუმცა ეს არ არის წარმატებული. ამასთან დაკავშირებით კარგი აზრია გამოთქმული აღნიშნულ წიგნში, სადაც წერია: „ის, რაც ყველგან იგულისხმება და არა აქვს გამოკვეთილი სახე, შეიძლება მთლიანად

დაიკარგოს. როცა პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება, ხშირად არავინაა, ვისაც რეალური პასუხი მოეთხოვება“ [3, 20]. აქ ავტორი მიანიშნებს სასწავლო საგნების სპეციალიზაციაზე.

ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება საინტერესოც არის და სასარგებლოც, მაგრამ ეს ადვილი საქმე ნამდვილად არ არის. იგი დადგენილ პროფესიულ სტანდარტებთან მასწავლებლის სრულ შესაბამისობას მოითხოვს. ტრადიციულ პედაგოგიკაში მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მასწავლებლისადმი პროფესიულ მოთხოვნებში ის ფორმულირებულია ასე: „თავისი საგნის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნა და მოსაზღვრე მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლების ფლობა“ [4, 12].

სახელმწიფო ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, მის პედაგოგიურ სრულფასოვნებაზე, კარიერულ ზრდაზე პედაგოგიურ ეთიკასა და საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფორმები და საშუალებები. „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევაში“ მოცემულია სათანადო რეკომენდაციები, რომელთა სისტემური და თანმიმდევრული გამოყენება გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას [5, 12].

აღნიშნული წიგნის მიხედვით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში აქცენტირებული შემდეგი აქტივობები, როგორიცაა: კვლევა, კონფერენციები, სემინარები, სტატიები, ტრენინგები, სტაჟირება, სახელმძღვანელოების შექმნა, ან თანაავტორობა, სტენდურ-ვიზუალური პრეზენტაციები, პროექტის ავტორობა, მენტორ მასწავლებლად მუშაობა, მოსწავლეთა ოლიმპიადაზე გამარჯვება, ასევე საგნობრივ კათედრაზე აქტივობა, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, გამოცდილების გაზიარება, სპეციალური საჭიროების მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გეგმის შედგენა, ტრენერად მუშაობა და ა.შ.

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო აქტივობები დოკუმენტურად უნდა იყოს აღწერილი და პორტფოლიოს სახით წარმოდგენილი.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ პედაგოგიური პროცესის წარმატებას მისი მეცნიერულ საფუძველზე უზრუნველყოფა განაპირობებს. მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის პირველი ნაბიჯი არის პედაგოგიურ პრაქტიკაში, კერძოდ, კლასში არსებული მიღწევებისა და პრობლემების დადგენა და შეწყვეტილი ხაზიდან ათვლის დაწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა თანამიმდევრობისა და სისტემატურობის დიდაქტიკური პრინციპი და შედეგი მიუღწეველი რჩება. ეს კი მასწავლებლისაგან მოითხოვს პედაგოგიური კვლევის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. „მკვლევარია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების დანერგვა პედაგოგიურ პრაქტიკაში“ [5, 13].

პედაგოგიურ კვლევით საქმიანობას მასწავლებელი იწყებს კვლევითი პროექტის შედგენით: საკვლევი თემის შერჩევა და დაკონკრეტება; მისი აქტუალობისა და ღირებულების, მიზნისა და ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების ანუ ჰიპოთეზის განსაზღვრა, კვლევის მეთოდების, გზების, ხერხებისა და საშუალებების დაკონკრეტება, მის გარშემო არსებული ლიტერატურისა და წყაროების მიმოხილვა და საყრდენი პუნქტის მოძიება, მიღწეულისა და მისაღწევის, განვითარებაში მემკვიდრეობითობისა და ისტორიზმის პრინციპის გათვალისწინება, მოპოვებული მასალების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

პედაგოგიურ კვლევაზე ამ ტექნოლოგიით მუშაობა მასწავლებელს მკვლევარის გამოცდილებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სწორედ, ეს აზრია ჩადებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სადაც ვკითხულობთ: „ეროვნულ სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი - შედეგზე ორიენტირება და მასწავლებლისათვის საშუალების მიცემა, თავად ეძიოს და აირჩიოს შედეგის მისაღწევად უკეთესი გზა, მასწავლებელს მკვლევრად აყალიბებს“ [5, 13].

პედაგოგიური კვლევის საგანი შეიძლება იყოს მოსწავლეთა პროგრამული ცოდნის დაუფლების ხარისხისა და მოცულობის ანუ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დადგენა; ქცევისა და მოქმედების ეთიკური წესებისა და ნორმების ცოდნისა და გამოყენების უნარ-ჩვევები; საზოგადოებრივი აქტივობები; მათი

მოთხოვნები და მიდრეკილებები ან კიდევ ახალი სასწავლო მეთოდების, ტექნოლოგიების, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულებების შემოწმება და პრაქტიკაში დანერგვა; მოსწავლეთა განვითარების დინამიკის შესწავლა და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის დახელოვნებაში საგანმანათლებლო პროექტის შექმნისა და განხორციელების უნარ-ჩვევების განვითარება. აქ მიმოვიხილავთ ამგვარი პროექტის ნიმუშს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე. ამ საფეხურზე მასწავლებლის მუშაობა ძირითადად შემოიფარგლება წერა-კითხვის, ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის განვითარების, წაკითხულის გაგებისა და გადმოცემის, ანალოგიებისა და პარალელების გავლების, მოსმენილის შეფასების, პერიფრაზირების, კითხვების დასმის და სხვათა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის, დიაგრამისა და პროექტების შედგენა-გამოყენებისა და ა. შ. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებით მოსწავლეებში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების თეორიითა და პრაქტიკით აპრობირებული ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება. ტრადიციულ პედაგოგიკაში იგი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სახელწოდებით იყო ცნობილი და მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. იგი იმდენად უნივერსალური გამოდგა, რომ მას დღემდე თავისი აქტუალობა და პედაგოგიური ღირებულება არ დაუკარგავს. 2011 წელს გამოცემული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევში“ ვკითხულობთ: „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ბუნებრივი და საუკეთესო გზაა გამოცდილების მრავალმხრივი, ხშირი გაზიარება, ანუ მიღება და გაცემა კოლეგებთან“ და იქვე გრძელდება: „ეს მსოფლმხედველობა გულისხმობს გამოცდილების მეშვეობით, გამოცდილებით და გამოცდილებისათვის განათლებას“ [5, : 57].

პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება ძირითადად ხდება კონფერენციებში, სემინარებსა და პრეზენტაციებში, ასევე სხვადასხვა პუბლიკაციების სახით. სამეცნიერო კონფერენციების მიზანია ერთიდაიმავე პრობლემაზე მომუშავე

სპეციალისტებთან მოსაზრებების, კვლევის შედეგების ურთიერთგაზიარება, დისკუსიისა და არგუმენტების გზით ჭეშმარიტების პოვნა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარება და მასთან დაკავშირებული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისა და სათანადო რესურსების კონტექსტსა და კომპლექსში ინტეგრირების საფუძველზე უწყვეტ და მუდმივად განახლებად რეჟიმში მიმდინარეობს მასწავლებლის პროფესიული ზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივად ცვალებად და განვითარებად პროცესებთან შესაბამისობაში მოსვლა, პროფესიული წარმატება და შრომის ნაყოფიერება. სწორედ, ეს აზრია ჩადებული უშინსკის ცნობილ სიტყვებში: მასწავლებელი ცოცხალია მანამ, სანამ სწავლობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პედაგოგიკისა და განათლების ფსიქოლოგიის მეცნიერებაში საკმაოდ კარგად არის გამოკვლეული სწავლა-განათლებისა და აღზრდის, მასწავლებლის პროფესიული მომზადების კანონზომიერებანი, პრინციპები და ტექნოლოგიები, პრობლემა უმთავრესად მის პრაქტიკულ გამოყენებაში, მასწავლებლის დაბალ კვალიფიკაციასა და შრომის არაადეკვატურ ანაზღაურებაშია. არსებული პრობლემის გადაჭრა გარკვეულწილად ამ ორი პრობლემის გადაჭრაშია და არა განათლების მეცნიერებაში.

ლიტერატურა:

1. Maswasvleblis profesiuli standarti. Tbilisi. 2008;
2. Inasaridze M., Lobjanidze S., Ratiani M., Samsonia I. Maswavleblis saqmianobis dawyebis, profesiuli ganvitarebisa da karieruli winsvlis sqemis gzamkvlevi, I nawili, Tbilisi, 2011;
3. Postman N. Ganatlebis mizani. Tbilisi, 2007;
4. Bret P., Mompont-Gelard P., Salema M.E. Maswavlebelta kompetenciebis Charho. Tbilisi, 2009.
5. Vasadze N. Pedagogika. Tbilisi, 2000.

SCHOOL STARTS WITH THE TEACHER

Leila Sherozia

PhD in Pedagogy, Invited Professor, Sokhumi State
University

E-mail: sherozialeila@gmail.com

Presented by the Institute of Pedagogy and Methodology at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

As is known, the relationship between a teacher and a student, finding a common language is impossible only on the basis of a separate theory or just bare practice alone. The most effective way to achieve the goal is to develop a balanced, logically cohesive mini-pedagogical system based on pedagogical theory and the situation of personal or others' practical experiences.

The problem is that students have different individual and psychological, cultural and social characteristics. A method that is effective for one or more people may prove to be ineffective for other people or, moreover, may be destructive to the relationships.

Therefore, the professional development of the teacher, his/her professional growth must be constantly updated, because the success of the teaching and educational work in school is conditioned by the teacher's professional training level.

The Teacher must meet contemporary professional standards and competencies, must systematically work to improve his/her qualifications, must be involved in the professional development system and actively participate in pedagogical seminars, scientific conferences and in all activities related to the teaching profession.

Keywords: *Teacher, professional, standards, competencies, experience.*

პედაგოგიკის ძირითადი ეკოლოგიური კატეგორიები

მედეა ანთია

ტექნიკის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის

მეცნიერებათა აკადემიის წევრი

E-mail: medeaantia51@gmail.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. სტატიაში მოყვანილია პედაგოგიკის თანამდეროვე ძირითადი ეკოლოგიური კატეგორიები. *ეკოლოგიური აზროვნება, ეკოლოგიური განათლება.*

ეკოლოგიური აზროვნება. ეს გონებრივი მოქმედების უმაღლესი გამოვლინებაა, იგი ორიენტირებულია მეცნიერული ცოდნის გარკვეული საქმიანობის უნარ-ჩვევების ათვისება-დაუფლებაზე, კულტურული ღირებულებებისა და ნორმატივების აღდგენა-განახლებაზე, რაც, ერთობლივად, ბუნებითსარგებლობასთან არის ადაპტირებული *ეკოლოგიური განათლება* ესაა პროცესი და შედეგი სწავლებისა, რომელიც ორიენტირებულია გარემომცველი სამყაროს ინტეგრაციული ცოდნის, ეკოსაქმიანობის უნარ-ჩვევების დაუფლებაზე. იგი, დადებითი მოტივაციის არსებობისას, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, მიმართულია მის შემსწავლელთა ეკოშეგნებისა და ზოგადი ეკოლოგიური კულტურის ფორმირებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: *ეკოლოგია, აუტეკოლოგია, სინეკოლოგია, ეკოლოგიური აზროვნება, ეკოლოგიური განათლება.*

ერთიანი, მთლიანი სამყარო ეკოლოგიურ კულტურასაც მოიცავს. იგი არის ადამიანის მრავალსახეობრივი მოღვაწეობისა და ზოგადი კულტურის შემადგენელი კომპონენტი, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა სისტემების სინთეზი. ამიტომაცაა, რომ ეკოლოგიური განათლების საჭიროება მჭიდროდ უკავშირდება პიროვნებისა და საზოგადოებრიობის ეკოლოგიური

თვითგამორკვევის პროცესს; გარდა მოთხოვნილთა ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ქცევის და ადამიანის ეკოლოგიურად აზროვნების ჩამოყალიბებას. ჩვენ ეკოლოგიური განათლების მიზნად მიგვაჩნია არა მარტო პიროვნების, არამედ საზოგადოებრიობის ფორმირებაც ეკოლოგიური კულტურის მატარებლებად.

კულტურის ინტეგრირებული ფაქტორები; სოციალური გამოცდილება და განათლება წარმოადგენენ ფასეულ ეკოლოგიურ იმპერატივებს. რაც უფრო მეტია, დიდია ეკოკულტურის ინტეგრაცია, მით უფრო ხერხდება კაცობრიობის მთელი ნამოღვაწარის ჩაყენება სოციალური და ბუნებრივი ეკოლოგიის დაცვის სამსახურში. აქედან გამომდინარე, ადამიანის ყველა სახისა თუ ფორმის საქმიანობა ეკოლოგიურ მიზნებსაც უნდა მოიცავდეს. თავის მხრივ, ახალი ცივილური და საგანმანათლებლო პარადიგმის „ინტერფერენცია“ ხელს უწყობს ეკოლოგიურად მისაღები პედაგოგიური პროცესის არეალის შექმნას. თუ ჯერ კიდევ სულ ახლახანს განათლება, შედიოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დისციპლინებში, ამჟამად ნათელი გახდა, რომ ეს არასაკმარისია. დღეს ეკოლოგიური განათლება ორიენტირებული უნდა იყოს უნივერსუმის ღირებულებებზე იმდენად, რამდენადაც „სოციალური ფაქტორის“ წილი ეკოლოგიურ განათლებაში საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომაცაა აუცილებელი არა მარტო გავიზიაროთ, არამედ საზოგადოებრიობაში დავნერგოთ კიდევ წინმსწრები განათლების იდეები, ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, სწავლებასა და აღზრდაში დავამკვიდროთ პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომები, როგორც ცალკეულ პიროვნებაში, ისე მთლიანად საზოგადოებრიობაში მოვახდინოთ ეკოლოგიური კულტურის რეპროდუცირება. ამ და მსგავს ამოცანებს ჰუმანიტარული განათლება წყვეტს.

ამასთან, გვესმის, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განათლების მოდელისათვის საჭიროა, პირობითად თუ ვიტყვი, „ახალი ფილოსოფია“, რომელიც აიგება ეკოლოგიურ საფუძველზე, ხოლო საძირკვლად დაედება ბუნებასთან სისტემური, ჰარმონიული თანაარსებობის, თანაცხოვრების ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ვითვალისწინებთ რა, რომ ეკოლოგიური განათლების შინაარსის სახით გვევლინება ეკოლოგიური თვითგამორკვევა, სიტუაციის ეკოლოგიური შეფასება, მოქმედებათა მიზანშეწონილობის ეკოლოგიური ნორმები და მათ, მთლიანობაში,

ახლავს საზოგადოებრიობისა და პიროვნების ეკორეფლექსიები, ჰუმანიტარული განათლების ეკოლოგიურ-პედაგოგიური ასპექტის პრინციპების ფორმირებასთან ერთად, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ უნივერსუმის, ჰუმანიზაციის, ეკოლოგიური განათლების ფორმების, მეთოდების, საშუალებების ოპტიმალური, შეხამების პრინციპებსაც.

უნივერსუმის პრინციპი ითვალისწინებს ყველა ცხოვრებისეული ფორმისა და მოვლენის ურთიერთდაკავშირებას, ერთმანეთზე დამოკიდებულებას, ურთიერგანპირობებულობას, რასაც ემატება ადამიანის ჩართვა ე. წ. „გლობალურ აღზრდაში“ მისი ხასიათის უნივერსალურ, ზოგადკაცობრიულ თვისებათა გამომუშავების მიზნით. განათლების ფორმების, მეთოდების, საშუალებების ურთიერთშეხამების პრინციპი განსაზღვრავს ეკონარების ფორმირების ტაქტიკას, ასევე ეკოლოგიური პროცედურების დაუფლებისადმი მიდრეკილებას: თვითგამორკვევას, შეფასებას, ნორმირებას, მოქმედებას, რეფლექსიას. ტაქტიკა დამოკიდებულია სწავლების პედაგოგიკური ორგანიზაციის ხასიათზე, ანუ იმაზე, თუ რა ხასიათისაა მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედებას მათ მიერ განათლების ამა თუ იმ შინაარსის მქონე კომპონენტის ათვისებისას.

ეკოლოგიური განათლების შედეგი კი არის ეკოლოგიური მსოფლმხედველობის და ცნობიერების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ქცევას და მოქმედებას.

ამ პროცესის სრულად გააზრების საშუალებას ისეთი მეთოდოლოგია იძლევა, რომელიც შესაბამისი კატეგორიებისა და ცნებების სისტემით გადმოიცემა.

ი. ისკურკი გამოყოფს შემდეგ ძირითად პედაგოგიკურ-ეკოლოგიურ კატეგორიების ცნებებს

- ეკოლოგია;
- ეკოლოგიური კულტურა;
- ეკოლოგიური შეგნება;
- ეკოლოგიური განათლება;
- ეკოლოგიური თვითგამორკვევა;
- ეკოლოგიური პასუხისმგებლობა;
- მასწავლებლის ეკოლოგიურ-პედაგოგიური კულტურა.

ამ ჩამონათვალს ჩვენ ვუმატებთ „ეკოლოგიური აზროვნების“ კატეგორიას.

ეკოლოგია - ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ და გარემომცველ სამყაროსთან მათი დამოკიდებულების კანონზომიერებებს. გარემომცველ სამყაროში იგულისხმება გარემო პირობების ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც ცალკეულ ორგანიზმზე, ისე მათს თანასაზოგადოებაზე. ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობა და მათი კავშირი გარემო სამყაროსთან, მათ შორის ნივთიერებათა და ენერგიის ცვლა, ორგანიზმების შეგუება მუდმივ ცვალებად სასიცოცხლო პირობებთან, დედამიწაზე სოცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის ძირითადი შინაარსია.

ეკოლოგია, როგორც მეცნიერება, მთელ რიგ დარგებად იყოფა:

აუტეკოლოგია შეისწავლის გარემომცველი სამყაროს ფაქტორებზე ცოცხალი ორგანიზმების სახეობათა რეაგირებასა და მათ ურთიერთმოქმედებათა თავისებურებებს.

პოპულაციური ეკოლოგია შეისწავლის გარემოს განსაზღვრულ პირობებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების პოპულაციებს, რომლის ზემოქმედებითაც ისინი ვითარდებიან, სახეს იცვლიან.

სინეკოლოგია შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფებს, გაერთიანებების (ბიოცენოზების) არსებობისა და განვითარების კანონზომიერებებს კონკრეტულად მათი ყოფნა-ბინადრობის ცვალებად პირობებში.

საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოიქმნა ეკოლოგიურ სიტუაციათა ემოციური შეფასებიდან მათს თეორიულ გააზრებაზე გადასვლის მოთხოვნა, საჭიროება. ამასთან დაკავშირებით, ფილოსოფიურ მეცნიერებაში გაჩნდა ტერმინი - „სოციალური ეკოლოგია“. ეკოლოგიის მეცნიერებათა შორის „სოციალურ ეკოლოგიას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამასთან, იგი ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილ-დამუშავებული არ არის. ის ცოცხალ ორგანიზმთა „სოციუმის“ გამოხატულებაა. არსებობის ასეთი ფორმა მხოლოდ ადამიანთათვის არის დამახასიათებელი. აქ გონიერება გადამწყვეტ როლს ასრულებს, იგი ქმნის სპეციფიკურ, ე. წ. ზესაზოგადოებრიობას - კაცობრიობას. სოციალური ეკოლოგია განიხილავს ურთიერთდამოკიდებულებებს გლობალურ

სისტემაში: „საზოგადოებრიობა (რაც, ვიმეორებთ, მხოლოდ ადამიანთა გაერთიანება შეიძლება იყოს) - გარემომცველი სამყარო“ და შეისწავლის ურთიერთმოქმედებებსა და ურთიერთკავშირებს საზოგადოებრიობასა და ბუნებრივ, აგრეთვე, შექმნილ ტექნოლოგიურ გარემოს შორის. ამასთან, იგი ამუშავებს ბუნებათსარგებლობის მეცნიერულ საფუძვლებს. ეს უზრუნველყოფს ბუნების დაცვას და ამავედროულად ადამიანისათვის ითვისების წინაპრებს ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

სოციალური ეკოლოგიის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრიობისა და ბუნების კანონზომიერებათა ურთიერთქმედების შესწავლა და ამის საფუძველზე ახალი ბუნებრივ-კულტივირებული გარემოს პროექტირება.

სოციალური ეკოლოგიის მიერ დაგროვილი ცოდნა და დასკვნები, რაც, თავისთავად, მის, როგორც მეცნიერების, საგანს შეადგენს, სოციალურ-ბუნებრივი გარემოს ერთიანობის ამოსავალ პრინციპს ეფუძნება. იგი არის ადამიანის სამოქმედო სივრცე და განსაზღვრულია შემდეგი პოსტულატებით: ერთიანობა სისტემისა „ბუნება-საზოგადოებრიობა-ადამიანი“; ადამიანი ბუნების ნაწილია და მისი განვითარება ბუნების ცვალებადობის ფაქტორია; კაცობრიობის ისტორია ბუნების ისტორიის ნაწილია და მისი გარდაქმნა-განახლება ადამიანის ცხოვრების საფუძველია. ამასთან, ეს გულისხმობს ბუნების კანონების პირველადობას. ანთროპოგენურ-ეკოლოგიური კავშირების დინამიკური მდგრადობის აუცილებელი შენარჩუნებისათვის საჭიროა, რომ მას ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი ექვემდებარებოდეს.

მოცემული დისციპლინის „ადამიანის ეკოლოგია“- ფარგლებში რომელიც, როგორც კომპლექსური მეცნიერება, იკვლევს ბიოსფეროს (მისი შემადგენელი ნაწილების) ზოგადი კანონების ურთიერთდამოკიდებულებებს სოციალურ ანტი ქვესისტემებთან (მათს სხვადასხვა დონეებზე), მის ჯგუფებთან და ინდივიდუუმებთან ერთად, შეისწავლის ბუნებრივი გარემოს ზეგავლენას ადამიანზე და ადამიანთა ჯგუფებზე.

ბოლო ხანებში ფართო გავრცელება პოვა ეკოლოგიის სხვადასხვა ვარიაციებმა: სამრეწველო ინჟინერიის ეკოლოგიამ, სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიამ და სხვ. ეკოლოგიური მეცნიერების გამოყენებითი ასპექტები ემსახურება საინჟინრო-

ტექნიკური დისციპლინების განვითარებას, მათ შორის გარემომცველი ბუნების დაცვას.

ეკოლოგიურ მეცნიერებათა ციკლში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნოოსფეროლოგიას. ცნება - ნოოსფერო შემოიტანა ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა ე. ლე რუამ, თეორიულად კი, ზოგად ასპექტში, დაამუშავა ვ. ვერნადსკიმ.

ნოოსფერო - ეს „გონების სფეროა“. ნოოსფეროლოგია შეისწავლის ბიოსფეროს განვითარების უმაღლესი სტილის ფორმირების შესაძლებლობებს, დაკავშირებულს მასში ცივილიზებული საზოგადოებრიობის წარმოშობასა და ჩამოყალიბებასთან. აქ იგულისხმება ის პერიოდი, როცა ადამიანის გონიერი მოღვაწეობა განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება.

ქვეყნის ეკოლოგიური კულტურა - ეს საზოგადოებრიობის ცივილიზირებულობის საზომია და გამოიხატება დაგროვილი გამოცდილების სინთეზით, აგრეთვე იმ ხალხთა ბუნებისშესაბამისი და სოციომემანარჩუნებელი ქცევებითა თუ საქმიანობით, კულტურათა მრავალფეროვნებითა და სოციალურ-ბუნებრივი ეკოსისტემებით, რომლებიც ამ აღებულ ტერიტორიაზე მოსახლეობენ.

როგორც გარემოს დაცვისა და განვითარებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის (რიო-დე-ჟანეირო, 1992) მასალებშია აღნიშნული, ტექნოკრატიული საზოგადოებრიობის კულტურა, რომელმაც მისი ზნეობრივი ნორმები და ღირებულებები ჩამოაყალიბა და ისინი მოთხოვნილებათა რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებლებს დაუკავშირა, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და უძღური აღმოჩნდა უზრუნველყო ცივილიზაციის განვითარების შემდგომი სტაბილურობა. კაცობრიობის ახალი - ეკოლოგიური - კულტურა იმდენად მაღალი მნიშვნელობის მქონე ორიენტაციებს მოიცავს, რომ ისინი განსაზღვრავენ მთელი გაერთიანებების ეკოლოგიურად დასაბუთებულ (ეკოლოგიურად მისაღებ) ქცევებსა და მოღვაწეობას, ადგენენ სუბიექტსა და სოციოზნეობრივ გარემოს შორის დამოკიდებულებათა ახალ ხარისხობრივ დონეებს. ფართო გაგებით, „ეკოლოგიური კულტურა, - აღნიშნავს ი. ხოტუნცევი, - ზოგადკაცობრიული კულტურის ახალი შინაარსის მატარებელია. მისი ბაზისი უნივერსალური, სულიერი ღირებულებების ეკოლოგიურ და ზნეობრივ

იმპერატივებს შეიცავს“ (იხ. მოსწავლეთა ეკოლოგიური კულტურის ფორმირების პრობლემები, საგანმანათლებლო სამყარო - მსოფლიო განათლება, #2, 2003).

ეკოლოგიური კულტურა მოიცავს ეკოლოგიურ ცოდნას, იმის გაგებას, რომ „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“ (ვაჟა), სიცოცხლისა და სილამაზის წყაროა, ზნეობრივ-ესთეტიკური გრძნობებისა და განცდების საგანძურია, რომელშიც დაუნჯებელია სამყაროსთან ჩვენი ფაქიზი ურთიერთობა, მისი დაცვა-შენარჩუნების პასუხისმგებლობა, უნარი - ნებისმიერი მოქმედებით მისი ხელყოფის თავიდან აცილებისა, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა, საერთოდ, ბუნებისდაცვითი მოღვაწეობისა და ყოველივე ამის შეგნებული, გააზრებული განხორციელებისა.

ეკოლოგიური შეგნება - ესაა ეკოლოგიური კანონებისა და წესების არსის გაცნობიერება, შედეგი ინტეგრირებული პროცესებისა, წვდომა სისტემაში - „საზოგადოებრიობა-ბუნება“ - არსებული წინააღმდეგობების მიზეზებისა, ესაა ეკოლოგიური იმპერატივების განხრით მიზანშეწონილი მოღვაწეობის ზნეობრივი არჩევანი, საკუთარი თავის აღიარება სამყაროს უნივერსუმის ნაწილად.

ეკოლოგიური განათლება - ესაა პროცესი და შედეგი სწავლებისა, რომელიც ორიენტირებულია გარემომცველი სამყაროს ინტეგრაციული ცოდნის, ეკოსაქმიანობის უნარ-ჩვევების დაუფლებაზე. იგი, დადებითი მოტივაციის არსებობისას, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, მიმართულია მის შემსწავლელთა ეკოშეგნებისა და ზოგადი ეკოლოგიური კულტურის ფორმირებისაკენ. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ მეცნიერთა დასკვნებს, რომლებიც ეკოლოგიური განათლების მიზნად მიიჩნევენ მემკვიდრეობითი ეკოლოგიური კულტურის აღდგენა-განახლებას, აქედან გამომდინარე კი, ადამიანთა ურთიერთმოქმედებით მოპოვებული გამოცდილების გაფართოებას, რაც უზრუნველყოფს დაგროვილი გამოცდილების ცხოველყოფილობას და შეუფერხებელ განვითარებას, გამოხატულს ზნეობრივი ნორმების, ღირებულებების, ემოციური ურთიერთდამოკიდებულებების სახით (ა. ვერბიცკი).

ი. ზვერევი მიიჩნევს, რომ ეკოლოგიური განათლების მთავარი მიზანია პიროვნებისა და საზოგადოებრიობის ეკოლოგიური კულტურის განვითარება (აღზრდა). მასში შედის შემდეგი კომპონენტები:

- ადამიანისა და სოციალურ-ბუნებრივი გარემოს ურთიერთმოქმედებათა დადებითი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობით მიღებული გამოცდილების გამდიდრება;

- ბუნებისადმი, მატერიალური, სოციალური და სულიერი ღირებულებებისადმი პიროვნებისა და საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების ფორმირება;

- სიცოცხლის ყველა ფორმის, როგორც ადამიანის ყოფნა-არსებობის პირობის, პრიორიტეტის აღიარება-დამტკიცება;

- ადამიანის ყოველმხრივი განვითარების, მისი მიდრეკილებებისა და შემოქმედებითი უნარის, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის უზრუნველყოფა სისტემის: „ადამიანი → ადამიანი“ - ოპტიმიზაციის პირობებში.

ზემომოყვანილი დებულებების გათვალისწინებით, ი. ისკრუკი ეკოლოგიური განათლების მიზნად მიიჩნევს პიროვნებისა და საზოგადოებრიობის წარმოდგენების ფორმირებას სიცოცხლეზე, გარემომცველ სამყაროზე, როგორც ეკოკულტურის მატარებლებზე.

თუ განათლებას განვიხილავთ როგორც ადამიანის მიერ მთელი კაცობრიობის სოციალური გამოცდილების ათვისებას, ჯგუფებში, ეკოსისტემებში მის სოციოლოგიზაციას, მაშინ საჭიროა განათლებში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულში, ორი ტენდენცია გამოვაცალკევოთ: ერთი მხრივ, პედაგოგთა დამოკიდებულებას განათლების ჰუმანიტარული პარადიგმისადმი, ამასთან, სოციოკულტურული პოტენციალისა და საგანმანათლებლო სივრცის ნაციონალური თავისებურებების გამოყენებას მივყევართ პიროვნულ-შემოქმედებითი მიდგომის რეალიზაციისაკენ. მეორე მხრივ, განათლების ახალი სტანდარტების შემოტანა საშუალებას იძლევა წარმოვაჩინოთ ადრე პედაგოგიურ პროცესში გაუთვალისწინებელი „ეკოლოგიური განათლება“ და მისი კომპონენტები.

ბოლო წლებში უმაღლესი პედაგოგიური განათლების სისტემაში შეიმჩნევა ეკოლოგიური განათლებისადმი სისტემური მიდგომის ტენდენციის გაძლიერება.

სისტემური მიდგომიდან გამომდინარე, ეკოლოგიური განათლება ახლა უფრო ნაირგვარი კუთხით განიხილება. კერძოდ, ესაა: სისტემატურობის,

უნივერსალურობის, კომპლექსურობის პრინციპების ამოქმედება, ზოგადმეცნიერული და პროფესიული მომზადების შერწყმა; ეკოლოგიური განათლების - ეკოლოგიური სწავლებისა და აღზრდის პროცესის - ისე აგება, რომ პრიორიტეტულად პიროვნების ეკოლოგიური კულტურის ფორმირება იქცეს.

რეჟიმი: „მეცნიერება - სასწავლო საგანი“, ჰუმანიზაციის პრინციპის რეალიზებით, მკაფიოდ გამოხატავს ეკოლოგიური განათლების შინაარსს: 'ჰუმანიზმი მოიცავს ადამიანისადმი დამოკიდებულების მრავალგვარ ნიუანსს, აღიარებს ადამიანს როგორც სუბიექტს და მის კეთილდღეობას თვლის ყველა სოციალური ინსტიტუტის შეფასებათა კრიტერიუმად. აქ იგულისხმება დამოკიდებულება საზოგადოებრიობის მიმართაც. თანამედროვე ჰუმანიზმის უმნიშვნელოვანესი მხარეა მისი მიმართულება ადამიანის ბუნებითი არსისა და საფუძვლებისადმი, მისი შინაგანი სამყაროსადმი, სულიერებისადმი. ეს გამიზნულია პიროვნების დეტერმინირებულ სტრუქტურებს შორის ჰარმონიის მისაღწევად. ზემოთ ნახსენები 'ჰუმანიზმის' შინაარსში ჩადებულია მისი ბუნებითი გაგება. ამიტომ, თანამედროვე ჰუმანიზმი ასე შეიძლება გამოიხატოს: „ადამიანი და ბუნება“.

ვინაიდან ეკოლოგიური განათლების შედეგი გახლავთ ჩამოყალიბებული ეკოლოგიური შეგნება და მსოფლმხედველობა, რასაც, როგორ წესი, მოჰყვება ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ქცევისა და საქმიანობის დეტერმინირება, ამდენად, ეკოლოგიური განათლების ფარგლებში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ორიენტაცია ავიღოთ არა ეკოლოგიის სწავლებაზე, არამედ პედაგოგიური ტექნოლოგიების მეშვეობით სრულ ეკოლოგიურ მომზადებაზე.

დიახაც, ეკოლოგიური განათლება ეკოლოგიური პრაქტიკის - ეკოლოგიური შეგნებისა და ეკოლოგიური საქმიანობის, ასე ვთქვათ, წარმოებულია და არა პირიქით. აქედან გამომდინარე კი, მისი შინაარსი ასახავს ეკოლოგიურ ნორმებს, შეფასებებს, პიროვნების ქცევებსა და ქმედებებს.

სხვა საკითხებთან ერთად უმაღლეს პედაგოგიურ ეკოლოგიურ განათლებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში (ნ. ბოროვსკაია, ვ. სერიკოვი, ვ. დანიელჩუკი, ს. კაშლევნი, ვ. კოფტუნა), განიხილება პიროვნული მიდგომის რეალიზაციის საკითხიც. იგი გათვლილია მეცნიერული ინფორმაციის ეტაპობრივი

ათვისებით, ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევების დაუფლებაზე და მიზნად ისახავს სტუდენტებში დადებითი მოტივაციის გამომუშავებას განათლებისა და თვითგანათლებისადმი, ასევე მეცნიერული და შემეცნებითი მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილებას ეკოლოგიის სფეროში.

პიროვნების გამოცდილების მიღების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მექანიზმების ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კომპონენტის ფორმირება ხდება: ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების თუ სხვ. მაგალითად, სანიმუშო ეკოლოგიური შეგნების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია პრაქტიკულ-ორიენტირებული მოღვაწეობა. ამასთან, ამგვარ საქმიანობაში პიროვნების ჩართვა ინტეგრაციულ ჯგუფებში გაერთიანების გზით საშუალებას აძლევს მას დაეუფლოს ცხოვრების ეკოლოგიურად მიზანშეწონილ მოდელს და პროფესიულ-პრაქტიკულ ჩვევებსაც.

განათლებისადმი პიროვნულ-ორიენტირებული მიდგომა მისი პედაგოგიური ტექნოლოგიების ეკოლოგიური პოტენციალის ერთ-ერთი შესაკრებთაგანია.

ეკოლოგიური თვითგამორკვევა - ესაა ისეთი სიტუაციისადმი ანდა ნორმატიული მოთხოვნებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამომუშავება, რომელთა შინაარსი ეკოლოგიურ ხასიათს ატარებს და გამოიხატება ადამიანის (მიკროსისტემის) ჩართვით საზოგადოებრივ ყოფიერებაში (მაკროსისტემაში). ამასთან, ნაწილობრივი ყოფითი დაბრკოლებების დაძლევა ხდება სულიერი მექანიზმებისა და სოციოკულტურული მხარდაჭერის მეშვეობით.

„ეკოლოგიური თვითგამორკვევის“ კატეგორიის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სულიერების, სულიერი არჩევანის ფენომენის შინაარსობრივ მხარეს. ჩვენი ღრმა რწმენით, სულიერი არჩევანი არის ცხოვრების აზრის შეფასების პოტენციური და რეალური შესაძლებლობა. ყოველი ახალი არჩევანის დროს ადამიანს უჩნდება და უმტკიცდება ახალი ღირებულებები. ჟ. სარტრის თქმით: 'საკუთარი არჩევანი, ასე თუ ისე, ნიშნავს იმავდროულად ვამტკიცოთ ღირებულება იმისა, რასაც ვირჩევთ, ვინაიდან და რადგანაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ავირჩიოთ ბოროტება' (ჟ. სარტრი. ეგზისტენციალიზმი - ეს ჰუმანიზმია. მ. 1990. რუს. ენაზე).

სულიერება - ეს მომწიფებული პიროვნების განვითარებისა და თვითრეგულირების უმაღლესი დონეა. ამის საფუძველზე და მოტივაციურ-აზრობრივი რეგულატორების მეშვეობით იგება მისი ცხოველმოქმედების მაღალადამიანური ღირებულებები. სულიერება სტრუქტურა კი არ არის, არამედ პიროვნული სიმწიფის მიღწეული ადამიანის არსებობის საშუალებაა. სულიერად ამაღლებული ადამიანი იზოლირებული ინდივიდი აღარ არის, რომელსაც მხოლოდ გარემოსთან ეფექტური ადაპტაციის ეგოცენტრული ამოცანების გადაწყვეტა ხელეწიფება, იგი დამოუკიდებელ პიროვნებათათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი ენერგიით ივსება, თავს აღწევს საკუთარ ჩარჩოებს და მზადაა სამყაროსთან ახალ კავშირურთიერთობებისათვის.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა - ეს პიროვნების ისეთი თვისებაა, რომელშიც ნებაყოფლობით ვლინდება მისი ზნეობრივი მოთხოვნილებები. იგი ეფუძნება ეკონორმების დაცვას, რწმენას, რომ ასეთი და მხოლოდ ასეთი ქცევაა მიზანშეწონილი.

მასწავლებლის ეკოლოგიურ-პედაგოგიური კულტურა - მისი პედაგოგიური მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილია. იგი ვლინდება პიროვნულ ეკოლოგიურ-პედაგოგიურ პოზიციაში, ეკოლოგიურ-პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებში, ეკოლოგიური განათლების ამოცანათა გადაწყვეტის შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზაციაში.

„ეკოლოგიის“ კურსის სწავლების გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ მასწავლებელს მისი სწავლება მნიშვნელოვნად უჭირს. ზოგჯერ მათი წარუმატებელი საქმიანობის მიზეზი ხდება, ერთი მხრივ, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი არასწორი მიდგომა, მეორე მხრივ, სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლების შეუფასებლობა. აქ განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია მასწავლებლის მზაობის კომპონენტები. ვ. სლასტენინას აზრით, ეს მოიცავს ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ, შინაარსობრივ-ინფორმაციულ და საქმიანობა-მოღვაწეობით მზაობებს.

პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მზადყოფნა განიხილება როგორც ბუნებისადმი, მისი შემოქმედებითი გარდაქმნისადმი, მასზე ზემოქმედებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების განწყობა.

შინაარსობრივ-ინფორმაციული მზადყოფნა გამოიხატება ეკოლოგიური რისკის, გარემოს ცვლილებების მიმართ ორგანიზმის ადაპტაციის შესაძლებლობების, პედაგოგიური ეკოლოგიის სოციალური მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციისა და, რა თქმა უნდა, ეკოლოგიური განათლების კონცეპტუალური საფუძვლების ფლობით.

მოღვაწეობითი მზადყოფნა გულისხმობს ისეთი ორგანიზაციულ-საქმიანობითი უნარ-ჩვევების ფლობას, რომლებიც აუცილებელია მოწოდებული შინაარსის დიაგნოსტიკისათვის, მისი მიზანდანიშნულების განხილვა-გააზრებისათვის, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მეთოდების, ფორმებისა და საშუალებების შერჩევისათვის, სასწავლო პროცესის კორექციისა და შეფასებისათვის.

ეკოლოგიური აზროვნება. ეს გონებრივი მოქმედების უმაღლესი გამოვლინებაა, იგი ორიენტირებულია მეცნიერული ცოდნის გარკვეული საქმიანობის უნარ-ჩვევების ათვისება-დაუფლებაზე, კულტურული ღირებულებებისა და ნორმატივების აღდგენა-განახლებაზე, რაც, ერთობლივად, ბუნებითსარგებლობასთან არის ადაპტირებული.

ეკოლოგიური აზროვნების არსი, ჩვენი გაგებით, ესაა ორიენტირების სისტემური ტიპის მქონე მეცნიერული, თეორიული აზროვნება, რომელიც ვითარდება არა მარტო სოციალური პირობების ზეგავლენით, არამედ, რომელსაც საამისოდ აქვს შინაგანი პირობებიც. ისე რომ, ეს დიალექტიკური აზროვნებაა.

ეკოლოგიური აზროვნება რეფლექსური ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს შეგნებულად კონტროლირდება შემეცნებითი საქმიანობის პროცესი, ფორმა, პირობა და საფუძველი. ასევე, ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის მექანიზმი - გააზრება, ფორმირება და მისი პრაქტიკული გადაწყვეტის ხედვა.

